

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ინგა ბენაშვილი

საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის
მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ბ. გაბიაშვილი

თანახელმძღვანელი:

ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფ. მ. მინდორაშვილი

თბილისი

2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
თავი I ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და გაანგარიშების მეთოდოლოგია	10
1.1 ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მიზნები და ამოცანები	10
1.2 ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ისტორიული ასპექტები	18
1.3 ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდები თანამედროვე ეტაპზე	27
1.4 ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით	49
1.5 დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ასახვის ხერხები ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში	66
თავი II ეროვნული შემოსავლის სტრუქტურისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებანი	95
2.1 ეროვნული შემოსავლის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებელთა სისტემა	95
2.2 ეროვნული შემოსავლის დინამიკის ძირითადი კომპონენტები და ურთიერთშესაძარისი მწკრივების მიღების ხერხები	111
2.3 ეროვნული შემოსავლის ტრენდის გამოვლენის ხერხები და ექსტრაპოლაცია	120
2.4 ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა სეზონური შესწორებები და შემთხვევითი კომპონენტი	128

თავი III	ეროვნული შემოსავლის საერთაშორისო შედარებანი და ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი	133
3.1	ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის საკითხები	133
3.2	ეროვნული შემოსავლის ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი	145
3.3	ეროვნული შემოსავლის მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი	158
3.4	ეროვნული შემოსავლის წყვილადი და მრავლობითი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები	166
	დასკვნები და წინადადებები	183
	გამოყენებული ლიტერატურა	196
	დანართი	205

შესავალი

თემის აქტუალურობა

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები უშუალო გავლენას ახდენს სტატისტიკის მრავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაზე, მოითხოვს მათ ახლებურად დაყენებას და შეცვლას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა გარდაუვლად მოითხოვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში. ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს და ძირითადი სამუშაოები შესრულებულია, თუმცა კვლავ რჩება პრობლემატური საკითხები. ერთ-ერთი პრობლემური სფერო ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშება და სტატისტიკური ანალიზია.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის კომპლექსური შესწავლა და სტატისტიკური ანალიზი საქართველოში არ განხორციელებულა. აღნიშნული მაჩვენებლის სტატისტიკური შესწავლა აუცილებელია, იმდენად რამდენადაც სწორი წარმოდგენა შეგვექმნას ეროვნული შემოსავლის მოცულობის, სტრუქტურის, გრძელვადიან დინამიკაში შემოსავლების ცვლილების, ასევე ზრდის ფაქტორების გავლენის ზომის შესახებ.

საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში დღეისათვის არ არსებობს ეროვნული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად კი აუცილებელია მონაცემები იმის შესახებ, თუ პირველადი შემოსავლების რა ნაწილი იქმნება სამთავრობო სექტორში, საფინანსო დაწესებულებებში, ბიზნეს სექტორში, შინამეურნეობებში და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში. მნიშვნელოვანია ასევე დანარჩენი მსოფლიოს სექტორის ანგარიშზე ასახული პირველადი შემოსავლების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, იმდენად რამდენადაც ის გვიხასიათებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის პირველადი შემოსავლების ნაკადების მოძრაობას.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის ქმნიან დინამიკურ მწკრივებს, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ქვეყნის შემოსავლების სიდიდე გრძელვადიან პერიოდში,

გაგაკეთოთ შესაბამისი პროგნოზები, ასევე შევისწავლოთ და აღმოვფხვრაოთ შიდაწლიური ცვლილებები და მასზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორები. ეროვნული შემოსავლის დინამიკაში განხილვა და გაანალიზება საშუალებას მისცემს სამთავრობო ორგანოებს სათანადო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაში.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკა 1956 წლიდანაა ხელმისაწვდომი. თუმცა ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული წლიური მაჩვენებლების მწკრივების აგება 1990 წლიდან დაიწყო. კვარტალური ეროვნული შემოსავლის დინამიკა კი 1996 წლიდან იღებს სათავეს. დინამიკის გაზომვის ძირითადი პრობლემა დღეისათვის მდგომარეობს მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული მაჩვენებლების მუდმივ ფასებში გადაანგარიშებაში ურთიერთშესადარისი დინამიკური მწკრივების მიღების მიზნით. ასევე პრობლემატურია 1956-1989 წწ მაჩვენებელთა 1990-2009 წწ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანა. იმდენად, რამდენადაც საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა ურთიერთშესადარისი დინამიკის მწკრივები, ცხადია, შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის განხორციელებაც შეუძლებელია.

ეროვნული შემოსავლის შესახებ პრობლემათა ფართო წრის არსებობამ და მისი გადაჭრის გზების ძიების პროცესმა განაპირობა ჩემი დაინტერესება აღნიშნული საკითხებით და საკვლევ თემად მისი შერჩევა.

საკვლევი პრობლემის შესწავლის მდგომარეობა

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე გადასვლის საკითხებს საქართველოში და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ უშუალოდ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე არ არსებობს ცალკე დამოუკიდებელი მონოგრაფიული გამოკვლევა და არც დისერტაციაა დაცული. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა ჯერ არ ქცეულა სპეციალური შესწავლის საგნად, რამაც განაპირობა ჩვენს მიერ საკვლევ თემად მისი აღება.

წინამდებარე დისერტაცია პრაქტიკულად პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც უშუალოდ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს ეხება.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის ძირითად მიზანს მეცნიერულად დასაბუთებული, გააზრებული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება და სათანადო, სანდო შედეგების მიღება შეადგენს.

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის ძირითადი ამოცანები კი შემდეგში მდგომარეობს:

1. ეროვნული შემოსავლის მოცულობის განსაზღვრა. საკითხი ეხება ამ მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიას და მის სრულყოფას; ასევე დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ასახვის პრობლემებს;
2. ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შესწავლა;
3. ეროვნული შემოსავლის დინამიკის დახასიათება;
4. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის საკითხი;
5. ეროვნული შემოსავლის ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის ზომის დადგენა.

კვლევის საგანი და ობიექტი

ჩვენს მიერ შესასწავლი თემის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეროვნული შემოსავალი, ხოლო საგანს მისი მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის, ზრდის ფაქტორების შესწავლა და არსებული სტატისტიკური მეთოდების სრულყოფის გზების დასახვა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ეროვნული შემოსავლის შესახებ თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და მაკროეკონომიკის ძირითადი კონცეფციები. სტატისტიკური მეთოდოლოგია ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის (SNA 1993) სტანდარტულ სახელმძღვანელოს, რომელიც დღეისათვის გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. თუმცა შევნიშნავთ, რომ 2011 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ იგეგმება ეროვნულ ანგარიშთა ახალი 2008 წლის სისტემის (SNA 2008) ეტაპობრივად დანერგვის სამუშაოების დაწყება. SNA 2008–ის კონცეფციები და მეთოდოლოგია ძირითადად SNA 1993–ის პრინციპების იდენტურია. მხოლოდ რამოდენიმე სიახლეა (ცვლილებები ძირითადად შეეხება ფინანსურ ანგარიშს, გარკვეულწილად კაპიტალის ანგარიშს. ასევე გლობალიზაციის გავლენით გამოწვეულ რიგ საკითხებს) შეტანილი მსოფლიოს ეკონომიკური პროცესების დინამიური

განვითარებიდან გამომდინარე. კვლევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ასევე სხვა ქვეყნების სტატისტიკური პრაქტიკის გამოცდილება. ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლისას სტატისტიკის თეორიის პრინციპებით ვისეულმდგვანელეთ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეები

სადისერტაციო ნაშრომში პირველად კომპლექსურადაა გამოკვლეული 1990-2009 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლის მოცულობა, გაანგარიშების მეთოდოლოგია, სტრუქტურა, დინამიკა, ზრდის ფაქტორები. ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიის ისტორიული თვალსაზრისით მისი პირველი 1913 და 1922-1923 წლების გაანგარიშებანიცაა განხილული. გრძელვადიანი თანმიმდევრული, უწყვეტი დინამიკა კი 1956 წლიდანაა ხელმისაწვდომი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეები შემდეგში მდგომარეობს:

1. საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის კომპლექსური შესწავლა მისი პირველი გაანგარიშებიდან თანამედროვე მეთოდების ჩათვლით; არსებული მეთოდების სრულყოფა;

2. ეროვნული შემოსავლის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით გაანგარიშება, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა იმდენად, რამდენადაც სექტორული ანგარიშების შედგენა დღეისათვის საქართველოში არ ხდება;

3. ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის ანალიზი შემოსავლების, ასევე დანახარჯების ძირითადი კატეგორიების, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით;

4. ეროვნული შემოსავლის დინამიკის შესწავლა. 1990-2009 წწ. მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადაანგარიშება ურთიერთშესადარისი დინამიკური მწკრივების მიღების მიზნით, რომელიც მნიშვნელოვანი სიახლეა დღეისათვის იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხი სტატისტიკურ პრაქტიკაში არაა გადაჭრილი ჯერჯერობით საქართველოში;

5. 1990-2009 წლების ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა განვითარების ძირითადი ტენდენციის გამოვლენა ტრენდის გამოვლენის ანალიზური მეთოდის გამოყენებით, სეზონური შესწორებანი და შემთხვევითი კომპონენტი;

6. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობა;

7. ეროვნული შემოსავლის ზრდის ფაქტორების რაოდენობრივი გაზომვა კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდით გაეზომეთ ცალ-ცალკე შრომის მწარმოებლურობისა და ინვესტიციების გავლენა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე, მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდით კი სამი ფაქტორის – მოგებისა და შერეული შემოსავლის, სახელმწიფოს მიერ მიღებული წარმოებასა და იმპორტზე გადასახადებისა და რეალური საშუალო თვიური ხელფასის გავლენა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ხელისუფლების ორგანოებს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი გამოყენება შესაძლოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ასევე სამეცნიერო დაწესებულებებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ყველა პირის მიერ.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრაზე 2010 წლის 5 ნოემბერს (ოქმი №3).

შესრულებული კვლევის შედეგებზე გამოქვეყნებულია 11 სამეცნიერო ნაშრომი და კონფერენციის თეზისები. მათ შორის 7 გამოცემულია 1996-2001 წლებში. უახლოესი 4 ნაშრომი, რომელშიც კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული და პრაქტიკული სიახლეებია წარმოდგენილი, შემდეგია:

1. National Income of Georgia, time series analysis, International Journal of Statistics & Economics, 2010;

2. ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №5, სექტემბერი-ოქტომბერი, 2010, გვ. 75-83;

3. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის საკითხები, ჟურნალი ეკონომიკა, №7-9, 2010, გვ. 207-215;

4. საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკის გაზომვის თანამედროვე პრობლემები, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, №8-9 (152-153), 2010, გვ. 77-82.

აქვე შევნიშნავთ, რომ ნაშრომის თეზისები “საქართველოს ეროვნული შემოსავლის მეთოდოლოგიური პრობლემები და მომავლის პერსპექტივები”

მიღებულია 2010 წლის 16-18 დეკემბერს ჰონგკონგში დაგეგმილ გამოყენებითი სტატისტიკის და ფინანსური მათემატიკის საერთაშორისო კონფერენციის საორგანოზაციო ჯგუფის მიერ მოხსენების თემად. თუმცა ფინანსური რესურსების უქონლობის გამო კონფერენციაში უშუალო მონაწილეობის მიღება ვერ ხერხდება.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 195 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისგან. ტექსტის ძირითად ნაწილს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი I ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და გაანგარიშების მეთოდოლოგია

1.1 ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მიზნები და ამოცანები

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლა დღეისათვის მნიშვნელოვანია. ეს იმითაა განპირობებული, რომ ამ შემოსავლის სოციალურ-ეკონომიკური ნიშან-თვისებები, მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა, განაწილება-გადანაწილებისა და საბოლოო გამოყენების კანონზომიერებანი ასახავენ ეკონომიკური სფეროს ძირეულ კანონზომიერებებს და თვისობრივად განასხვავებენ ეკონომიკურ ეპოქებს.

ეროვნული შემოსავალი წარმოების ფაქტორთა¹ მფლობელების მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალია ეკონომიკაში. ესაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. ის წარმოადგენს ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების² (შრომის ანაზღაურება, მოგება, შერეული შემოსავალი, საკუთრებიდან შემოსავლები, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე) ჯამს.

ყოველ მეცნიერულ დისციპლინას, მისი შესწავლის საგნისა და მეთოდებიდან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომა აქვს კვლევის ობიექტისადმი. ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის ძირითად მიზანს მეცნიერულად დასაბუთებული, გააზრებული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება და სათანადო, სანდო შედეგების მიღება შეადგენს. ამისთვის კი აუცილებელია იმ "დამხმარე" ინსტრუმენტარის ამოქმედება, რაც ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის ამოცანებს წარმოადგენს და რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

¹ წარმოების ფაქტორებში იგულისხმება მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი.

² პირველადი შემოსავლები ესაა შემოსავლები, რომლებსაც ღებულობენ ინსტიტუციური ერთეულები მათი წარმოების პროცესში მონაწილეობის ან წარმოების პროცესში გამოსაყენებელი საკუთრების ფლობის შედეგად.

1. ეროვნული შემოსავლის მოცულობის განსაზღვრა. საკითხი ეხება ამ მაჩვენებლის გაანგარიშებას სხვადასხვა მეთოდოლოგიით, არსებული მეთოდების სრულყოფას, დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ასახვას ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში;

2. ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შესწავლა;

3. ეროვნული შემოსავლის დინამიკის დახასიათება. უმთავრესია საკითხი მაჩვენებელთა ურთიერთშესაბამისობის შესახებ. ასევე დინამიკის შემადგენელი კომპონენტების ანალიზი;

4. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებანი;

5. ეროვნული შემოსავლის ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის ზომის დადგენა.

სტატისტიკა სწავლობს ეროვნული შემოსავლის რაოდენობრივ მხარეს, ე.ი. განსაზღვრავს მის მოცულობას. გაანგარიშებებს ახდენს როგორც მიმდინარე, ასევე მუდმივ ფასებში.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელობიდან გამომდინარე ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, მის შესახებ ორიოდ სიტყვით გაგვეკეთებინა ზოგადი მიმოხილვა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს ლოგიკურად თანამიმდევრულ, ინტეგრირებულ მაკროეკონომიკურ ანგარიშთა, ბალანსებისა და ცხრილების სისტემას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ კონცეფციებს, განმარტებებს, კლასიფიკაციებს და აღრიცხვის წესებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა საშუალებას გვაძლევს, წარმოდგენა ვიქონიოთ ეკონომიკურ საქმიანობისა და წარმოებას, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის კავშირის შესახებ. ე.ი. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საერთო მდგომარეობის შესახებ.

ეას-ის პირველი საერთაშორისო სტანდარტი მომზადდა 1952 წელს გაეროს ეგიდით, ხოლო მისი მეორე, განახლებული ვარიანტი დოკუმენტურად გაფორმდა 1969 წელს. მესამე გადასინჯული ვარიანტი კი 1993 წლით თარიღდება. ამჟამად მოქმედი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი პირველი რედაქციისგან. იგი შედარებით ფართო, მრავალმხრივი და კონკრეტულია. დადებით მხარესთან ერთად მას გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა, რაზედაც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი რამდენჯერმე იქნა გადასინჯული.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის განახლებული ვარიანტი, რომელსაც ხელს აწერს ხუთი ორგანიზაციის – საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროპის ეკონომიკური კომისიის – ხელმძღვანელი, წარმატებით ინერგება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

ეას-ის დანერგვამ განაპირობა ახალი ცნებებისა და კატეგორიების შემოღების, ხოლო ადრე არსებულში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. შეიცვალა წარმოდგენები ეკონომიკურ საქმიანობაზე, მის საზღვრებსა და შედეგებზე, გადაიხედა მომსახურების სფერო და მისი როლი წარმოებაში, ეკონომიკა დაიყო სექტორებად, საჭირო გახდა რეზიდენტების, არარეზიდენტების, ეკონომიკური ტერიტორიის, ტრანსფერებისა და სხვა ცნებებისა და კატეგორიების დაკონკრეტება. ზოგიერთი ამ და სხვა ცნებების შესახებ განმარტებები მოცემულია შემდგომ ქვეთავებში, ნაწილს კი აქვე მიმოვიხილავთ.

ეკონომიკური წარმოება განისაზღვრება, როგორც ინსტიტუციური ერთეულის პასუხისმგებლობითა და კონტროლით განხორციელებული საქმიანობა, სადაც შრომა, კაპიტალი, საქონელი და მომსახურება გამოყენებულია სხვა სახის საქონლისა და მომსახურების წარმოების მიზნით. ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც ადამიანების ჩარევის გარეშე ხორციელდება ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის წარმოება (მაგალითად, თევზის რესურსების ბუნებრივი მატება საერთაშორისო წყლებში, მაშინ როცა მეთევზეობა განიხილება, როგორც წარმოების პროცესი).

ეას-93-ის მიხედვით განსაზღვრული წარმოების საზღვრები (სისტემაში წარმოების საზღვრები) ამ ზოგად განსაზღვრებასთან შედარებით ვიწროა. წარმოების საერთო საზღვრებისაგან განსხვავებით სისტემის წარმოების საზღვრებში არ შედის შინამეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის თავისსავე შინამეურნეობაში გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურება (დაქირავებული შინამოსამსახურის მიერ გაწეული მომსახურების გარდა).

ეროვნული ანგარიშების სისტემის (ეას-93-ის) მიხედვით განსაზღვრულ წარმოების სფეროს საზღვრებში შედის:

- ინდივიდუალური ან კოლექტიური სარგებლობის ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელიც მწარმოებლის მიერ მიეწოდება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს (ან განკუთვნილია მიწოდებისათვის), ასეთივე

საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში შუალედური მოხმარებისათვის გამოსაყენებელი საქონლისა და მომსახურების წარმოების ჩათვლით;

- საკუთარი ძალებით ყოველგვარი საქონლის წარმოება მწარმოებლის მიერ თავისივე საბოლოო მოხმარების ან მთლიანი დაგროვებისათვის გამოსაყენებლად;

- საკუთარი საცხოვრისის გამოყენებით მიღებული საბინაო მომსახურების გაწევის პირობითად გაანგარიშებული ღირებულება, აგრეთვე, შინამოსამსახურების (დამლაგებლის, მეზოვის, ბავშვების მომვლელი ძიძის და სხვ.) მიერ გაწეული მომსახურება.

საქონლისა და მომსახურების ოფიციალური წარმოების გარდა, წარმოებამ უნდა მოიცავს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აკრძალული საქმიანობის სახეების შედეგები.

წარმოების საზღვრებში არ შედის:

- საშინაო მომსახურებანი, როგორცაა საცხოვრისის დალაგება და ტექნიკური მომსახურება, საკვების მომზადება და მიწოდება, ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლა და სხვა.

- საქმიანობა, რომლის შედეგი არ წარმოადგენს წარმოების მიზანს, ე.ი. წარმოების პროცესის თანამდგომელი პროდუქტები, რომლებიც თავისთავად სავსებით ლეგალურია, მაგრამ შეუძლიათ პროდუქტის მომხმარებლის გარდა, ზემოქმედება მოახდინონ სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზეც (დაბინძურება, გამონაბოლქვი და ა.შ.). ამავე კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ქრთამის აღება, გამოძალვა და პროდუქტის მოპარვა.

ეას 1993-ის მიღებამდე ეკონომიკურ საქმიანობასა და საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენებოდა შიდა და ეროვნული ეკონომიკის ცნებები, რამაც განაპირობა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაანგარიშება ორი მაჩვენებლით: მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი. ახალ მეთოდოლოგიაში ეს განსხვავება აღარ გვხვდება. თუმცა ამერიკაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში კვლავ ანგარიშობენ ამ მაჩვენებლებს.

შიდა ეკონომიკა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას.

ეროვნული ეკონომიკა მოიცავს მხოლოდ რეზიდენტების საქმიანობას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შემოსავლების შესახებ ესოდენ ნათელ, აშკარა სურათს იძლევა. ის იმდენად მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიაა, რომ სისტემაში რამდენიმე სახის ანგარიში ახასიათებს შემოსავლების ფორმირებისა და განაწილება-გადანაწილების ფუნქციებიდან გამომდინარე. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემა ეფუძნება ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ხიქსის (1904-1989) მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც შემოსავალი განისაზღვრება როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე დროის რაიმე პერიოდში და ამასთანავე შეინარჩუნოს პერიოდის ბოლოსთვის საწყისი (პერიოდის) კაპიტალი. სხვაგვარად, შემოსავლებმა უნდა გვიჩვენოს, თუ რამდენი უნდა დაიხარჯოს მოხმარებაზე გადარიბების გარეშე. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემა ჯ. ხიქსის საერთო კონცეფციის საფუძველზე ახასიათებს განაწილების პროცესის სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ფაზებსა და ასპექტებს.

შემოსავლების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ცენტრალური ანგარიშებია. სწორედ ისინი აკავშირებენ პროდუქციის წარმოების შედეგებს შემოსავლების ფორმირებასა და კაპიტალის წარმოქმნასთან, ფინანსური აქტივებისა და პასივების ცვლილებებთან, ეროვნული სიმდიდრის დაგროვებასთან. შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების პროცესი სამ ძირითად ეტაპად იყოფა: პირველადი განაწილება, მეორადი განაწილება და გადანაწილება ნატურალური ფორმით.

პირველი ეტაპი მიეკუთვნება დამატებული ღირებულების განაწილებას წარმოების ფაქტორებს შორის. ეს განსაზღვრავს პირველადი შემოსავლების საღდოს, რაც მთელი ეკონომიკისათვის ეროვნულ შემოსავლად იწოდება. ამ ჯგუფის შემოსავლების ანგარიშების მთავარ ამოცანას წარმოებასთან დაკავშირებული შემოსავლების გამოყოფა წარმოადგენს. თავის მხრივ, ამ ეტაპზე გამოყოფენ შემოსავლების ფორმირების ანგარიშსა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშს. უკანასკნელი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაიყოს ორ სუბანგარიშად: სამეწარმეო შემოსავლების ანგარიშად და სხვა პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშად.

მეორე ეტაპი მოიცავს შემოსავლების გადანაწილებას უმთავრესად ტრანსფერების მეშვეობით ფულადი სახით. ეს განსაზღვრავს განკარგვით შემოსავალს.

მესამე ეტაპი დაკავშირებულია შემდგომ გადანაწილებასთან ტრანსფერების მეშვეობით ნატურალური ფორმით. ეს განსაზღვრავს კორექტირებულ განკარგვით შემოსავალს.

დაბოლოს, შემოსავლების გამოყენების ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების წარმართვას საბოლოო მოხმარებასა და დაგროვებისთვის.

ვინ ქმნის და სად იქმნება ეროვნული შემოსავალი? რა არის და როგორ განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკა? ამ და მსგავს კითხვებზე პასუხებს ქვემოთ ვნახავთ.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულ-რეზიდენტთა ერთობლიობას. ინსტიტუციური ერთეულები არიან ეკონომიკური ერთეულები, რომელთაც შეუძლიათ აქტივების ფლობა და გადაწყვეტილებათა მიღება თავიანთი საკუთარი სახელით (ე.ი. თავიანთ თავზე ვალდებულებების აღება), ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და ახორციელებენ ოპერაციებს სხვა სამეურნეო ერთეულებთან.

მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ის სამეურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთანაა დაკავშირებული. საქართველოში რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში, რომელიც მთავრდება საგადასახადო წელს ან იგი საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფება უცხოეთში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში, რეზიდენტს შეიძლება გააჩნდეს ან არ გააჩნდეს მოცემული ქვეყნის ეროვნება, წარმოადგენდეს ან არ წარმოადგენდეს ამ ქვეყნის იურიდიულ პირს, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე (ეკონომიკური ტერიტორია არის მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება) ოპერაციების განხორციელების დროს.

მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია მოიცავს:

ა) ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიას, რომლის შიგნითაც საქონელი გაადგილდება თავისუფლად;

ბ) ნებისმიერ თავისუფალ ზონებს ბაჟით აუნაზღაურებელი ტვირთის შესანახად განკუთვნილი საწყობების ჩათვლით და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სავაჭრო ადგილებს;

გ) ეროვნულ საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს და საერთაშორისო წყლებში მდებარე კონტინენტურ შელფს³, რომელზედაც ქვეყანას აქვს განსაკუთრებული უფლება;

დ) ტერიტორიულ ანკლავს⁴. ე. ი. გეოგრაფიულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს მოცემული ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ საერთაშორისო შეთანხმების ან სახელმწიფოთაშორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენება მოცემული ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებების მიერ (მაგალითად, საელჩოებით, სამხედრო და სამეცნიერო ბაზებით და ა. შ. დაკავებული ტერიტორია).

ე) ექსტერიტორიულ ანკლავს, ე. ი. ქვეყნის საკუთარი გეოგრაფიული ტერიტორიის ნაწილს, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების ან სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, იმ ოპერაციების განხორციელების ნაწილში, რომლებიც დაკავშირებულია ანკლავში შემავალ მიწაზე ან გაყიდვისას მასზე განლაგებულ ნაგებობებზე საკუთრების გადაცემასთან.

ვ) ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ა. შ. მარაგებს ქვეყნის კონტინენტური შელფის საზღვრებს გარეთ მდებარე ტერიტორიულ წყლებში, თუ მათი დამუშავება ხდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

ინტერესების ცენტრის ცნება გულისხმობს ეკონომიკური ოპერაციების ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განხორციელების ხანგრძლივ პერიოდს.

რეზიდენტობის ცნების განსაზღვრების შემდეგ ჩვენთვის უკვე ნათელია ინსტიტუციური ერთეულ-რეზიდენტის შინაარსი. თუმცა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ასახავს არა მხოლოდ მოცემული ქვეყნის ერთეულ-რეზიდენტთა საქმიანობას, არამედ ოპერაციათა ნაწილს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ არარეზიდენტებთან (ე.ი. ერთეულებთან, რომლებიც გვევლინებიან სხვა ქვეყნის ეკონომიკის რეზიდენტებად). ასეთი ოპერაციები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკის საგარეო ოპერაციებს და ჯგუფდება დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშზე.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურას სტატისტიკა შეისწავლის შემოსავლების ძირითადი სახეების, ასევე დანახარჯების კატეგორიების,

³ შელფი – ინგლ. shelf – კონტინენტის წყალქვეშა გაგრძელება 200 მ-მდე სიღრმეში, სადაც ხშირად მოიპოვება სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობის, ბუნებრივი აირის) საბადოები. სხვანაირად უწოდებენ კონტინენტურ შელფს ანუ მენჩს.

⁴ ანკლავი – ფრანგ. enclave – ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიებით და არ გააჩნია საზღვაო სანაპირო.

ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. ამისთვის ის იყენებს სტრუქტურის შეფარდებით სიდიდეებს.

მნიშვნელოვანია საკითხი ეროვნული შემოსავლის დინამიკის შესახებ. სტატისტიკა პირველ რიგში შეისწავლის ურთიერთშესაბამისი მწკრივების მიღების საკითხებს და შემდეგ ანგარიშობს ეროვნული შემოსავლის დინამიკის მაჩვენებლებს (აბსოლუტურ მატებას, ზრდისა და მატების ტემპებს და ა. შ.). სტატისტიკის ამოცანაა, ეროვნული შემოსავლის დინამიკის ანალიზის გზით გამოყოს მისი განვითარების ერთგვაროვანი ეტაპები, აღმოაჩინოს და დაახასიათოს თვისობრივი კანონზომიერებანი და ტენდენციები და მისი სპეციფიკური თავისებურებანი. განვითარების ტენდენციის გამოვლენისათვის კი იყენებს მოსწორების სხვადასხვა ხერხებს: სრიალა საშუალოების, ანალიზურ და ა. შ.

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ამოცანაა, აჩვენოს მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და დაახასიათოს მისი დინამიკა.

სტატისტიკის უმთავრეს ამოცანას ეროვნული შემოსავლის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ზომის დადგენა წარმოადგენს, რისთვისაც იყენებს ანალიზური დაჯგუფების, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის და ა.შ. მეთოდებს. ადგენს, თუ როგორ იცვლება ეროვნული შემოსავლის მოცულობა მასზე მოქმედი ფაქტორის ერთი ერთეულით ცვლილებისას. ე. ი. ადგენს იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რაც არსებობს ეროვნულ შემოსავალს – როგორც შედეგსა – და მასზე მოქმედ მრავალრიცხოვან ფაქტორებს – როგორც მიზეზებს – შორის.

მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება გამოვავლინოთ ეროვნულ შემოსავალზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორები და შეძლებისდაგვარად შევამციროთ მათი გავლენის სიდიდე და პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ ისეთ ფაქტორთა სიდიდის ზრდას, რომლებიც იწვევენ ეროვნული შემოსავლის მოცულობის გადიდებას.

12 ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ისტორიული ასპექტები

რამდენიმე ასეული წელი გვაშორებს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა პირველი გაანგარიშებიდან. ამ ხნის მანძილზე ძირეული ცვლილებები მოხდა ამ მაჩვენებლის ცნებისა და მისი გაანგარიშების მეთოდების სრულყოფისთვის და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება.

ეკონომისტები, დაწყებული უ. პეტიდან, იკვლევდნენ საზოგადოებრივ წარმოებას, როგორც სიმდიდრის ძირითად წყაროს. სწორედ ისინი იყვნენ პირველი ეკონომისტები, რომელთაც მოგვცეს კაპიტალისტური საზოგადოების შემოსავლების ანალიზი და განაწილების პირველი თეორია.

ისტორიაში ცნობილია მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის ბალანსის შედგენის ორი მცდელობა XVII საუკუნის II ნახევარში. ასეთი ბალანსის შედგენის პირველი მცდელობა გააკეთა უ. პეტმა (1623-1687წწ.), რომელმაც გაიანგარიშა ინგლისისა და უელსის შემოსავლებისა და გასავლების ჯამი 1660 და 1680 წლებს.

თავის გაანგარიშებებში უ. პეტი გასავლებს განიხილავს როგორც ინგლისის ერთ სულ მოსახლეზე საშუალო გასავალს.

შემდეგ უ. პეტი განსაზღვრავს ქვეყნის შემოსავალს, როგორც მიწის რენტის, მოგებისა და ხელფასის სახით. შემოსავალ-გასავლის ანალოგიური გაანგარიშებანი იგივე წლებში მან გააკეთა ირლანდიისთვისაც.

უ. პეტის მიერ ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებებიდან, როგორც საწყისიდან, აღმოცენდა ეროვნულ გაანგარიშებათა თანამედროვე სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განზოგადებული ფორმით გარკვეული ზომის სიზუსტით ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორია წარმოების მოცულობა მოცემულ ქვეყანაში, როგორ ნაწილდება წარმოებული პროდუქცია დაგროვებასა, მოხმარებასა და ექსპორტზე, როგორია მოსახლეობის შემოსავლები და ა. შ. თუმცა თვით უ. პეტის გაანგარიშებებს არსებითი ნაკლოვანებები გააჩნდა. იგი ეროვნულ შემოსავალს ანგარიშობდა როგორც მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ჯამს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, უგულვებელყოფდა შემოსავლის დაგროვებად ნაწილს, რომელიც გამოიყენება შენობების, მოწყობილობების, მიწის გაუმჯობესების და ა.შ. კაპიტალდაბანდებებისთვის.

უ. პეტის გაანგარიშებებს აქვს დიდი მნიშვნელობა, რამეთუ ისინი გვევლინებიან ეკონომიკის ისტორიაში შემოსავლებისა და საზოგადოებრივი

მოხმარების გაანგარიშების პირველ მცდელობად. თუმცა ეს გაანგარიშებანი არ იყო მკაცრად მეცნიერული, მათ აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, როგორც მთავარი თეორიული პრობლემის გადაჭრის პირველ მიდგომას.

შემოსავალ-გასავლის ბალანსის გაანგარიშების მეორე მცდელობას წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის სტატისტიკური მიმოხილვა ინგლისში 1688 წელს, რომელიც შეადგინა გ. კინგმა (1648-1712წწ.).

თავის მიმოხილვაში გ. კინგი გვაძლევს ინგლისის მოსახლეობის დანაწილებას ცალკეულ სოციალურ ჯგუფებად. განსაზღვრავს ოჯახთა რაოდენობას თითოეულ სოციალურ ჯგუფში, ოჯახში სულთა რაოდენობას, თითოეული სოციალური ჯგუფის პირთა რაოდენობას, წლიურ შემოსავალს ერთ ოჯახზე, სოციალური ჯგუფის წლიურ შემოსავალს, წლიურ გასავალს მოსახლეობის ერთ სულზე და შემოსავალ-გასავლის სალდოს ცალკეული პირებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით მთლიანად.

გ. კინგის მთლიანი მიმოხილვა იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოტანილია ისეთი სოციალური ჯგუფის მონაცემები, რომელთა შემოსავლები სჭარბობს გასავლებს; მეორე ნაწილში კი მოტანილია მონაცემები მოსახლეობის ღარიბი ფენების შესახებ, რომელთა შემოსავლები გასავლებზე ნაკლებია. გ. კინგის მიერ ასეთი დაყოფა მოტანილია იმ მიზნით, თუ რომელი კლასები, ფენები ზრდიან საზოგადოების სიმდიდრეს და რომელი ფენები ამცირებენ მას.

სიმდიდრის გამზრდელ ფენებად, გ. კინგის აზრით, გვევლინებიან ის ფენები, რომლებიც ღებულბენ დიდ შემოსავალს და არა ისინი, რომელნიც ქმნიან სიმდიდრეს.

უ. პეტისგან განსხვავებით გ. კინგმა მოგვცა შემოსავალ-გასავლის სალდოს ე.ი. დაგროვების გაანგარიშება.

ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ისტორიაში საინტერესოა ფიზიოკრატების (ფ. კენე (1694-1774), ტიურგო (1727-1781) , ლეოპოლდ კრუგი და ა.შ.) წვლილი. მათი აზრით, ვაჭრობა შეუძლებელია იყოს მოგებისა და სიმდიდრის ზრდის წყარო. ის უნდა ვეძებოთ წარმოებაშიო. მაგრამ მათი თეორიის ნაკლი ის იყო, რომ წარმოებაში გულისხმობდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობას. ფიზიოკრატები საქონლის ღირებულებას არ განსაზღვრავდნენ მისი წარმოებისათვის აუცილებელი შრომით (რაც უკვე გააკეთა უ. პეტემ); საქონლის ღირებულება მათი აზრით განისაზღვრება ერთი მხრივ, საზოგადოების მოხმარებით, მეორეს მხრივ კი – წარმოების ხარჯებით.

მიიხედვინენ რა სოფლის მეურნეობას ერთადერთ მწარმოებლურ დარგად, ფიზიოკრატები განსაზღვრავდნენ სოფლის მეურნეობის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. ამ უკანასკნელიდან წარმოების ხარჯების (გულისხმობდნენ არა მხოლოდ წარმოების საშუალებათა ხარჯებს, არამედ მიწათმოქმედთა ხარჯებსაც) გამოკლებით ღებულობდნენ წმინდა პროდუქტს. ეს უკანასკნელი კი გვევლინება სახელმწიფო შემოსავალთა და მიწის მესაკუთრეთა შემოსავლების წყაროდ.

ფ. კენესგან განსხვავებით ტიურგო გვაძლევს კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი შემოსავლების სრულ კლასიფიკაციას ხელფასის, მოგების, პროცენტისა და რენტის სახით.

კვლავწარმოების თავიანთი თეორიიდან გამომდინარე, ფიზიოკრატები ეროვნულ შემოსავალს უტოლებდნენ სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქტს. მის ერთ ნაწილს ღებულობენ მიწის მესაკუთრენი რენტის სახით, მეორე ნაწილს კი ღებულობს სახელმწიფო გადასახადების სახით.

საინტერესოა ლეოპოლდ კრუგის მიერ 1798 წლის პრუსიის ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებანი. მისი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან მოგვცა წმინდა ეროვნული შემოსავლის ცნება და მისი გაანგარიშება. ეროვნული შემოსავლის ცნებაში კრუგი გულისხმობს სამომხმარებლო ფასეულობათა ერთობლიობას, რომლებიც იწარმოება სოფლის მეურნეობაში. წმინდა ეროვნულ შემოსავალს კი განსაზღვრავს სამომხმარებლო ფასეულობათა ჯამიდან წარმოების დანახარჯების გამოკლებით.

ღ. კრუგმა მოგვცა ასევე ეროვნული შემოსავლის განაწილებაც მოსახლეობის კლასების მიხედვით.

ღ. კრუგის გაანგარიშებებს აქვთ განსაზღვრული ისტორიული მნიშვნელობა, როგორც ეროვნული შემოსავლის შესახებ ფიზიოკრატიული თეორიის ილუსტრაციას.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლები (ა. სმიტი (1723-1817), დ. რიკარდო (1772-1823), სისმონდი) თვლიან, რომ პროდუქციის ღირებულება მოიცავს შრომის პროცესში გამოყენებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, ხელფასს, მოგებასა და რენტას.

ა. სმიტის აზრით ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი შემოსავალი შედგება მათი მიწისა და შრომისგან მიღებული წლიური პროდუქტისგან, ხოლო მათი წმინდა შემოსავალი შეადგენს იმას, რაც რჩება მთლიანი შემოსავლიდან ძირითადი და

საბრუნავი კაპიტალის გამოკლებით. მოსახლეობის სიმდიდრე პროპორციულია არა მთლიანი, არამედ წმინდა შემოსავლისა.

შემოსავლების თეორიის ახსნისას ა. სმიტი გამოდიოდა იქიდან, რომ საზოგადოებაში არსებობს სამი ძირითადი კლასი: მუშები, კაპიტალისტები და მიწათმფლობელები და მათი შესაბამისი შემოსავლები. მიწათმფლობელები ფლობენ წარმოების მთავარ საშუალებას – მიწას და აქედან იღებენ შემოსავალს მიწის რენტის სახით. კაპიტალისტების საკუთრებაშია სამრეწველო შენობები, მოწყობილობები და ა. შ. ისინი მუშების დაქირავებით იღებენ შემოსავალს მოგების სახით. და ბოლოს, დაქირავებული მუშები, რომლებსაც არავითარი საკუთრება არ გააჩნიათ და ისინი თავიანთი შრომის გაყიდვით იღებენ ხელფასს.

ა. სმიტი მწარმოებლურად თვლიდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს. მან ვერ მოგვცა არამწარმოებლური შრომის ზუსტი განმარტება. მისი აზრით, მსახიობის სიტყვები, გამომსვლელის მოხსენება, მუსიკოსის მუსიკა და სხვა მსგავსი მაშინვე ქრება და იკარგება.

კ. მარქსის (1818-1883) აზრით, ეროვნული შემოსავალი მიიღება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან მატერიალური დანახარჯების ღირებულების გამოკლებით. ჩვენს ეკონომიკაში დღემდე გავრცელებული იყო ასეთი მოძღვრება.

რუსეთში პირველი სპეციალური შრომები ეროვნული შემოსავლის შესახებ გვხვდება 1837 წლიდან ა. ჩივილევის სადოქტორო დისერტაციაში "სახალხო შემოსავლის შესახებ". სეის მსგავსად ა. ჩივილევი გვიჩვენებს არამატერიალური წარმოების მწარმოებლურ დახასიათებას.

აღსანიშნავია მილიუტინის, ასევე პროფესორ ვერნადსკის შეხედულება ეროვნულ შემოსავალზე. ვერნადსკის აზრით ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი პროდუქტის ნაწილს წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლებით.

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში პირველად იქნა გაანგარიშებული ქვეყნის ეროვნული შემოსავალი. ის მოცემულია ვ. ი. პოკროვსკის ნაშრომში. გაანგარიშება მიეკუთვნება 1894 წელს.

ეროვნული შემოსავლის შემდგომი გაანგარიშებანი მოცემული აქვს ს. ნ. პროკოპოვიჩს, ს. გ. სტრუმილინს. პროკოპოვიჩის გამოკვლევის სფერო ევროპის რუსეთის მხოლოდ 50 გუბერნიით შემოიფარგლებოდა და გაანგარიშებანი ატარებდა მიახლოებით ხასიათს.

1924-1925 წწ. ამიერკავკასიის მასშტაბით გაიშალა საკმაოდ ინტენსიური მუშაობა სხვადასხვა სახის ბალანსურ გაანგარიშებათა შესადგენად, კერძოდ, ეროვნული შემოსავლის გასაანგარიშებლად. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებანი მთლიანად ამიერკავკასიის ფედერაციისა და ცალკე რესპუბლიკების მიხედვით ჩატარებულა 1924 და 1925 წლებში. ეს გაანგარიშებანი ჩატარდა ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს (მაშინდელი თავმჯდომარე შ. ელიავა) 1923 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით. გაანგარიშებები პრაქტიკულად ჩატარებია ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის მუშაკს ა. გონჩაროვს. მუშაობის მსვლელობა და შედეგები ეტაპების მიხედვით რამდენჯერმე განუხილავს ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის ეკონომიკურ-სტატისტიკურ სექციას და სათანადო მითითებები მიუცია ავტორისათვის.

ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ჩანასახები საქართველოს ეკონომიკაში სწორედ ამ პერიოდიდან, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან გვხვდება ეპიზოდური სახით და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის პირველი გაანგარიშება 1922-1923 წლებში ჩატარდა ამიერკავკასიის ფედერაციის საგეგმო კომისიის მუშაკის ა. გონჩაროვის მიერ და მისი შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალ “ამიერკავკასიის ეკონომიკურ მოამბეში”.

გაანგარიშებებში გამოყენებულია ე. წ. რეალური მეთოდი, რაც პროკოპოვიჩის მეთოდიკას ემთხვევა. თეორიულად და პრაქტიკულად ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდების მრავალსახეობიდან განიხილავდნენ მეთოდთა ორ ძირითად ჯგუფს ან მათ ამა თუ იმ კომბინაციას. პირველი ჯგუფია ე. წ. წარმოებითი მეთოდები, რომელთა ნაირსახეობას ზოგჯერ რეალურ მეთოდს უწოდებდნენ. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ მოიძებნოს და შეჯამდეს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ცალკეულ საწარმოთა, წარმოების დარგთა მიხედვით მათში შექმნილი წმინდა პროდუქტის შეჯამებით. მეორეა ე. წ. განაწილებითი ანუ პირად ინდივიდუალურ შემოსავალთა მეთოდები.

1922-1923 წწ. ეროვნული შემოსავლის ა. გონჩაროვის გაანგარიშებანი ნაჩვენებია 1.1 ცხრილში.

ცხრილი 1.1 საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1922-1923 წლისათვის
(1913 წლის ფასებით)

	ეროვნული შემოსავალი მლნ. მან.	ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მანეთებში	ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა
სოფლის მეურნეობა	49.0	20.0	70.0
სატყეო მეურნეობა	1.3	0.6	1.4
თევზჭერა	–	–	–
მრეწველობა	11.6	4.7	16.5
ტრანსპორტი	3.0	1.2	4.3
ვაჭრობა	5.4	2.2	7.8
სულ	70.3	28.7	100

1922-1923 წლისათვის საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს არა მარტო იმიტომ, რომ ეს საერთოდ პირველი ცდაა, არამედ იმიტომაც, რომ ის ასახავს ქვეყნის ეკონომიკის ამ განმაზოგადებელ მაჩვენებელს. ამდენად, ამ წლის მაჩვენებელთა უმეტესობა ასახავს იმ ბაზისს, იმ ეკონომიკურ მემკვიდრეობას, რომლითაც დაიწყო, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული შემოსავლის შემდგომ გაანგარიშებებს.

60-იანი წლების შუა ხანებში, 1922-1923 წლების გამოკვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, დინამიკური ჯაჭვური ჩასმის მეთოდის გამოყენებით, ვ. მელქაძემ მიახლოებითი სახით განსაზღვრა საქართველოს ეროვნული შემოსავლის მოცულობა და სტრუქტურა 1913 წლისათვის. აღნიშნული გაანგარიშებანი ნაჩვენებია 1.2 ცხრილში.

ცხრილი 1.2 საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1913 წელს

	ეროვნული შემოსავალი მლნ. მანეთებში	ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა
სოფლის მეურნეობა	84.0	64.6
მრეწველობა	24.7	18.9
მშენებლობა	5.2	3.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	6.0	4.6
ვაჭრობა	10.8	8.1
სულ	130.7	100
ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	5 მან. 30 კაპ.	

დინამიკური ჯაჭვური ჩასმის მეთოდი, რომელიც გამოიყენა პროფესორმა ს. პერეუშინმა 1922-1923 წლის ეროვნული შემოსავლის მიახლოებითი გამოთვლისთვის, ემყარებოდა სამეურნეო მოვლენათა შორის არსებული შინაგანი ურთიერთკავშირის გათვალისწინებას, ერთი მოვლენის აღრიცხული ცვლილების ცოდნაზე დაყრდნობით მეორე უცნობი, მაგრამ პირველზე დამოკიდებული მოვლენის მიახლოებით გაზომვას. ს. პერეუშინმა განსაზღვრა მომდევნო მაჩვენებლები, საქართველოში კი გაანგარიშებულ იქნა აღრიცხული წლის მაჩვენებლები. ორივე შემთხვევაში გაანგარიშების არსი ემყარება მაჩვენებელთა ერთი ჯგუფიდან მაჩვენებელთა მეორე ჯგუფის გამოთვლაში ურთიერთგანმსაზღვრელ სამეურნეო მოვლენათა პროპორციულობის კანონის გამოყენებას.

შემდგომი პერიოდის შესახებ საინტერესოა 1929-1932 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკისა და სტრუქტურის გაანგარიშებათა და შედეგების ანალიზი ა. კაკაბაძის შრომაში “საქართველოს სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის”.

მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მცდელობა არ ყოფილა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ეროვნული შემოსავალი იყო. მოკავშირე რესპუბლიკებში ასეთი სამუშაოების დანერგვა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. ამის მოტივი კი შემდეგი იყო: სსრკ-ს სახალხო მეურნეობა ერთიანია და არასწორი და უმართებულოა სახალხო მეურნეობის ბალანსისა და მისი ძირითადი მაჩვენებლების მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით გაანგარიშება. ასეთი გაანგარიშების შედეგად შესაძლებელია სადავო გახდეს ერთიან სახელმწიფო გეგმაში ტერიტორიების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების, მოხმარების ოდენობისა და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა.

მხოლოდ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოს საგეგმო და სტატისტიკურ ორგანოებშიც დაიწყო სახალხო მეურნეობის ბალანსის ელემენტების სისტემატურ გაანგარიშებათა თანდათანობითი დანერგვა. 1956 წლიდან ყოველწლიურად მუშავდებოდა რესპუბლიკაში წარმოებული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები. 1967, 1972, 1975, 1980 წლების მონაცემებით შეფასდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი საქართველოს შიდა რესპუბლიკური რეგიონების ჭრილში.

საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებამდე ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშებოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან მატერიალური დანახარჯების ღირებულების გამოკლებით. საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი იქმნებოდა მატერიალური წარმოების სფეროში. ე.ი. ეფუძნებოდა წარმოების განსაზღვრების „ვიწრო“ კონცეფციას. მატერიალური წარმოების სფეროს დარგებს მიეკუთვნებოდა: მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სატვირთო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა (საწარმოო სფეროს საწარმოების მომსახურების მიხედვით), ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, დამზადება, სხვა დარგები. ეს უკანასკნელი მოიცავდა საქმიანობის შემდეგ სახეებს: საგამომცემლო საქმე, ჯართისა და უტილის დამზადება და პირველადი გადამუშავება, კინოფილმების წარმოება, მოსახლეობის მიერ ტყის, თევზჭერისა და სამონადირეო

პროდუქტების დამზადება, მოსახლეობის დამხმარე კუსტარულ-სახელოსნო საქმიანობა.

საზოგადოებრივი პროდუქტი მიიღებოდა როგორც მატერიალური წარმოების სფეროს დარგების მთლიანი პროდუქციის ჯამში.

საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი იანგარიშებოდა როგორც მიმდინარე (მოცემული წლის ფასებში), ისე მუდმივ (ბაზად მიღებულ ერთი რომელიმე წლის საშუალო წლიურ ფასებში) ფასებში.

ეროვნული შემოსავლის მოცულობის დასადგენად გამოიყენებოდა საწარმოო, განაწილებითი და საბოლოო გამოყენების მეთოდები. საწარმოო მეთოდი გულისხმობდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას საერთო პროდუქციიდან დახარჯული წარმოების საშუალებების ღირებულების გამოკლებით. განაწილებითი მეთოდი წარმოადგენდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას პირველადი შემოსავლების (ხელფასი, შემოსავლები პირადი დამხმარე მეურნეობიდან, ზედმეტი პროდუქტი – მოგება, ბრუნვის გადასახადი, დაგროვება ნატურალურ ფორმაში) შეჯამების გზით. შემოსავლების საბოლოო გამოყენების მეთოდი კი გულისხმობდა დაგროვებისა და არასაწარმოო მოხმარების ფონდების შეჯამებას.

საქართველოში ეროვნული შემოსავლის მეცნიერული კვლევისადმი მთელი რიგი შრომები აქვთ მიძღვნილი მეცნიერ-ეკონომისტებს: ვ. მელქაძეს, ზ. სულთანაშვილს, ა. თეთრაულს და ა. შ. მისი კვლევა დღესაც გრძელდება.

13 ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდები თანამედროვე ეტაპზე

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების სამი სახის მეთოდია მიღებული. ესენია წარმოების, შემოსავლებისა და დანახარჯების მეთოდები. შესაბამისად, ეროვნული შემოსავალიც აღნიშნული მეთოდებით იანგარიშება. მათ შინაარსს, ურთიერთშორის განსხვავებასა და სამივე სახის მეთოდის დამოუკიდებლად გამოყენების მნიშვნელობას ქვემოთ ვაჩვენებთ.

საქართველოში ზემოაღნიშნული მეთოდები წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მაკროეკონომიკური სტატისტიკის სამმართველოს ეროვნულ ანგარიშთა განყოფილების მიერ.

წარმოების მეთოდით მთლიანი ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშება როგორც ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს მიმატებული “დანარჩენი მსოფლიოდან” მიღებული პირველადი შემოსავლები და გამოკლებული “დანარჩენი მსოფლიოსადმი” გაცემული პირველადი შემოსავლები. ამდენად, მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მთლიანი შიდა პროდუქტის⁵ მაჩვენებელი. აქედან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით ვღებულობთ წმინდა ეროვნულ შემოსავალს.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) განსხვავდება მთლიანი შიდა პროდუქტისგან (მშპ) როგორც შინაარსობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. შინაარსობრივი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მშპ ახასიათებს საქონლისა და მომსახურების ნაკადებს (საბოლოოს), ხოლო მეშ – შემოსავლების ნაკადებს (პირველადს). რაოდენობრივად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი განსხვავდებიან “დანარჩენი მსოფლიოდან” მიღებული/გადაცემული პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით. მშპ შიდა ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად მიიღება. მშპ იმ ღირებულების მაჩვენებელია, რომელიც იქმნება ინსტიტუციური ერთეულების საწარმოო საქმიანობის შედეგად მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. მშპ არ ასახავს იმ საქმიანობის შედეგებს, რაც ხორციელდება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ.

⁵ მთლიანი შიდა პროდუქტი არის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებით გამოხატული მთლიანი ღირებულება. ის განისაზღვრება ასევე, როგორც ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულების ჯამი.

რეზიდენტი-მწარმოებლის წარმოების გარკვეული ნაწილი შეიძლება განლაგებული იყოს საზღვარგარეთ, ამიტომ მისი მოცულობა აღირიცხება მეშ-ში, ხოლო წარმოების ნაწილი მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს არარეზიდენტი ერთეულის მიერ. ასეთი წარმოების მოცულობა აღირიცხება მშპ-ში და არ შედის მეშ-ში.

ამდენად, მშპ იმ ღირებულების საზომია, რომელსაც ქმნიან როგორც რეზიდენტები, ისე არარეზიდენტები მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და არ ითვალისწინებს იმ ღირებულებას, რომელსაც ქმნიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

მეშ იმ ღირებულებათა ჯამია, რომელსაც ქმნიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტები როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ და არ ასახავს არარეზიდენტების საქმიანობას მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

ეროვნული სტატისტიკის პრაქტიკაში მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად მიჩნეულია როგორც მშპ, ისე მეშ. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი განსხვავება ამ ორ მაჩვენებელს შორის დიდი არ არის. განვითარებული ქვეყნებისათვის განსხვავება, როგორც წესი, 1%-ია. საქართველოში მეშ-სა და მშპ-ს შორის განსხვავება 2003 წელს შეადგენდა 0.8 %-ს, 2004 წელს – 1.8 %-ს, 2005 წელს – 1.5 %-ს, 2006 წელს – 2.3 %-ს, 2007 წელს – 0.4 %-ს, 2008 წელს – -1.3 %-ს, 2009 წელს – -1.5 %-ს.

მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება როგორც ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ან სექტორების მიხედვით დამატებული ღირებულების შეჯამებით. დამატებული ღირებულება ასახავს წარმოების შედეგად ახლად შექმნილ ღირებულებას და განისაზღვრება როგორც გამოშვება შუალედური მოხმარების გამორიცხვით. პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვება წარმოადგენს ქვეყნის ერთეული-რეზიდენტების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას საანგარიშო პერიოდში.

განასხვავებენ პროდუქციის გამოშვების შემდეგ სახეებს: საბაზრო პროდუქცია, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებული პროდუქცია და სხვა არასაბაზრო პროდუქცია.

საბაზრო პროდუქცია მოიცავს:

ა) ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით რეალიზებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას. ფასები ითვლება ეკონომიკურად მნიშვნელოვნად, თუ ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მწარმოებლების მიერ მისაწოდებლად განკუთვნილ პროდუქციის მოცულობასა და მყიდველების მიერ შესაძენად განკუთვნილ პროდუქციის მოცულობაზე;

ბ) ბარტერით გაცვლილი საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას;

გ) ნატურალური გადახდისთვის გამოყენებული (ნატურალური ფორმით შრომის ანაზღაურების ჩათვლით) საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას;

დ) საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას, რომელიც ერთი დაწესებულების მიერ მიეწოდება იმავე საწარმოს შემადგენლობაში შემაჯალ სხვა დაწესებულებას (ქვედანაყოფს) შუალედური რესურსების სახით გამოსაყენებლად;

ე) ზემოჩამოთვლილი გამოყენების სახეებისთვის განკუთვნილი მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილების მთლიან ღირებულებას.

საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებული პროდუქციის ღირებულება გაიანგარიშება როგორც შემდეგი მუხლების ჯამი:

ა) საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება, რომელიც იწარმოება შინამეურნეობის საწარმოების მიერ და მოიხმარება ამავე მეურნეობის წევრების მიერ;

ბ) ძირითადი კაპიტალის საერთო ღირებულება, რომელიც იწარმოება დაწესებულების მიერ და ინახება მის ფარგლებში წარმოებაში შემდგომი გამოყენებისთვის (ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება საკუთარი წარმოების ხარჯზე);

გ) ზემოჩამოთვლილი გამოყენების ამა თუ იმ სახისთვის განკუთვნილი მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებების მთლიანი ღირებულება.

სხვა არასაბაზრო პროდუქცია მოიცავს იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საფუძველზე მიეწოდება შინა მეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს ან მთლიანად საზოგადოებას უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით.

სხვა არასაბაზრო პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება შემდეგი მუხლების ჯამის სახით:

ა) საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება, რომელიც მიეწოდება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით;

ბ) საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც მიეწოდება ერთი დაწესებულების მიერ მეორეს (რომელიც მიეკუთვნება იმავე არასაბაზრო მწარმოებელს) შუალედური რესურსების სახით გამოსაყენებლად;

გ) ზემოჩამოთვლილი გამოყენების სახეებისთვის განკუთვნილი მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებების მთლიანი ღირებულება.

არასაბაზრო პროდუქცია ფასდება მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ჯამით, რომელშიც შედის: შუალედური მოხმარება, შრომის ანაზღაურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სხვა გადასახადები წარმოებაზე (სუბსიდიების გამოკლებით).

შუალედური მოხმარება წარმოადგენს იმ საქონლისა (ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით) და მომსახურების ღირებულებას, რომელიც მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში. ის მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ა) მატერიალურ დანახარჯებს;
- ბ) არამატერიალური მომსახურების ანაზღაურებას;
- გ) მივლინების ხარჯებს მგზავრობისა და სასტუმროების მომსახურების ნაწილში;
- დ) შუალედური მოხმარების სხვა ელემენტებს.

გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ღირებულებითი შეფასებისთვის გამოიყენება ფასთა რამდენიმე სისტემა. პროდუქციის გამოშვებას ანგარიშობენ საბაზისო და მწარმოებლის ფასებში.

საბაზისო ფასი ესაა ფასი, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი საქონლისა და მომსახურების ერთეულისთვის მის წარმოებასა და გაყიდვასთან

დაკავშირებული ყველა სახის გადასახადების გამოკლებითა და ყველა სახის სუბსიდიების ჩათვლით (ის არ მოიცავს მწარმოებლის მიერ ცალკე გამოყოფილად დარიცხულ სატრანსპორტო დანახარჯებს).

მწარმოებლის ფასი ესაა ფასი, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი მყიდველისაგან საქონლისა და მომსახურების ერთეულისთვის ყველა სახის გადასახადის ჩათვლით (დამატებული ღირებულების გადასახადისა და იმპორტის გადასახადის გარდა) და პროდუქტებზე მიღებული სუბსიდიების გამოკლებით.

შუალედური მოხმარების შეფასებისთვის გამოიყენება მყიდველის ფასი. ესაა ფასი, რომელსაც იხდის მყიდველი საქონლისა და მომსახურების ერთეულის მიწოდებისთვის მის მიერ დადგენილ ვადებსა და ადგილას. მყიდველის ფასები მოიცავს ყველა სახის სატრანსპორტო ხარჯებს, რომელსაც იხდის მყიდველი დადგენილ დროსა და ადგილას საქონლის მიწოდებისთვის.

მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, რომელიც საფუძვლად უდევს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშებას, იანგარიშება "საბაზრო ფასებით", რაც ნიშნავს, რომ პროდუქციის გამოშვება გაიანგარიშება მწარმოებლის ფასებით, შუალედური მოხმარება კი მყიდველის ფასებით.

საგარეო ოპერაციების შემოსავლების სიდიდე, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის ეროვნული შემოსავლისგან განმასხვავებელი მაჩვენებელი და ამ უკანასკნელის ფორმირების განმსაზღვრელია, დაწვრილებით შეისწავლება საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკაში, თუმც მისი ასახვა ასევე ხდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში დანარჩენი მსოფლიოს მიმდინარე ანგარიშზე.

საგარეო ოპერაციების შემოსავლების კატეგორია მოიცავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ორი ტიპის ოპერაციას:

1. შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ოპერაცია (მაგალითად, სეზონური, სასაზღვრო და სხვა კატეგორიის დროებითი მუშებისთვის).
2. საგარეო აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით საინვესტიციო შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ოპერაცია. მასში ჩაირთვება პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებით განპირობებული შემოსავლების მიღება ან გადახდა; ასევე სარეზერვო აქტივებიდან მიღებული შემოსავლები.

შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასსა და სხვა გადახდებს (ფულადი ან ნატურალური ფორმით), რომლებსაც ღებულობენ მუშა-მოსამსახურეები სხვა ქვეყნების რეზიდენტებისადმი შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ.

საინვესტიციო შემოსავლები ანუ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ტერმინოლოგიით საკუთრებიდან შემოსავალი მოიცავს მოცემული ქვეყნის ერთეულ-რეზიდენტების მიერ მიღებულ შემოსავალს თავიანთი უცხოური ფინანსური აქტივების მიხედვით.

საინვესტიციო შემოსავლების ყველაზე მეტად გაგრძელებულ სახეებს მიეკუთვნება კაპიტალში მონაწილეობით მიღებული შემოსავლები (დივიდენდები) და შემოსავლები სასესხო ვალდებულებების მიხედვით (პროცენტები). საინვესტიციო შემოსავლების სამ სახეს განასხვავებენ:

1. შემოსავლები პირდაპირი ინვესტიციებიდან; მოცემული საკლასიფიკაციო ჯგუფის შემოსავლების ორი კომპონენტი – კაპიტალში მონაწილეობიდან შემოსავალი და სასესხო ვალდებულებებიდან შემოსავალი – შეადგენს ინვესტორის პირდაპირი ინვესტიციის ფორმით საწარმოში დაბანდებული კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალს. პირდაპირი ინვესტორის ძირითად მოტივს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მდებარე საწარმოს მართვაზე გავლენის მოხდენა შეადგენს.

2. შემოსავლები პორტფელის ინვესტიციებიდან, რომლებიც მოიცავს აქციების, ობლიგაციების, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, ასევე საწარმოო ფინანსური ინსტრუმენტების, როგორცაა ოფციონი, ფლობის შედეგად მიღებულ ფულად შემოსავლებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. ოფციონი განისაზღვრება როგორც კონტრაქტი, რომელიც ოფციონის მყიდველს აძლევს განსაზღვრული რაოდენობის ფინანსური ინსტრუმენტებისა ან საქონლის ყიდვის ან გაყიდვის საშუალებას რაიმე პერიოდის განმავლობაში წინასწარ შეთანხმებული ფასით.

3. შემოსავლები სხვა ინვესტიციებიდან, რომლებიც მოიცავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ნებისმიერი სხვა ფინანსური საჭიროებების (აქტივები ან ვალდებულებები) შედეგად მიღებულ ან გადახდილ პროცენტებს. სხვა ინვესტიციები ესაა კომერციული კრედიტები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები და სესხები.

სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების განკარგულებაში მყოფ ან მათ მიერ კონტროლირებად უცხოურ ფინანსურ აქტივებს. ესაა აქტივები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასხდელო ბალანსის უარყოფითი სადღოს დასაფინანსებლად, ასევე მსგავსი მიზნებისთვის. სარეზერვო აქტივები შედგება მონეტარული ოქროსგან,

ნასესხობის სპეციალური უფლების საშუალებებისგან, საერთაშორისო სავალუტო ფონდში ქვეყნის სარეზერვო პოზიციის, უცხოური ვალუტის რეზერვების და ზოგიერთ სხვა ფინანსური საშუალებებისგან. ნასესხობის სპეციალური უფლება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოშვებულ საერთაშორისო სარეზერვო აქტივებს, რომლებიც ნაწილდება მის წევრ სახელმწიფოებზე ქვოტის პროპორციულად.

ეროვნული შემოსავლის წარმოების მეთოდით გაანგარიშებას საქართველოში თვალსაჩინოს ხდის შემდეგი მაგალითი. 2009 წელს მთლიანმა გამოშვებამ შეადგინა 28 701.3 მლნ. ლარი. შუალედურმა მოხმარებამ – 10 752.7 მლნ. ლარი. მშპ-მ შეადგინა 17 948.6 (28 701.3 – 10 752.7) მლნ. ლარი.

“დანარჩენი მსოფლიოდან” მიღებული პირველადი შემოსავლები = 683.4 მლნ. ლარი.

“დანარჩენი მსოფლიოსადმი” გადაცემული პირველადი შემოსავლები = 949.2 მლნ. ლარი.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი = 17 682.8 (17 948.6 + 683.4 – 949.2) მლნ. ლარი.

მთლიანი ეროვნული შემოსავლის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ წმინდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება მარტივი არითმეტიკული ოპერაციით ხდება:

წმინდა ეროვნული შემოსავალი = მთლიანი ეროვნული შემოსავალი - ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ეროვნული შემოსავლის წარმოების მეთოდით გაანგარიშების დინამიკა 1990-2009 წლებში ნაჩვენებია 1.3 ცხრილში.

ცხრილი 1.3 ეროვნული შემოსავალი წარმოების მეთოდით, 1990-2009

(მიმდინარე ფასებში, 1990-1993 წწ. მლნ. რუსული რუბლი, 1994-1995 წწ. მლრდ. კუპონი, 1996 წლიდან მლნ. ლარი)

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
გამოშვება	27 873.0	38 441.0	294 643.0	42 424.0	3 200 247.0	6 171 145.0	6 284.4	7 199.2	7 748.3	8 705.4
(+) წმინდა გადასახადები (გადასახადებს – სუბსიდიები) პროდუქციაზე	799.1	1 370.4	1 622.2	1 505.5	38 098.0	206 534.0	111.6	269.5	240.4	327.0
(-) შუალედური მოხმარება	13 707.0	20 665.0	157 970.0	16 341.0	1 431 712.0	2 684 191.0	2 527.5	2 913.7	2 966.7	3 363.8
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	14 965.1	19 146.4	138 295.2	27 588.5	1 806 633.0	3 693 488.0	3 868.5	4 554.9	5 022.1	5 668.7
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	0.0	0.0	-9 661.0	-103.0	41.0	4 604.0	7.0	242.1	338.8	422.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	0.0	0.0	1 679.0	614.0	9 553.0	80 901.0	95.9	76.8	72.4	128.4
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	14 965.1	19 146.4	126 955.2	26 871.5	1 797 121.0	3 617 191.0	3 779.6	4 720.3	5 288.5	5 962.8
(-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	2 345.0	2 494.0	13 501.0	2 879.0	235 371.0	413 308.0	304.5	383.6	516.4	661.6
(=) წმინდა ეროვნული შემოსავალი	12 620.1	16 652.4	113 454.2	23 992.5	1 561 750.0	3 203 883.0	3 475.1	4 336.7	4 772.1	5 301.2

ცხრილი 1.3 (გაგრძელება)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009*
გამოშვება	9 302.7	10 310.8	11 608.4	13 484.0	15 033.7	17 443.5	20 525.7	25 236.9	28 318.8	26 261.7
(+) წმინდა გადასახადები (გადასახადებს – სუბსიდიები) პროდუქციაზე	366.8	436.0	495.4	522.2	834.7	1 336.5	1 743.1	2 382.7	2 553.0	2 439.6
(-) შუალედური მოხმარება	3 626.4	4 072.8	4 647.8	5 442.1	6 044.1	7 159.0	8 478.9	10 625.8	11 796.9	10 752.7
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	6 043.1	6 674.0	7 456.0	8 564.1	9 824.3	11 620.9	13 789.9	16 993.8	19 074.9	17 948.6
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	352.4	202.7	352.4	380.5	478.2	477.6	598.5	803.4	760.1	683.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	120.6	135.4	279.3	313.3	297.7	306.8	286.0	736.8	1 016.9	949.2
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	6 274.9	6 741.3	7 529.2	8 631.3	10 004.9	11 791.7	14 102.5	17 060.5	18 818.0	17 682.8
(-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	631.7	707.0	790.1	932.9	976.8	1 113.5	1 306.4	1 617.0	1 758.0	1 554.3
(=) წმინდა ეროვნული შემოსავალი	5 643.2	6 034.3	6 739.1	7 698.4	9 028.0	10 678.3	12 796.1	15 443.4	17 060.0	16 128.4

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება ასახავს წარმოების მოცულობას. ის განისაზღვრება როგორც საანგარიშო პერიოდში საწარმოს კუთვნილი ძირითადი კაპიტალის მარაგების ღირებულების შემცირება ფიზიკური ცვეთის, ნორმალური მოძველების ან შემთხვევითი დაზიანების შედეგად. (აქ არ ჩაირთვება ომის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ძირითადი კაპიტალი. ეს უკანასკნელი სისტემაში აისახება „აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების“ ანგარიშზე). ძირითადი კაპიტალის მოხმარება მიეკუთვნება წარმოების დანახარჯებს და ამიტომ გამოირიცხება პროდუქციის გამოშვებიდან.

თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკული მიზეზების გამო ძირითადი კაპიტალის მოხმარება განისაზღვრება სხვადასხვა გზით:

თუ ყოველწლიურად ხდება ძირითადი კაპიტალისა და მათი ცვეთის ღირებულების გადაფასება, შეიძლება გამოვიყენოთ უშუალოდ ძირითადი კაპიტალის ბალანსის მონაცემები.

თუ ძირითადი კაპიტალის გადაფასება არ ხდება ყოველწლიურად, მაშინ ძირითადი კაპიტალის მოხმარება უნდა გავიანგარიშოთ მიმდინარე ფასებში დარგების გამოშვების ღირებულების ნამრავლით ძირითადი კაპიტალის ბალანსიდან ცვეთის თანაფარდობაზე მაღალი ინფლაციის საწყისი პერიოდის შესაბამის გამოშვებასთან. საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში დღეისათვის აღნიშნული მეთოდი გამოიყენება.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის წარმოების მეთოდით გაანგარიშების დინამიკა 2006-2009 წლებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია 1.4 ცხრილში.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკაცია ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს, რომელიც შემუშავებულია მისი ევროპული სტანდარტის NACE rev. 1.1 ბაზაზე. კლასიფიკაცია განხორციელებულია სექციის დონეზე, რომელიც თავის მხრივ აგრეგირებულია უფრო დეტალური 45 საქმიანობის სახის საფუძველზე. თავდაპირველად ხდება მთლიანი გამოშვების, შემდეგ შუალედური მოხმარების და დამატებული ღირებულების გაანგარიშება 45 საქმიანობის სახის მიხედვით. საბოლოოდ კი აგრეგირდება სექციის დონეზე. ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამი მთლიან შიდა პროდუქტს შეადგენს. ამ უკანასკნელისთვის კი დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული/გაცემული პირველადი შემოსავლების სალდოს მიმატებით ვღებულობთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

ცხრილი 1.4 საქართველოს ეროვნული შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მლნ. ლარი

	2006	2007	2008	2009*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	1 544,3	1 562,7	1 551,1	1 488,4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	138,8	139,2	128,9	105,9
დამამუშავებელი მრეწველობა	1 194,3	1 400,0	1 509,4	1 307,7
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	375,1	410,7	434,3	463,7
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	338,9	460,5	482,6	485,4
მშენებლობა	947,3	1 141,4	1 058,3	949,3
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1 878,6	2 167,2	2 680,9	2 225,8
სასტუმროები და რესტორნები	317,4	352,9	395,7	362,1
თრანსპორტი	1 102,8	1 231,2	1 162,5	1 190,5
კავშირგაბმულობა	491,7	534,2	650,5	655,1
საფინანსო საქმიანობა	292,8	368,2	442,0	452,7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	456,0	583,6	663,3	633,8
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	332,6	369,4	466,7	533,9
სახელმწიფო მმართველობა	1 174,5	2 176,8	2 850,1	2 457,6
განათლება	511,2	549,2	671,2	755,6
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	597,5	688,6	835,2	1 010,5
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	450,1	627,5	748,4	638,5
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	10,2	11,1	14,3	17,0
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-107,3	-163,4	-223,5	-224,4
მშპ საბაზისო ფასებში	12 046,9	14 611,1	16 521,8	15 509,0
(+) გადასახადები პროდუქციაზე	1 800,6	2 454,3	2 639,3	2 530,9
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	57,6	71,6	86,3	91,3
მშპ საბაზრო ფასებში	13 789,9	16 993,8	19 074,9	17 948,6
(+) პირველადი შემოსავლების საღღო დანარჩენი მსოფლიოდან	312,5	66,7	-256,8	-265,8
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	14 102,5	17 060,5	18 818,0	17 682,8

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშების უმთავრეს მეთოდს წარმოადგენს **შემოსავლების მეთოდი**, რომლის მიხედვითაც ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშება ყველა ინსტიტუციური ერთეული-რეზიდენტის მიერ წარმოების ფაქტორების მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ერთობლივი შემოსავლის – შრომის ანაზღაურების, რენტის, მოგების, პროცენტის, გადასახადების – ჯამის სახით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით ესაა "პირველადი შემოსავლების საღდო" – სხვაობა ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების მიერ მიღებულ და გადახდილ მთლიან შემოსავლებს შორის.

რა არის წარმოების ფაქტორები? ვინ, საიდან და რისთვის, რის სანაცვლოდ ღებულობს შემოსავლებს, რომლებიც პირველად შემოსავლებად იწოდება?

წარმოების ფაქტორები იმ რესურსების ერთობლიობაა, რომლებიც წარმოების უწყვეტი, მუდმივი პროცესის განმაპირობებელია. დღეისათვის ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში წარმოების ხუთი ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი) კონცეფციაა გავრცელებული, რომელთაგან თითოეული მათგანის მფლობელი მისი გამოყენების შედეგად ღებულობს შესაბამის შემოსავალს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფულის, საქონლისა ან მომსახურების განსაზღვრულ რაოდენობას, რომელსაც დროის გარკვეულ პერიოდში პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი თუ სახელმწიფო იღებს შესრულებული სამუშაოს საზღაურად.

წარმოების ფაქტორების მფლობელების მიერ მიღებული შემოსავლების სიდიდეს განსაზღვრავს შესაბამისი ფაქტორების საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად.

მიწა და მასთან დაკავშირებული სიმდიდრე, – წარმოების ეს ბუნებრივი ფაქტორი, – უძრავი და რაოდენობრივად შეზღუდულია (ამისათვის საკმარისია თუნდაც ის რეალობა, რომ ადამიანის სასარგებლოდ გამოსაყენებლად ვარგისია დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 30%). ე. ი. მიწის საერთო მიწოდებას თვით ბუნება ზღუდავს და არ შეიძლება შეიცვალოს ფასების ცვლილების გავლენით. მიწის მფლობელი ღებულობს რენტას შემოსავლის სახით. რენტული შემოსავლები ტოლია სხვადასხვა უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული შემოსავლების სიდიდისა (მაგალითად მიწის გამოყენებასა და წიაღისეულის (გადამუშავებაზე) მოპოვებაზე უფლება, პატენტები).

შრომა ესაა ფიზიკურ თუ გონებრივ, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაოთა შესრულება ადამიანის მიერ. ის, როგორც ადამიანისეული რესურსი,

უპირველესად დამოკიდებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის, კერძოდ კი დასაქმებულთა რიცხოვნობაზე. ის არ შეიძლება გახდეს საკუთრება, მაგრამ ადამიანები შესაბამისი საფასურის მიღების მიზნით უწყვეტ მომსახურებას ე. ი. ახორციელებენ შრომით საქმიანობას. სწორედ მათი მომსახურების ფასს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება.

კაპიტალი არის საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად და მომხმარებლამდე მათ დასაყვანად გამოყოფილი საინვესტიციო რესურსები. მთლიანი ინვესტიციები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა ღირებულებას.

კაპიტალთა კაპიტალი ადამიანისეული კაპიტალია, რაც ადამიანის უნარის, შრომითი ჩვევების, პროფესიული ოსტატობის და ა. შ. ერთობლიობაა, რომელიც ყალიბდება მისი აღზრდის, განათლების თუ სხვა საქმიანობის განსაზღვრულ დროში ინვესტირების გზით და რაც შესაძნეველად ზრდის წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობას.

კაპიტალზე შემოსავალი არის პროცენტული განაკვეთი.

სამეწარმეო უნარი ადამიანისეული რესურსის განუყოფელი ნაწილია, თუმც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო წარმოების ცალკე, დამოუკიდებელ ფაქტორადაა გამოყოფილი. მისი მიზანია მიწის, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი კომბინაციის განხორციელების გზით შემოსავლების მაქსიმიზაცია, ეს კი გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. წინასწარ შესაძლო მოგებისა თუ ზარალის სრული განჭვრეტა შეუძლებელია. მეწარმეებს მოგების მხოლოდ ვარაუდი უბიძგებთ ჩამოაყალიბონ ფირმა და განახორციელონ წარმოების პროცესი, თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას.

სწორედ მეწარმე თავისი უნარის, რისკის საფასურად ღებულობს შესაბამის შემოსავალს – მოგებას. წარმოების სხვა ფაქტორული შემოსავლებისგან განსხვავებით მას ვერ განესაზღვრავთ როგორც წონასწორობის ფასს. ესაა როგორც სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

სამეწარმეო უნარს, როგორც წარმოების ფაქტორს, თავისი ფასი აქვს. ამიტომ წარმოების ხარჯებში უნდა შევიდეს არა მხოლოდ ხელფასი, პროცენტი კაპიტალზე და რენტული გადასახადები მიწაზე, არამედ ასევე გადასახადები მეწარმეობისთვის, წარმოების ორგანიზაციის, წარმოების ყველა ფაქტორის შეერთებისთვის. მეწარმის მიერ შესრულებული ფუნქციისთვის ამ გადასახადებს ეწოდება ნორმალური მოგება. თუ პროდუქციის რეალიზაციიდან მთლიანი

შემოსავლები აღემატება ყველა საწარმოო დანახარჯს (ნორმალური მოგების ჩათვლით), ეს ნამეტი გროვდება მეწარმესთან, რომელმაც რისკი გასწია და შეასრულა ფირმის ოპერაციათა ძირითადი ორგანიზატორის ფუნქცია. ამ ნამეტ თანხას წმინდა ანუ ეკონომიკური მოგება ეწოდება. სწორედ ასეთი მოგებითაა დაინტერესებული მეწარმე.

სახელმწიფო, – მეწარმისგან განსხვავებით, რომელიც ახორციელებს წარმოების ფაქტორების თავმოყრასა და წარმოების პროცესის ორგანიზებას, – უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის ფუნქციონირებას. ის ქმნის სამეწარმეო კანონმდებლობას, ადგენს ეკონომიკური თამაშების წესებს და აკონტროლებს მის განხორციელებას. ხელს უწყობს ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას, ზემოქმედებას ახდენს ინფლაციასა და უმუშევრობაზე და ახორციელებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისადმი მხარდაჭერას.

სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობიდან – როგორც წარმოების ფაქტორიდან – მიიღება განსაზღვრული შემოსავალი, რომლის წყაროა არაპირდაპირი გადასახადები (გადასახადები გაყიდვაზე, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და სხვა), რომლებიც ზრდიან ფასს. სწორედ ფასის ნაზრდია სახელმწიფოს შემოსავალი მის მიერ გაწეული ეკონომიკური სამსახურის სანაცვლოდ.

ზემოთ განხილული წარმოების ფაქტორების ფასები შესაბამისი შემოსავლების ფორმირების საფუძველია.

პირველი სახის შემოსავალია შრომის ანაზღაურება, რომელიც მთლიანად წარმოადგენს შინამეურნეობების მიერ მიღებულ განსაზღვრულ სიდიდეს. შემდეგი სახის შემოსავლებია გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (სუბსიდიების გამორიცხვით), რომლებიც სახელმწიფოს მიერ მიიღება. მოგება (რომელიც რჩება ინსტიტუციურ ერთეულს მთლიანი გამოშვებიდან ყველა სახის დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ) ხომ შემოსავლების ძირითადი ნაწილია. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემოსავლების იმ კატეგორიას, რომლებიც საკუთრებიდან შემოსავლების სახელწოდებითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფინანსური და მატერიალური არაწარმოებული აქტივების სხვა ერთეულებისადმი სესხების ან არენდით გადაცემის შედეგად წარმოქმნილ პირველად შემოსავლებს (პროცენტი, დივიდენდები, რენტა და ა.შ.).

მუშაკთა შრომის ანაზღაურება ესაა საწარმოს მუშაკისადმი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოსთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი გასამრჯელო.

მუშაკთა შრომის ანაზღაურება მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

ა) ხელფასსა (ფულადი ან ნატურალური ფორმით) და

ბ) სოციალური დაზღვევის ანარიცხებს, სოციალურ შემწეობებს, დახმარებებს მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით.

ხელფასს ფულადი ფორმით მიეკუთვნება შემდეგი სახის გასამრჯელოები:

ა) რეგულარული (ყოველკვირეული, ყოველთვიური და სხვა ინტერვალით) ხელფასი; სპეციალური დანამატები ღამის საათებისთვის, გამოსაშვებ და სადღესასწაულო (დასვენების) დღეებში; გასამრჯელო განსაკუთრებით მძიმე პირობებსა ან სახლიდან მოშორებით შესრულებული სამუშაოსთვის; გასამრჯელო საზღვარგარეთ მუშაობასთან დაკავშირებით;

ბ) რეგულარული დანამატები, მაგალითად ბინის გადასახადისთვის ან სამუშაოზე მისასვლელად და წამოსასვლელად მგზავრობისთვის;

გ) ხელფასი დროებით მუშაობის შეწყვეტისთვის (შვებულება და ა. შ.)

დ) პრემიები და გასამრჯელოები (საწარმოო მიღწევებისთვის);

ე) საკომისიო, ფულადი და წერილმანი გასამრჯელო.

ნატურალური ფორმით შრომის ანაზღაურებისას მიეწოდება ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება, როგორცაა

ა) კვების პროდუქტები და სასმელები;

ბ) საბინაო მომსახურება;

გ) უნიფორმა ან სხვა სპეცტანსაცმელი;

დ) სატრანსპორტო საშუალებები ან სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგნები პირადი მოხმარებისთვის;

ე) სპორტული ცენტრების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების მომსახურება მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრებისადმი;

ვ) მუშაკთა სამუშაოზე მიყვანა და სამუშაოდან გადაყვანა (ავტოსადგომების მიცემა);

ზ) საკუთარი წარმოების საქონლისა და მომსახურების მიწოდება და ა.შ.

გადასახადები ესაა ინსტიტუციური ერთეულების მიერ სახელმწიფოსადმი საგადასახადო უსასყიდლო გადახდები. ეკონომიკურ თეორიაში გაგრძელებული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ცნების ნაცვლად ეროვნულ

ანგარიშთა სისტემაში გადასახადების კატეგორიები ემთხვევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (2001 წ.), ასევე ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სახელმძღვანელოს დანართში მოტანილ გადასახადების კლასიფიკაციას.

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე (ე.ი. მის წარმოებასა, მიწოდებასა, გაყიდვასა, გადაცემასა და ა.შ დაკავშირებული გადასახადები) და იმპორტზე და საიმპორტო ბაჟს. ასევე წარმოებაზე სხვა სახის გადასახადებს (მიწის, შენობების და სხვა აქტივების ფლობის და წარმოებაში გამოყენების შედეგად გადახდილი გადასახადებს, ასევე გადასახადებს სამუშაო ძალაზე ან მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე).

გადასახადების აღრიცხვა სისტემაში ხდება დარიცხვის მეთოდით. ე.ი. მომენტისათვის, როცა ადგილი აქვს შესაბამის საქმიანობას, ოპერაციას ან მოვლენას, რომელსაც მივყავართ საგადასახადო ვალდებულების აღმოცენებამდე. თუმცა საქართველოს პრაქტიკაში საკასო მეთოდი გამოიყენება იმდენად რამდენადაც ფინანსთა სამინისტროს მონაცემები აღნიშნულ მეთოდს ეფუძნება.

გადასახადები პროდუქტებზე, ე. ი. გადასახადები რაიმე სახის საქონლისა და მომსახურების ერთეულისთვის, მოიცავს დამატებული ღირებულების ტიპის გადასახადებს (საწარმოს მიერ ეტაპობრივად გადახდილი, მაგრამ საბოლოო ჯამში მყიდველის მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი გადასახადი), გადასახადებს და ბაჟებს იმპორტზე, გადასახადებს ექსპორტზე.

სხვა გადასახადებს წარმოებაზე მიეკუთვნება:

- ა) გადასახადი ხელფასის ფონდსა ან სამუშაო ძალაზე;
- ბ) პერიოდული გადასახადები მიწასა, შენობებსა და ნაგებობებზე (რომლებიც გამოიყენება საწარმოო პროცესში);
- გ) ლიცენზიები სამეწარმეო და პროფესიონალური საქმიანობის წარმართვაზე;
- დ) ძირითადი კაპიტალის გამოყენებასა და საქმიანობის სხვა სახეებზე გადასახადი (მოიცავს პერიოდულ გადასახადებს საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო საშუალებებით სარგებლობისთვის მიუხედავად იმისა, საკუთარია თუ არენდითაა აღებული);
- ე) საგერბო მოსაკრებელი (იხვერება იურიდიული დოკუმენტებისა და ჩეკების ოფიციალური გაფორმება);
- ვ) გადასახადი გარემოს გაჭუჭყიანებისთვის;

ზ) გადასახადი საერთაშორისო ოპერაციებზე (საზღვარგარეთ წასვლასა, ფულის გადატანასა და არარეზიდენტებთან ანალოგიურ ოპერაციებზე).

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშებისას საყურადღებოა სუბსიდიების სიდიდე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების (მათ შორის არარეზიდენტების) მიერ მიმდინარე უსასყიდლო გადახდებს საწარმოებისადმი წარმოების მოცულობასა, პროდუქციის გასაყიდ ფასსა ან წარმოებაში მონაწილე ინსტიტუციურ ერთეულთა გასამრჯელოზე ზემოქმედებისთვის. იგი მოიცავს სუბსუდიებს პროდუქტებსა და იმპორტზე და სხვა სუბსიდიებს წამოებაზე.

შემოსავლების მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს მოგება და მასთან გათანაბრებული შემოსავალი ან შერეული შემოსავალი (ესაა შინამეურნეობის წევრების კუთვნილი არაკორპორირებული საწარმოს შემოსავლები), რომელიც შემდეგი სახით გაიანგარიშება: დამატებულ ღირებულებას – მუშაკთა შრომის ანაზღაურება (გადახდილი) – გადასახადები წარმოებაზე + სუბსიდიები (მიღებული).

შემოსავალთა შემდეგი სახის კატეგორიას წარმოადგენს საკუთრებიდან შემოსავალი, რომელიც ასეთი სახით კლასიფიცირდება:

- ა) პროცენტები;
- ბ) კორპორაციის განაწილებული შემოსავალი (დივიდენდები); კვაზიკორპორაციის შემოსავლებიდან ამონაგები (დივიდენდების სახესხვაობა);
- გ) რეინვესტირებული შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან;
- დ) სადაზღვევო პოლისების მფლობელთა შემოსავლები;
- ე) რენტა.

პროცენტი ესაა ფინანსური აქტივების (დეპოზიტების, ფასიანი ქაღალდების აქციების გარდა, კრედიტებისა და სესხების, სხვა დებიტორული დავალიანებების) მფლობელების შემოსავლები.

დივიდენდი არის შემოსავალი, რომელსაც ღებულობენ აქციონერები საშუალებების კორპორაციაში გადაცემის შედეგად.

ორიოდ სიტყვით შეგნერდებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რეინვესტირებული შემოსავლების კატეგორიაზე. საწარმო, რომელშიც პირდაპირი ინვესტიციებია განხორციელებული, საშუალებათა ფაქტიურ გადახდას ახდენს სამეწარმეო შემოსავლებიდან დივიდენდების გადახდით. პირდაპირი უცხოური

ინვესტორებისადმი ამგვარი გადახდები ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და საგადაამხდლო ბალანსში აისახება როგორც საკუთრებიდან შემოსავლის საერთაშორისო ნაკადი. საწარმოს დანაზოგი ან გაუნაწილებელი შემოსავალი უნდა განვიხილოთ ისე, თითქოს ის ხელახლა განაწილდება ან გადაირიცხება ინვესტორებისადმი მოცემული საწარმოს კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, ხოლო შემდეგ მათ მიერ იქნეს რეინვესტირებული.

სადაზღვევო პოლისების მფლობელთა საკუთრებიდან შემოსავალი ესაა სადაზღვევო საწარმოების მიერ მიღებული შემოსავალი ტექნიკური რეზერვების ინვესტირებიდან. ტექნიკური რეზერვები სადაზღვევო პოლისების მფლობელთა აქტივებია. საინვესტიციო შემოსავალი, რომელსაც სადაზღვევო საწარმო იღებს, ანგარიშებში აისახება, თითქოს ის უხდიდეს პოლისის მფლობელს.

მიწის რენტა ესაა რენტა, რომელსაც მიწათმფლობელი ღებულობს არენდატორისგან ფულადი ან ნატურალური ფორმით (რენტა აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. ე. ი. ითვლება, რომ რენტა ერიცხება მიწათმფლობელს უწყვეტად არენდის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში).

მიწის რენტა მოიცავს ასევე შიდა წყლებისა და მდინარეების მფლობელებისადმი გადასახადს რეკრეაციული ან სხვა მიზნებისთვის გამოყენების უფლებისთვის. რენტა ყველა გადასახადებისა და ხარჯების გარეშე, რომელზეც მიწათმფლობელია პასუხისმგებელი, წმინდა რენტაა.

სასარგებლო წიაღისეულზე ან ენერგომატარებლებზე (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი) რენტა აღმოცენდება მისი მესაკუთრის (სახელმწიფოს, ზოგიერთ ქვეყანაში კი კერძო პირის) მიერ სხვა ინსტიტუციური ერთეულისადმი არენდით გადაცემის შემთხვევაში, რათა ამ უკანასკნელმა დაამუშაოს იგი დროის განსაზღვრულ პერიოდში რენტის სანაცვლოდ. ამგვარი გადასახადი კი არც თუ იშვიათად ლიცენზირებულ გადახდებად (როიალტი) იწოდება. თუმცა თავისი არსით რენტაა. მასში შედის არა მარტო მოპოვებითი, არამედ საძიებო (საბურღი და ა. შ.) სამუშაოებიც.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის შემოსავლების მეთოდით გაანგარიშების დინამიკა 1990-2009 წლებში ნაჩვენებია 1.5 ცხრილში.

ცხრილი 1.5 ეროვნული შემოსავალი შემოსავლების მეთოდით, 1990-2009

(მიმდინარე ფასებში, 1990-1993 წწ. მლნ. რუსული რუბლი, 1994-1995 წწ. მლრდ. კუპონი, 1996 წლიდან მლნ. ლარი)

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
შრომის ანაზღაურება	7 241.0	10 314.0	37 871.0	4 257.0	376 025.0	1 368 945.0	814.6	1 065.5	1 290.5	1 386.7
(+) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	1 259.0	1 830.0	2 508.0	1 567.0	42 249.0	236 252.0	217.7	368.8	363.3	485.0
(-) სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0	2 711.0	12 506.0	46.5	50.0	60.0	70.0
(+) მთლიანი საოპერაციო მოგება	6 465.1	7 002.4	97 916.2	21 764.5	1 391 070.0	2 100 797.0	609.7	794.1	992.7	1 528.1
(+) მთლიანი შერეული შემოსავალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	2 273.0	2 376.5	2 435.6	2 339.0
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	14 965.1	19 146.4	138 295.2	27 588.5	1 806 633.0	3 693 488.0	3 868.5	4 554.9	5 022.1	5 668.7
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	0.0	0.0	-9 661.0	-103.0	41.0	4 604.0	7.0	242.1	338.8	422.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	0.0	0.0	1 679.0	614.0	9 553.0	80 901.0	95.9	76.8	72.4	128.4
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	14 965.1	19 146.4	126 955.2	26 871.5	1 797 121.0	3 617 191.0	3 779.6	4 720.3	5 288.5	5 962.8

ცხრილი 1.5 (გაგრძელება)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009*
შრომის ანაზღაურება	1 667.4	1 680.1	1 659.0	1 484.8	1 641.1	1 977.4	2 293.2	3 252.3	4 422.7	5 227.3
(+) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	509.7	581.3	664.4	706.4	1 026.2	1 481.7	1 919.5	2 587.6	2 864.2	2 752.3
(-) სუბსიდიები	56.0	54.1	55.0	56.1	57.3	60.8	57.6	71.6	86.3	91.3
(+) მთლიანი საოპერაციო მოგება	1 670.1	1 973.8	2 685.0	3 517.6	4 397.1	5 263.2	6 747.6	8 264.2	8 780.2	6 726.2
(+) მთლიანი შერეული შემოსავალი	2 252.0	2 492.9	2 502.7	2 911.3	2 817.3	2 959.5	2 887.2	2 961.3	3 094.0	3 334.0
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	6 043.1	6 674.0	7 456.0	8 564.1	9 824.3	11 620.9	13 789.9	16 993.8	19 074.9	17 948.6
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	352.4	202.7	352.4	380.5	478.2	477.6	598.5	803.4	760.1	683.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	120.6	135.4	279.3	313.3	297.7	306.8	286.0	736.8	1 016.9	949.2
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	6 274.9	6 741.3	7 529.2	8 631.3	10 004.9	11 791.7	14 102.5	17 060.5	18 818.0	17 682.8

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშების მნიშვნელოვანი მეთოდია **დანახარჯების მეთოდი**, რომელიც მდგომარეობს საბოლოო მოხმარების ხარჯების, მთლიანი კაპიტალის ფორმირების, წმინდა ექსპორტისა (ექსპორტი იმპორტის გამოკლებით) და საგარეო ოპერაციების პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდეთა შეჯამებაში. აღნიშნული მეთოდი გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები მოხმარებასა და დანახოვს შორის.

მთლიანი საბოლოო მოხმარების ხარჯები მთელი ეკონომიკისთვის განისაზღვრება როგორც შინამეურნეობების, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ყველა ხარჯის ჯამი.

შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე შედგება რეზიდენტი შინამეურნეობების ხარჯებისაგან სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე წარმოადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური ხასიათის მომსახურებაზე ხარჯები.

სახელმწიფოს მიერ გაწეულ კოლექტიურ მომსახურებას უმთავრესად მიეკუთვნება უსაფრთხოებისა და შეიარაღების უზრუნველყოფა, მართლწესრიგის დაცვა, საკანონმდებლო და ნორმატიულ-მარეგულირებელი საქმიანობა, გარემოს დაცვა, სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ა.შ. ასეთი მომსახურებით შეიძლება სარგებლობდეს საზოგადოების ყველა წევრი.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე სპეციფიკურობით ხასიათდება. რამდენადაც აღნიშნული ორგანიზაციები უმთავრესად ახორციელებენ თავისუფალ დროსა, სპორტის, კულტურის და ა.შ. დაკავშირებულ მომსახურებას (უმეტესად ასოციაციის იმ წევრებზე, რომლებიც აკონტროლებენ მას), მის მიერ გაწეული ყველა სახის მომსახურება ითვლება ინდივიდუალურად (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ითვლება ნაწილობრივ კოლექტიურად).

მთლიანი კაპიტალის ფორმირება განისაზღვრება როგორც ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების, მარაგების ცვლილებისა ფასეულობების წმინდა შექენის ჯამის სახით.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება განისაზღვრება როგორც საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის შექენას მინუს გასვლა.

მარაგების ცვლილება მოიცავს მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოებისა და ნედლეულისა და მასალების შექენას მინუს გასვლა.

ფასეულობების წმინდა შექენა განისაზღვრება როგორც ფასეულობების შექენას მინუს გასვლა. ფასეულობები არის აქტივები, რომლებიც უმთავრესად გამოიყენება როგორც ღირებულების შენახვის საშუალება. ფასეულობებია ძვირფასი ქვები და ლითონები, ხელოვნების ნიმუშები (ნახატები), ძვირფასი ქვებით მოჭედილი საიუველირო ნაკეთობანი და ა. შ.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის დანახარჯების მეთოდით გაანგარიშების დინამიკა 1990-2009 წლებში ნაჩვენებია დანართის 1 ცხრილში.

1.4 ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ეროვნული შემოსავალი ქვეყნის მასშტაბით შემოსავლების მახასიათებელი აგრეგატული მაჩვენებელია. ამასთან, ფუნქციონალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეროვნული შემოსავლის საბოლოო მაჩვენებლის ფორმირებაში მონაწილე თითოეული ინსტიტუციური სექტორის პირველადი შემოსავლის სიდიდის განსაზღვრა. თუმცა, ფაქტია, რომ საქართველოში ასეთი ანგარიშების შედგენის პრაქტიკა ჯერაც არ დამკვიდრებულა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის საწყისი პერიოდის შემდეგ (1996 წლიდან) სექტორული ანგარიშები არ შედგენილა, რასაც გარკვეული ობიექტური მიზეზები განაპირობებდა, რომელთაგან უმთავრესი არასაკმარისი ინფორმაციული წყაროები და შრომითი რესურსებია. აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი იმდენად დიდია სამთავრობო, ეკონომიკურ და აკადემიურ წრეებში, რომ შევეცადეთ, ჩვენს ხელთ არსებული შეზღუდული ინფორმაციული რესურსების საფუძველზე, 2009 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, განგვეხორციელებინა ქვეყნის ეკონომიკის სექტორების ჭრილით განხილვა.

სექტორი წარმოადგენს მსგავსი ეკონომიკური ქცევის განმაპირობებელ მსგავსი ფუნქციების, ქცევისა და მიზნების მქონე ინსტიტუციურ ერთეულთა ერთობლიობას. **ინსტიტუციური ერთეული** განისაზღვრება როგორც ეკონომიკური ერთეული, რომელიც ფლობს და განკარგავს აქტივებს, თავისი სახელით იღებს ვალდებულებებს, მონაწილეობს ეკონომიკურ ოპერაციებში სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან, ადგენს ანგარიშების სრულ ნაკრებს.

ინსტიტუციურ ერთეულთა ორ სახეს განასხვავებენ:

1. იურიდიული პირები (საწარმოები, კორპორაციები, კვაზიკორპორაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.);
2. შინამეურნეობები (ფიზიკური პირები ან პირთა ჯგუფი).

კორპორაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის თავისი მფლობელებისთვის მოგების ან სხვა ფინანსური სარგებლის მოტანის მიზნით. ისინი მოქმედებენ მათ მიმართ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მქონე მფლობელებისგან განცალკევებულად. მათ მიეკუთვნებიან სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სხვა.

არაკორპორირებული საწარმოები არიან საწარმოები, რომლებიც არ საქმიანობენ მათი მფლობელი სამეურნეო ერთეულისგან განცალკევებით.

თუ არაკორპორირებული საწარმოები მოქმედებენ როგორც კორპორაციები, ე.ი. აწარმოებენ დამოუკიდებელ აღრიცხვას, ახდენენ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით, გააჩნიათ წარმოების პროცესისა და საშუალებების მართვის განსაზღვრული დამოუკიდებლობა, მაშინ მათ უწოდებენ **კვაზიკორპორაციებს**.

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების წარმოების მიზნით შექმნილ საწარმოებს, რომელთაც არ მოაქვთ მოგება ან ფინანსური სარგებელი იმ ერთეულებისათვის, რომლებიც აფუძნებენ, აკონტროლებენ ან აფინანსებენ მათ.

არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება იყოს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო.

საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები აწესებენ გაწეული მომსახურებისათვის ისეთ საფასურს, რაც აძლევთ მათ საწარმოო დანახარჯების დაფარვისა და მოგების მიღების საშუალებას. თუმცა მოგების მიღება არც არის მათი ძირითადი მიზანი. მათ შეუძლიათ გაწეული მომსახურების ამონაგებს დაამატონ შემოსავლები საკუთრებიდან და ამით უზრუნველყონ ხარჯების დაფარვა. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია კომერციული საწარმოების მიერ მათთვის სხვადასხვა მომსახურების გასაწევად და მათი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ბირჟები, მეწარმეთა ასოციაციები).

არასაბაზრო არაკომერციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ საქონელსა და მომსახურებას სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით. მათი ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროა არა გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, არამედ მათი წევრების შემონატანები, შემოწირულობანი და სხვა ტრანსფერები.

ეკონომიკის სექტორებად დაყოფა განაპირობა იმ ფუნქციონალური თავისებურებების არსებობამ, რაც გააჩნია თითოეული სექტორის საწარმოებსა და დაწესებულებებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არაფინანსური და ფინანსური კორპორაციების მიზანი მოგების მიღებაა. შეიძლება ისინი ყოველთვის ვერ იღებდნენ მოგებას, მაგრამ მათი ფუნქციონირება ყოველთვის მოტივირებულია მოგების მიღებისაკენ სწრაფვით. სამთავრობო

დაწესებულებებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიზანი არაა მოგების მიღება. ისინი უწევენ არასაბაზრო მომსახურებას შინამეურნეობებს გადასახადებისა და საქველმოქმედო შენატანების ხარჯზე. შინამეურნეობები კი გვევლინებიან როგორც საბოლოო მომხმარებლები და სამუშაო ძალის მიმწოდებლები. ამ სექტორების ურთიერთქმედების პროცესი წარმოადგენს ეკონომიკურ წრებრუნვას. ასეთი მიდგომა მოსახერხებელია იმის დასადგენად, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეკონომიკა და როგორია მისი დანარჩენ მსოფლიოზე დამოკიდებულების ხარისხი.

ეკონომიკის სექტორებში (ინსტიტუციურ სექტორებში) ინსტიტუციური ერთეულები ჯგუფდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. მათ მიერ ეკონომიკურ პროცესში შესრულებული ფუნქციებისა და
2. გაწეული დანახარჯების დაფინანსების წყაროს მიხედვით.

სექტორების მიხედვით ეკონომიკის შესწავლის მიზანია ინსტიტუციურ ერთეულებს შორის საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და ხარჯების, კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ნაკადების ანალიზი და პროგნოზირება, აგრეთვე ეკონომიკურ აგენტებს შორის ქცევებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გარკვევა.

ქვეყნის ეკონომიკა განიხილება ხუთი ინსტიტუციური სექტორის ერთიანობის თვალსაზრისით. ეს სექტორებია:

1. არაფინანსური კორპორაციების სექტორი,
2. ფინანსური კორპორაციების სექტორი,
3. სამთავრობო სექტორი,
4. შინამეურნეობების სექტორი და
5. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი.

ქვეყნის ეკონომიკის სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ურთიერთობა და შესაბამისი ოპერაციები აისახება დანარჩენი მსოფლიოს სექტორში. საგარეო-ეკონომიკური სექტორი, ანუ “დანარჩენი მსოფლიო” განიხილება როგორც მეექვსე ინსტიტუციური სექტორი.

არაფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს მოგების მიღების მიზნით შექმნილ საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც აწარმოებენ საბაზრო საქონელსა და ეწევიან არაფინანსურ მომსახურებას.

ფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს მოგების მიღების მიზნით შექმნილ საფინანსო დაწესებულებებს (ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს), რომლებიც ეწევიან საფინანსო მომსახურებას.

სამთავრობო სექტორი მოიცავს პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის განსახორციელებლად შექმნილ დაწესებულებებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ (მომსახურება განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში) და კოლექტიურ (თავდაცვა, უშიშროება) არასაბაზრო მომსახურებას.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს ფიზიკურ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა ძირითადი მიზანი სამუშაო ძალით წარმოების უზრუნველყოფა და საბოლოო მოხმარებაა. თუმცა ისინი ახორციელებენ ასევე საბაზრო პროდუქციის წარმოებასაც.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი მოიცავს იურიდიულად ან საზოგადოების მიერ აღიარებულ ერთეულთა ერთობლიობას (პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, პროფკავშირები, რელიგიური დაწესებულებები), რომელთა ძირითადი მიზანია შინამეურნეობებისათვის არასაბაზრო მომსახურების გაწევა. მსგავსი ორგანიზაციები ფუნქციონირებენ შემოწირულობების ან ტრანსფერების მეშვეობით.

დანარჩენი მსოფლიოს სექტორი მოიცავს არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულთა ერთობლიობას, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ იპერაციებს ქვეყნის რეზიდენტებთან. ის არაა სექტორი, რომლისთვისაც ანგარიშები სრული სახით შედგებოდა, თუმცა ის განიხილება როგორც სექტორი. ანგარიშები და ცხრილები დანარჩენი მსოფლიოსთვის შემოსაზღვრება მხოლოდ რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ეკონომიკური ოპერაციებით. ის მოიცავს ისეთ ინსტიტუციურ ერთეულებსაც, როგორებიცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ეას-ში თითოეული სექტორისათვის გათვალისწინებულია ანგარიშების სტანდარტული ნაკრები, რომელთა მუხლები აღწერენ ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტს სხვა სექტორებთან და აგრეთვე ურთიერთკავშირებს “დანარჩენ მსოფლიოსთან”.

როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის ჯამური მაჩვენებელი მიიღება პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშიდან, რომელიც რიგით მესამე ანგარიშია ინტეგრირებულ ეროვნულ ანგარიშებში. თუმცა, ანგარიშების შედგენის სპეციფიკიდან გამომდინარე (თითოეული ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი

იმავდროულად მომდევნო ანგარიშის რესურსების მხარეს აისახება), სექტორული ანგარიშების შედგენა წარმოების ანგარიშით დაიწყო და შემდგომ შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშებით გაავარძელეთ.

წარმოების ანგარიშის სექტორული ჭრილით შესადგენად გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული დეტალური ინფორმაცია გამოვიყენეთ. მოვახდინეთ წარმოების ჯვარედინი კლასიფიკაცია, რის შედეგადაც თითოეული 45 სახის საქმიანობის მიხედვით დეტალიზებული შედეგი (გამოშვება) შეეუსაბამეთ შესაბამის ინსტიტუციურ სექტორს. ჯვარედინი კლასიფიკაცია გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით წარმოების შედეგების განაწილებას სექტორების მიხედვით. მაგალითად, საგანმანათლებლო მომსახურებას ეწევა როგორც სამთავრობო სექტორი (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები), ასევე სამეწარმეო სექტორი (კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები), ხოლო რეპეტიტორების საქმიანობა შინამეურნეობებში ჰპოვებს ასახვას. 45 სახის საქმიანობის მიხედვით დეტალიზებული წარმოების შედეგი კლასიფიკაციისას ეფუძნება ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს სეკ 001-2004. გამოშვების განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით ნაჩვენებია დანართის მე-2 ცხრილში.

შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შუალედური მოხმარების წილები მთლიან გამოშვებაში. შუალედური მოხმარება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით ნაჩვენებია დანართის მე-3 ცხრილში. დამატებული ღირებულება კი გავიანგარიშეთ დამაბალანსებელი მუხლის სახით, როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის. დამატებული ღირებულება ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია 1.6 ცხრილში.

ცხრილი 1.6 დამატებული ღირებულება ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2009

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	0.7			261.1		261.8
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	2.4		2.9	232.3	0.02	237.6
ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მებაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება	2.1			138.1		140.2
მეცხოველეობა	0.4			738.8		739.2
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	0.6		0.2	37.8		38.6
მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება	0.1		0.3	63.0		63.4
თევზჭერა, მეთევზეობა	1.6		0.0	6.1		7.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	104.3		0.1	1.5		105.9
საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება; მზა საკვების წარმოება პირუტყვისათვის	26.2			23.5		49.7
პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	37.4			19.8		57.2

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღვეკონომიკა
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	184.2			38.3		222.5
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	149.0			2.4		151.4
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	73.6			35.7		109.3
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	39.0					39.0
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	176.6			20.0		196.6
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	201.7			12.6	0.1	214.4
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზადნაკეთობების წარმოება	128.0			4.1		132.1
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი წარმოება	121.7			13.9		135.6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	463.0			0.7		463.7
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობებში				485.4		485.4

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკორპორაციული ზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	572.5			48.1	0.1	620.7
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	191.6			1.7		193.3
სხვა სამშენებლო სამუშაოები	111.7			23.6		135.3
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	1256.1			95.3	0.8	1 352.2
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	593.0			4.2		597.2
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	120.7			31.8		152.5
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	122.3			1.6		123.9
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	73.8			15.7		73.8
	269.7			18.7		288.4

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკოორდინირებული ზაციების სექტორი	მთლიანი ანაღკონომიკა
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზასაკვების მიწოდება						
სარკინიგზო ტრანსპორტი	54.4					54.4
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	254.8			74.3	0.1	329.2
მილსადენებით ტრანსპორტირება	182.3			0.3		182.5
საჰაერო ტრანსპორტი	65.1					65.1
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	152.3			2.9		155.2
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	254.9			12.7		267.5
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	133.6		2.9			136.5
კავშირგაბმულობა	653.4			1.7		655.1
საფინანსო საქმიანობა		433.8		18.9	0.02	452.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	357.8		2.6	271.0	2.3	633.8
სახელმწიფოს მმართველობა			2457.6			2 457.6
განათლება	411.7		303.4	37.4	3.2	755.6

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	926.7		56.3	15.6	11.9	1 010.5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	571.7		19.2	30.9	16.7	638.5
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა				533.9		533.9
შინამომსახურება				17.0		17.0
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-224.4					-224.4
მთლიანი დამატებული ღირებულება	8818.0	433.8	2845.4	3376.7	35.1	15 509.0
(+) გადასასაღები პროდუქციაზე	2464.0	7.6	4.2	55.1	0.0	2 530.9
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	65.4	0.0	9.7	14.3	1.9	91.3
მთლიანი შიდა პროდუქტი	11216.6	441.4	2839.8	3417.5	33.2	17 948.6


პროდუქციის გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი მოდის არაფინანსური კორპორაციების სექტორზე, შემდეგ შინამეურნეობებისა და სამთავრობო სექტორებზე, ხოლო უმცირესი წილი – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) სექტორზე. საქართველოს ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სექტორული განაწილების სტრუქტურა 2009 წლისათვის ასეთია: არაფინანსური კორპორაციების გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში 60.5 %-ს შეადგენს, ფინანსური კორპორაციების წილი – 2.4%-ს, სამთავრობო სექტორის წილი – 16.7 %-ს,

შინამეურნეობების სექტორის წილი – 20.1 %-ს, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის წილი – 0.2 %-ს.

სექტორების მიხედვით შუალედური მოხმარების წილები მთელი ეკონომიკის შუალედურ მოხმარებაში 2009 წლისათვის შეადგენს: 57.3 % – არაფინანსური კორპორაციები, 2.4 % – ფინანსური კორპორაციები, 18.3% – სამთავრობო სექტორი, 21.8 % – შინამეურნეობების სექტორი, 0.3% კი – შმაკო-ს სექტორი.

საქართველოს ეკონომიკის სექტორებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების პროცენტული წილები საქართველოს მშპ-ში მოცემულია ქვემოთმოყვანილ გრაფიკში.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2009 წელს



- არაფინანსური კორპორაციების სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება
- ფინანსური კორპორაციების სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება
- სამთავრობო სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება
- შინამეურნეობების სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება
- შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება

გადასახადებისა და სუბსიდიების სექტორულ ჭრილში განაწილებისთვის გამოვიყენეთ რესურსებისა და გამოყენების ცხრილიდან შესაბამისი პროპორციები (იხ. დანართის მე-4 და მე-5 ცხრილები).

წარმოების ანგარიში 2009 წლისათვის მოცემულია 1.7 ცხრილში.

ცხრილი 1.7 წარმოების ანგარიში, 2009

მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნე ობების სექტორი	შინამეურნე ობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანად ეკონომიკა
დესურსები						
გამოშვება	14 975.1	689.9	4 809.8	5 715.8	71.0	26 261.7
გადასახადები პროდუქციაზე	2464.0	7.6	4.2	55.1	0.0	2 530.9
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	65.4	0.0	9.7	14.3	1.9	91.3
შულ	17 373.8	697.5	4 804.2	5 756.7	69.1	28 701.3
ამოყენება						
შუალედური მოხმარება	6157.2	256.1	1964.4	2339.1	35.9	10 752.7
მთლიანი დამატებული ღირებულება/ მთლიანი შიდა პროდუქტი	11216.6	441.4	2839.8	3417.5	33.2	17 948.6
შულ	17 373.8	697.5	4 804.2	5 756.7	69.1	28 701.3

შემოსავლების ფორმირების ანგარიში შევადგინეთ შემდეგი მეთოდოლოგიით: სექტორული ჭრილით წარმოების ანგარიშიდან დამატებული ღირებულების დამაბალანსებელი მუხლი გადავიტანეთ რესურსების მხარეს; გამოყენების მხარეს შრომის ანაზღაურების გასანაწილებლად სექტორების მიხედვით გამოვიყენეთ რამდენიმე ინფორმაციული წყარო: სამთავრობო სექტორში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური საბიუჯეტო მონაცემები; დანარჩენი სექტორების მიხედვით შრომის ანაზღაურება გავანაწილეთ შინამეურნეობების გამოკვლევიდან მიღებული ხელფასების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე; მთლიანი შერეული შემოსავალი (ესაა შინამეურნეობის წევრების კუთვნილი არაკორპორირებული საწარმოს შემოსავლები. სახელწოდება “შერეული” მან მიიღო იმის გამო, რომ მოიცავს როგორც არაკორპორირებული საწარმოს მესაკუთრის მოგებას, ასევე მესაკუთრისვე მიერ ან შინამეურნეობების სხვა რომელიმე წევრის მიერ საწარმოში უსასყიდლოდ შესრულებული შრომის ანაზღაურებას) მთლიანად ეფუძნება შინამეურნეობების კვლევას; მთლიანი საოპერაციო მოგება კი გაანგარიშებულ იქნა დამაბალანსებელი მუხლის სახით. სამთავრობო სექტორში, როგორც წესი, მოგება 0-ს უნდა უახლოვდებოდეს ან საერთოდ არ არსებობდეს. ჩვენს შემთხვევაშიც აღნიშნული პრინციპი მოქმედებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამთავრობო სექტორიდან შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია სრულად არ მიგვიღია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო. კერძოდ, იგი არ მოიცავს შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასს. ეს უკანასკნელი, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) საერთაშორისო კლასიფიკაციითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციით, შედის საქონელსა და მომსახურებაში, რომლიდანაც შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურების ცალკე გამოყოფა ვერ მოხერხდა. თუმცა შევნიშნავთ, რომ 2010 წლის I კვარტალიდან აღნიშნული სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ასევე, თუ გავითვალისწინებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ ინფორმაციასაც, წმინდა საოპერაციო მოგება 0-ს მიუახლოვდება სამთავრობო სექტორში.

ძირითადი კაპიტალის მოხმარების სექტორული განაწილებისთვის გამოვიყენეთ ასევე დარგებისა და სექტორების ჯვარედინი კლასიფიკაცია; სამთავრობო სექტორის ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებს.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის ძირითადი კაპიტალის მოხმარება კი შესაბამისი გამოშვებების პროპორციულად გავიანგარიშეთ. ძირითადი კაპიტალის მოხმარების სექტორული სტრუქტურა 2009 წლისათვის შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 770.3 მლნ ლარი (49.6 % ქვეყნის მთლიანი ძირითადი კაპიტალის მოხმარებაში) არაფინანსური კორპორაციების სექტორის წილად მოდიოდა, 525.4 მლნ ლარი (33.8 %) სამთავრობო სექტორის წილად, 178.0 მლნ ლარი (11.5 %) შინამეურნეობების სექტორის წილად, 78.8 მლნ ლარი (5.1 %) ფინანსური კორპორაციების სექტორის წილად, ხოლო 1.8 მლნ ლარი (0.1 %) შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის წილად.

2009 წლის შემოსავლების ფორმირების ანგარიში მოცემულია 1.8 ცხრილში.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის სექტორული ჭრილით შედგენისას გამოვლინდა, რომ ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის შემადგენელი პირველადი შემოსავლებიდან ყველაზე დიდია შინამეურნეობების სექტორის, შემდეგ კი – არაფინანსური კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორების წილი. ეს ლოგიკურია, რამდენადაც შინამეურნეობები შერეული შემოსავლისა და შრომის ანაზღაურების მიმღები ინსტიტუციური ერთეულებია. არაფინანსური კორპორაციების სექტორზე მოდის მოგების უდიდესი წილი მთლიანად ეკონომიკაში, სამთავრობო სექტორი კი გადასახადების მიმღები ინსტიტუციური სექტორია.

2009 წლის მთლიან ეროვნულ შემოსავალში შინამეურნეობების პირველადი შემოსავლების წილი 48.5 %-ს შეადგენდა, არაფინანსური კორპორაციების სექტორისა – 26.6 %-ს, სამთავრობო სექტორისა კი – 25.2 %-ს.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში 2009 წლისათვის მოცემულია 1.9 ცხრილში.

ცხრილი 1.8 შემოსავლების ფორმირების ანგარიში, 2009

მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნე ობების სექტორი	შინამეურნე ობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანად ეკონომიკა
რესურსები						
მთლიანი დამატებული ღირებულება/ მთლიანი შიდა პროდუქტი	11216.6	441.4	2839.8	3417.5	33.2	17 948.6
სულ	11 216.6	441.4	2 839.8	3 417.5	33.2	17 948.6
გამოყენება						
შრომის ანაზღაურება	3900.3	241.6	1048.3	16.9	20.2	5 227.3
არაფინანსური აქტივების ზრდა სახელმწიფო სექტორში			1252.8			
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	2679.6	8.3	4.5	59.9	0.0	2 752.3
(-) სუბსიდიები	65.4	0.0	9.7	14.3	1.9	91.3
მთლიანი საოპერაციო მოგება	4702.1	191.5	544.0	21.0	14.9	6 726.2
მთლიანი შერეული შემოსავალი				3334.0		3 334.0
სულ	11 216.6	441.4	2 839.8	3 417.5	33.2	17 948.6

ცხრილი 1.9 პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში, 2009 (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	S11 არაფინანსური კორპორაციების სექტორი	S12 ფინანსური კორპორაციების სექტორი	S13 სამთავრობო სექტორი	S14 შინამეურნეობის სექტორი	S15 შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	S1 მთლიანი ანაღკა	S2 დანარჩენი მსოფლიო	სულ
დესურსები								
მთლიანი საოპერაციო მოგება არაფინანსური აქტივების ზრდა სახელმწიფო სექტორში	4702.1	191.5	544.0	21.0	14.9	6726.2		6726.2
მთლიანი შერეული შემოსავალი შრომის ანაზღაურება				3334.0		3334.0		3334.0
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (-) სუბსიდიები			2752.3	5227.3		2752.3	654.0	5881.3
შემოსავლები საკუთრებიდან, მიღება	91.3		...	91.3	29.4	29.4
შულ	4702.1	191.5	4457.7	8582.3	14.9	17 682.8		
ამოყენება								
შრომის ანაზღაურება, გადაცემული "დანარჩენი მსოფლიოსათვის"							50.2	50.2
შემოსავლები საკუთრებიდან, გადახდა	899.1	899.1
პირველადი შემოსავლების სალდო/მთლიანი ეროვნული შემოსავალი	4702.1	191.5	4457.7	8582.3	14.9	17 682.8		17 682.8
შულ	4702.1	191.5	4457.7	8582.3	14.9	17 682.8		

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სექტორული ჭრილით განხილვა მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, რაც წარმატებით გამოადგებათ როგორც ხელისუფლების ორგანოებს შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად და განსახორციელებლად, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტორული ანგარიშების შედგენისას.

1.5 დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ასახვის ხერხები ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში

ეროვნული ანგარიშების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის ეროვნული შემოსავლის შეფასების უმთავრესი მოთხოვნაა გაანგარიშებებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცულობით გათვალისწინება. ამ მიზნის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე. წ. “დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის” ადექვატური გაზომვა.

გამოკვლევის პროცესში მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვების მიღმა დარჩენილი ეკონომიკის ნაწილის შესწავლისას მსოფლიო პრაქტიკაში წარმოიშვა იატაკქვეშა, ფარული, ჩრდილოვანი, არაფორმალური, არაკანონიერი, კრიმინალური და სხვა ეკონომიკების ცნებები. მათი დაზუსტებისა და განზოგადების პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა “დაუკვირვებადი ეკონომიკის” ცნება. ეს უკანასკნელი სტატისტიკური ცნებაა.

დაუკვირვებადი ეკონომიკა განისაზღვრება როგორც ეროვნული ანგარიშების სისტემის მიხედვით ეკონომიკური წარმოების საზღვრებში განხორციელებული ფარული, არაკანონიერი, არაფორმალური, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ისეთი წარმოებითი საქმიანობა, რომელიც არ არის მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით მოცული.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასება საქართველოში ხდება მთლიანი გამოშვების გაანგარიშების ეტაპზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებებით, საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში დაუკვირვებადი გამოშვების წილი ბოლო წლებში თითქმის მეოთხედს აღწევდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ვარდების რევილუციის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები. დაუკვირვებადი გამოშვების პროცენტული წილები მთლიან გამოშვებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია 1.10 ცხრილში.

**ცხრილი 1.10 დაუკვირებადი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან
გამოშვებაში 2000-2010 წლებში, პროცენტი**

	2000	2001	2002	2003	2004	2005
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	7.1	6.5	5.6	6.0	6.6	6.6
სამთომომპოვებითი მრეწველობა	18.9	19.3	19.8	18.6	9.1	15.6
დამამუშავებელი მრეწველობა	47.1	47.2	41.8	43.4	34.8	29.1
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	19.6	17.0	20.1	19.5	6.5	9.1
პროდუქტების გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ
მშენებლობა	60.4	55.4	56.0	39.5	39.3	39.8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	82.5	85.1	84.7	86.4	77.6	74.0
სასტუმროები და რესტორნები	69.1	80.5	83.0	82.9	53.6	45.3
ტრანსპორტი	52.9	51.9	53.2	52.2	45.7	39.4
კავშირგაბმულობა	20.0	8.0	7.9	14.8	10.6	11.9
საფინანსო საქმიანობა	4.8	4.8	4.8	4.8	4.8	4.8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	42.2	45.2	39.5	54.7	48.5	40.5
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა
სახელმწიფო მმართველობა
განათლება	40.2	42.1	47.5	44.8	33.4	37.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	77.5	78.7	78.9	75.7	66.4	54.7
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	78.3	74.7	72.7	76.7	72.3	72.8
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე
გამოშვება, სულ	38.0	36.8	37.1	36.8	32.0	30.3

ცხრილი 1.10 (გაგრძელება)

	2006	2007	2008	2009	2010 I	2010 II
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	4.5	3.0	3.0	3.0	3.0	3.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	15.4	14.5	10.4	10.9	5.7	8.7
დამამუშავებელი მრეწველობა	22.4	23.9	23.3	25.5	17.9	18.3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.5	2.3	2.2	2.7	3.2	2.1
პროდუქტების გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ
მშენებლობა	16.5	9.4	27.0	27.0	26.0	25.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	65.2	65.9	64.9	66.2	53.9	47.2
სასტუმროები და რესტორნები	55.4	61.0	58.2	63.1	51.2	46.3
ტრანსპორტი	24.1	30.3	29.1	30.2	25.4	25.6
კავშირგაბმულობა	9.7	6.9	8.5	11.7	10.1	9.5
საფინანსო საქმიანობა	4.8	4.6	4.9	4.8	2.9	2.2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	44.6	37.2	31.3	29.5	32.7	33.2
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა
სახელმწიფო მმართველობა
განათლება	30.0	32.9	32.9	34.9	44.7	36.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	62.9	63.4	24.7	19.2	26.3	21.2
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	63.8	64.0	63.0	60.4	50.7	52.8
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე
გამოშვება, სულ	26.1	25.0	24.9	24.4	22.4	20.6

დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ ინფორმაცია საქართველოში 1996 წლიდანაა ხელმისაწვდომი, თუმც მისი ზუსტი შესწავლა 2000 წლიდან დაიწყო. დაუკვირვებადი გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში 1996 წელს 31.4 % შეადგენდა, 1997 წელს – 32.4 %, 1998 წელს – 33.6 %, 1999 წელს – 33.7 %-ს. დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია 2009-2010 წლების კვარტალების მიხედვით ნაჩვენებია 1.11 ცხრილში.

ცხრილი 1.11 დაუკვირვებადი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2009-2010 წლებში, პროცენტი

	I 09	II 09	III 09	IV 09	I 10	II 10
სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა, თევზჭერა	3.0	3.0	3.0	3.0	3.0	3.0
სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	13.0	12.2	10.5	9.0	5.7	8.7
პურისა და ფუნთუშეულის წარმოება	63.4	62.6	57.2	62.8	54.0	51.3
საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება	34.0	25.2	24.9	8.4	2.1	8.4
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	46.0	34.3	15.2	10.8	10.7	13.4
უაღკოპოლო სასმელების წარმოება	41.8	40.9	40.6	30.6	34.5	39.5
აღკოპოლიანი სასმელების წარმოება	11.4	8.3	15.9	26.8	22.1	15.3
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	12.2	12.2	12.2	12.2	12.2	12.2
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	54.4	61.9	62.3	56.8	41.1	34.5
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	9.3	9.3	9.9	8.8	10.3	9.2
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	9.8	9.6	10.2	11.0	10.4	9.3
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამმუშავებელი წარმოება	6.0	5.8	6.2	7.4	6.7	6.2
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და მიწოდება	2.2	2.2	2.8	3.5	3.2	2.1
შინამეურნეობებში გადამმუშავება
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	30.4	29.8	30.6	29.9	30.2	31.1


	I 09	II 09	III 09	IV 09	I 10	II 10
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა
სამშენებლო უბნის მომზადება, შენობების მოწყობა და დამთავრება	44.1	44.1	44.1	64.6	44.1	44.1
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	80.0	80.0	80.0	81.2	72.9	67.9
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	27.5	27.5	26.6	29.7	9.1	4.8
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონელისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	92.0	92.0	92.0	92.0	89.1	89.1
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	26.9	26.9	26.9	29.8	9.1	26.9
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	37.5	42.0	39.9	40.2	28.6	28.6
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	69.6	67.6	64.7	72.9	56.9	51.6
სარკინიგზო ტრანსპორტი	13.0	13.0	13.0	13.0	13.0	13.0
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	74.2	73.8	78.1	75.2	70.7	69.7
მილსადენებით ტრანსპორტირება
საჰაერო ტრანსპორტი	13.0	13.0	13.0	13.0	13.0	13.0
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	27.5	27.5	27.5	27.5	13.0	13.0
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	13.0	13.0	13.0	13.0	13.0	13.0
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	13.0	13.0	13.0	13.0	13.0	13.0
კავშირგაბმულობა	9.8	8.9	13.9	13.8	10.1	9.5
საფინანსო შუამავლობა	5.0	4.8	4.8	4.8	2.9	2.2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	24.3	36.9	31.9	23.3	32.7	33.2
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა
განათლება	20.8	35.6	34.9	43.2	44.7	36.3

	I 09	II 09	III 09	IV 09	I 10	II 10
ჯანდაცვა	19.1	16.3	19.0	21.7	26.3	21.2
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	55.6	60.2	60.4	63.6	50.7	52.8
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე
გამოშვება, სულ	23.7	23.9	24.4	25.2	22.4	20.6

დაუკვირვებელი ეკონომიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თუ ეკონომიკური საქმიანობის რომელი სახის მიხედვითაა მისი წილი უფრო მაღალი.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის დაუკვირვებელი ეკონომიკის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთმოტანილი გრაფიკი:

**დაუკვირვებადი ეკონომიკის პროცენტული წილები მთლიან
გამოშვებაში 2000-2009 წლებში**



მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური პროგრამებით მოუცველობის მიზეზი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, საწარმოთა მიერ ინფორმაციის არასრულად დეკლარირება, მის წარდგენაზე უარის თქმა, საწარმოს არარეგისტრირებულობა, მეორე მხრივ კი, თვითონ სტატისტიკური პროგრამების არასრულყოფილება, არააქტუალიზებული რეგისტრები, აგრეთვე, ობიექტის გამოკვლევის დიდი სირთულე არაფორმალური, განსაკუთრებით კი, არაკანონიერი საქმიანობის შემთხვევებში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში “დაუკვირვებადი ეკონომიკის”, ცნების პრაქტიკულად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი “აღურიცხავი ეკონომიკა”.

ეს მოვლენა ამა თუ იმ ზომით, განვითარების დონის მიუხედავად, ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც სწრაფ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, ჩამოყვალბებელ საფინანსო და საგადასახადო სისტემებს თან სდევს სამეურნეო ერთეულების არარეგისტრირებული საქმიანობის, სტატისტიკურ გამოკვლევაში ეკონომიკურ მაჩვენებელთა დამახინჯება ან საერთოდ არ წარმოდგენა. ასეთ პირობებში აღურიცხავი ეკონომიკის მოცულობა საკმაოდ იზრდება და მისი გავლენა მთლიან შიდა პროდუქტის, ასევე ეროვნული შემოსავლის მოცულობაზე, სტრუქტურაზე, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

აღურიცხავი ეკონომიკის ცნების განსაზღვრას საფუძვლად უდევს ეროვნული ანგარიშების კონცეფციები ეროვნული ანგარიშების სისტემის 1993 წლის ვერსიის და ანგარიშების ევროპული სისტემის 1995 წლის ვერსიის მეთოდოლოგიის შესაბამისად. ფარული ეკონომიკისადმი ყურადღების ზრდის შედეგად გაჩნდა დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვის როგორც ეროვნული კონცეფციები, ისე მათი განზოგადება ერთიან სახელმძღვანელო დოკუმენტში “Measuring the Non-Observed Economy, A Handbook”. ეს დოკუმენტი შეიქმნა უმსხვილესი საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და განვითარებული სტატისტიკის მქონე ქვეყნების ექსპერტთა მიერ.

დაუკვირვებადი ეკონომიკის ცნება შეიძლება გაგებულ იქნას ორგვარად, კერძოდ რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით და ეროვნული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით.

რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით დაუკვირვებადი ეკონომიკა ნიშნავს არსებული სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტული წყაროს მონაცემებით სხვადასხვა მიზეზით (ინფორმაციის არასრული წარმოდგენა, საწარმოს არარეგისტრირებულობა, გამოკვლევის ბაზის უხარისხობა და ა.შ.) მოუცველ ეკონომიკურ საქმიანობას, მოხმარებას ან სხვა ეკონომიკურ ოპერაციებს.

ეროვნული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით დაუკვირვებადი ეკონომიკა ნიშნავს ეკონომიკის იმ ნაწილს, რომელიც არ არის ჩართული ეროვნულ ანგარიშებში, ანუ ეკონომიკის ის ნაწილი, რომლის რეალური მოცულობის შეფასებისათვის არაპირდაპირი მეთოდების დახმარებითაც კი ვერ ხერხდება არსებული რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების ინფორმაციის შევსება, არ არსებობს ამისათვის საჭირო რაიმე სარწმუნო მონაცემები.

ამრიგად, რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით დაუკვირვებადი ეკონომიკა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეროვნული ანგარიშების თვალსაზრისით დაუკვირვებადი ეკონომიკა:

საქართველოს რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით დაუკვირვებად ეკონომიკას მიეკუთვნება პურის ცხობის სფეროში პროდუქციის გამოშვების რესურსებისა და გამოყენების ბალანსის მიხედვით შეფასებული შესწორება. ეროვნული ანგარიშების თვალსაზრისით დაუკვირვებად ეკონომიკის სფეროს კი ეს შესწორება უკვე აღარ მიეკუთვნება

საქართველოს ეროვნული ანგარიშების თვალსაზრისით დაუკვირვებადი ეკონომიკის სფეროს მიეკუთვნება, მაგალითად, ნარკოტიკების, იარაღის (არაკანონიერი) წარმოება, გავრცელება და მოხმარება. საქართველოს ეროვნული ანგარიშების სამსახურს დღეისათვის ამ სფეროში რაიმე სარწმუნო სტატისტიკური ინფორმაციის წყარო არ გააჩნია. ცხადია, ის ამავე დროს რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისითაც დაუკვირვებადია.

ჩვენ ქვემოთ ყველგან მხედველობაში გვაქვს რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით დაუკვირვებადი (აღურიცხავი) ეკონომიკა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის განსაზღვრისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით მისი ანალიზისათვის სასარგებლოა წინასწარ მოვიტანოთ ისეთი ცნებების ეკონომიკური შინაარსის განმარტება, როგორიცაა:

1. არაფორმალური საქმიანობა;
2. ფარული (ჩრდილოვანი) ეკონომიკა;
3. არაკანონიერი საქმიანობა.

არაფორმალური (არაორგანიზებული) საქმიანობის ცნებას სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება. ეას-93-ში ეს ცნება გაკვრითაა ნახსენები შინამეურნეობების სექტორის ქვესექტორებად დაყოფასთან დაკავშირებით. არაფორმალურ სექტორში დასაქმების სტატისტიკის შესახებ შრომის სტატისტიკოსების მე-15 საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში (ჟენევა, 1993წ. იანვარი) მოცემულია “არაფორმალური სექტორის” ცნების ეკონომიკური შინაარსის განმარტება:

არაფორმალური სექტორი არის, შინამეურნეობების არაკორპორირებული საწარმოების, ან საწარმოო ერთეულების ჯგუფი, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მათში შემავალი პირების უზრუნველყოფა დასაქმებით და ფულადი ან ნატურალური შემოსავლით.

არაფორმალური საქმიანობა შინამეურნეობების არაკორპორაციული საწარმოების შემადგენელი ელემენტია.

სსენებული კონფერენციის რეზოლუციაში არაფორმალური სექტორის განსაზღვრისას, აღნიშნული ცნების განმარტებაში დაშვებულია “ეროვნულ გარემოებათა” გათვალისწინება, ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის კომბინაციით. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მიზნებისათვის არაფორმალური ეკონომიკის განსაზღვრებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნების და გამოკვლევების მიხედვით.

არაფორმალური (არაორგანიზებული) სექტორი ფართო გაგებით შეიძლება დახასიათდეს როგორც, საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ ერთეულთა ერთობლიობა, რომელთა ძირითადი ამოცანაა თანამშრომელთა დასაქმებითა და შემოსავლით უზრუნველყოფა. ამ ერთეულების საორგანიზაციო დონე ჩვეულებრივად საკმაოდ დაბალია, ამასთან მათთვის დამახასიათებელია წარმოების ფაქტორებს შრომად და კაპიტალად დაყოფის უმნიშვნელო ან სულაც არ არსებობა; აგრეთვე წარმოების მცირე მოცულობა; შრომითი ურთიერთობები – იქ, სადაც ისინი არსებობენ, – ეფუძნება არა სახელშეკრულებო ურთიერთობებს ოფიციალური გარანტიით, არამედ შემთხვევით დასაქმებას, ნათესაურ, პირად ან სოციალურ ურთიერთობებს.

ეკონომიკის არაორგანიზებული სექტორის საწარმოო ერთეულებს იგივე მახასიათებლები გააჩნია, როგორც შინამეურნეობის საწარმოებს. ძირითადი კაპიტალი და მათ მიერ გამოყენებული სხვა აქტივები ეკუთვნიან, როგორც ასეთი, არა საწარმოო ერთეულებს, არამედ მათ მფლობელებს. მათ არ შეუძლიათ დადონ გარიგებები და გააფორმონ კონტრაქტები სხვა ერთეულებთან, ან საკუთარი სახელით აიღონ ვალდებულებები. ამასთან მათი მფლობელები დაფინანსების წყაროებს გამონახავენ საკუთარი რისკის ფასად და მთლიანად პირად პასუხს აგებენ წარმოებითი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ვალებსა და ვალდებულებებზე.

არცთუ იშვიათად ასეთი ერთეულების მიერ წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები შეუძლებელია გამოიყოს მათი საოჯახო ხარჯებისაგან. მსგავსად ამისა, კაპიტალური საქონელი, როგორცაა შენობები ან სატრანსპორტო საშუალებები, შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც საწარმოო მიზნით, ისე თვით საოჯახო საჭიროებისათვის.

არაორგანიზებულ სექტორში ჩამოყალიბებულ საწარმოო ერთეულის საქმიანობისას არ იქმნება გადასახადების ან სოცუზრუნველყოფის შესატანების გადახდაზე შეგნებულად თავის არიდების, ან შრომითი, სხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული განკარგულებების დარღვევის აუცილებლობა. ამიტომ არაორგანიზებული სექტორის საქმიანობა არ უნდა ავურიოთ ფარულ და “იატაკქვეშა” ეკონომიკის ოპერაციებში.

ეკონომიკის არაორგანიზებული სექტორი სტატისტიკური მიზნებისათვის (ე.წ. ვიწრო გაგებით) განიხილება, როგორც საწარმოო ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც გაეროს ეას-ის განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების თანახმად შინამეურნეობების საწარმოთა ფორმაში შეადგენენ შინამეურნეობების სექტორის ნაწილს, ანუ შინამეურნეობების კუთვნილ არაკორპორირებულ საწარმოებს.

შინამეურნეობების სექტორის ფარგლებში არაორგანიზებული სექტორი მოიცავს:

“საკუთარი გამოყენებისათვის პროდუქციის მწარმოებელ არაორგანიზებული ეკონომიკის საწარმოებს”. მასში შედის თვითდასაქმებულ მუშაკთა კუთვნილი, მათ მიერ ერთპიროვნულად, ან ამავე, ან კიდევ სხვა შინამეურნეობების წევრებთან ერთობლივად მართვადი საწარმოები. ასეთ საწარმოებს შეუძლიათ დროებით სამუშაოებზე დაასაქმონ ოჯახის წევრები, ან სხვა პირები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ მუდმივად მომუშავე პერსონალი;

“საწარმოებს არაფორმალური დასაქმებით”. იგი მოიცავს სამუშაოს მიმცემთა კუთვნილ, მათ მიერ დამოუკიდებლად, ან ამავე და შესაძლოა სხვა შინამეურნეობების წევრებთან ერთობლივად მართვად შინამეურნეობების საწარმოებს. ასეთ საწარმოებს ჩვეულებრივ ჰყავთ ერთი ან რამდენიმე მუდმივად მომუშავე დაქირავებული მუშაკი. საწარმოთა ორივე ჯგუფზე ვრცელდება ამ პარაგრაფის წინა აბზაცებში გადმოცემული მახასიათებლები.

ეას-93-ის მიხედვით **ფარული (ჩრდილოვანი) ეკონომიკური საქმიანობა** განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური მნიშვნელობით მწარმოებლური საქმიანობა, რომელიც ამავე დროს შეიძლება იყოს სავსებით და მთლიანად კანონიერი (იმ პირობით, რომ ის პასუხობს განსაზღვრულ ნორმატივებს და დებულებებს), მაგრამ წინასწარ განზრახვით სახელმწიფო ორგანოებისაგან დამალული შემდეგი მიზეზებით:

- საშემოსავლო გადასახადის, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ან სხვა სახის გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება;

- სოცუზრუნველყოფის შენატანებისაგან თავის არიდება;
- დაკანონებული სტანდარტების დარღვევის დაფარული მინიმალური შრომის ანაზღაურებას, სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობას, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების და დარღვევათა დაფარვა;
- განსაზღვრული ადმინისტრაციული პროცედურებისაგან, როგორცაა სტატისტიკური კითხვარების ან სხვა ანგარიშგების ფორმების შევსებაზე თავის არიდება.

აღნიშნული წარმოებითი საქმიანობები შედიან ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოების საზღვრებში იმ პირობით, თუ ისინი რეალურ წარმოებას წარმოადგენენ. ასეთ საქმიანობაში ჩართული საწარმოო ერთეულები, აყალიბებენ ე. წ. “ფარულ ეკონომიკას”. ზოგიერთი დარგის მთლიანი გამოშვების არსებითი ნაწილი “ფარული” ეკონომიკის წილად შეიძლება მოდიოდეს. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, მშენებლობა ან მომსახურების სფერო, სადაც სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება მცირე საწარმოების მიერ.

ზოგჯერ მკაფიო საზღვარი ფარულ ეკონომიკასა და არაკანონიერ წარმოებას შორის არ არსებობს. წარმოება, რომელიც არ პასუხობს განსაზღვრულ ნორმატივებს (უსაფრთხოების ტექნიკა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სხვა), შეიძლება ჩაითვალოს არაკანონიერ საქმიანობად. გადასახადებზე თავის არიდება – როგორც წესი, სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად ამისა არ წარმოადგენს აუცილებლობას გაეგლოს ზუსტი საზღვარი ფარულ და არაკანონიერ წარმოებას შორის, რადგან ორივე სახე ნებისმიერ შემთხვევაში წარმოების სფეროშია მოქცეული.

აქედან გამოდის, რომ ოფიციალური ბაზრის პარალელურად არსებული არაოფიციალური ბაზრები (მაგალითად ვალუტის გაცვლის ან ისეთი საქონლით ვაჭრობის, რომელზეც ფასები რეგულირდება სახელმწიფოს მიერ), აუცილებლად უნდა აისახოს ანგარიშებში, მიუხედავად იმისა, ასეთი ბაზრები კანონიერია თუ არაკანონიერი.

მწარმოებლთა ზოგიერთი კატეგორია ცდილობს თავის საქმიანობა დაუმალოს სახელმწიფო ორგანოებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრაქტიკაში იგი არ ჩაირთვება ეროვნულ ანგარიშებში. მრავალმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია წარმოების შეფასებებში ჩვეულებრივ წარმოებასთან ერთად ფარული ეკონომიკის მოცვის საქმეში.

ზოგიერთ დარგებში, (მაგალითად სოფლის მეურნეობა და მშენებლობა), სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების შედეგებისა და სასაქონლო ნაკადების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საკმაოდ ზუსტად შეფასდეს ამა თუ იმ დარგის პროდუქციის მთლიანი გამოშვება, მაშინ, როცა არ არის შესაძლებელი მისი ფარული (ან ნამდვილად არაკანონიერი) ნაწილის პირდაპირი შეფასება. ვინაიდან ფარულ ეკონომიკაზე შეიძლება მოდიოდეს ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმოების მოცულობის შეფასება მთელი ეკონომიკისათვის, ფარულის ჩათვლით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუნდაც ამ უკანასკნელის ცალკე გამოყოფა ყოველთვის ვერ ხერხდებოდეს.

ამრიგად, ფარული ეკონომიკა ძირითადად არის საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესთან დაკავშირებით საგადასახადო დაბეგვრისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებაზე თავის არიდების მიზნით ხელისუფლების ორგანოებისაგან სამეურნეო ერთეულების მიერ დაფარული ეკონომიკური საქმიანობა.

ეროვნულ ანგარიშებში მისი აღურიცხაობა დაამახინჯებდა ქვეყნის ნამდვილ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ინფორმაციას.

გარდამავალ პერიოდში მკვეთრი ინსტიტუციური ცვლილებების პირობებში ეკონომიკის ეს ნაწილი დიდ მასშტაბებს აღწევს. მისი ზრდა ან შემცირება დამოკიდებულია ძირითადად ეკონომიკის რეგულირების, სამართლებრივი ბაზისა და სახელმწიფო სტრუქტურების სრულყოფის დონეზე.

არაკანონიერი საქმიანობა განისაზღვრება, როგორც წარმოებითი საქმიანობა, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია, ან ნებადართულია, მაგრამ ასეთი საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების არმქონე მწარმოებლების (მაგ. მკურნალობა ულიცენზიო ექიმების) მიერ. 1.12 ცხრილში ჩამოთვლილია წარმოებითი და არაწარმოებითი ხასიათის არაკანონიერი საქმიანობის გაერცვლებული სახეობები.

პრაქტიკაში ფარული და არაკანონიერი საქმიანობის განმარტებებში სხვაობა არც თუ ისე ცხადია, რადგან, თუ ხელისუფლების ორგანოებისაგან სამეურნეო ერთეულების მიერ დამალულია ანუ აღურიცხავია ესა თუ ის საქმიანობის შედეგი, ასეთი ქმედებაც არაკანონიერია. ეას-93-ის მიხედვით საქმიანობის ამ ორი ტიპის ზუსტი გამიჯვნის განსაკუთრებული საჭიროება არ არის, რამდენადაც ორივე მათგანი ამ სისტემის წარმოების საზღვრებში თავსდება.

ცხრილი 1.12 არაკანონიერი საქმიანობის კლასიფიკაცია

1. წარმოებითი საქმიანობის სახეები

არაკანონიერი წარმოებითი საქმიანობა

ა. კონტრაბანდა:

- თამბაქოს (შუამავლები და საცალოდ მოვაჭრენი);
- იარაღის;
- ალკოჰოლის;
- სასურსათო პროდუქტების;
- მოპარული ავტომობილების;
- და ა. შ.

ბ. ნარკოტიკების წარმოება და გავრცელება (შუამავლები და საცალოდ მოვაჭრენი);

გ. პროსტიტუცია;

დ. აკრძალული (იატაკევეშა) აზარტული თამაშები;

ე. აკრძალული აბორტები;

ვ. მევახშეობა;

ზ. სასაქონლო ნიშნების, მარკების გაყალბება;

თ. ყალბი ფულის ბეჭდვა;

ი. სასურსათო პროდუქტის ფალსიფიცირება და მისი ხარისხით სხვა მაქინაციები;

კ. მოპარული ნივთებით ვაჭრობა;

კანონიერი წარმოებითი საქმიანობა, განხორციელებული არაუფლებამოსილი პირების მიერ

ლ. საქონლის არაკანონიერი წარმოება;

მ. არაკანონიერი მომსახურება (პროფესიული საქმიანობა ლიცენზიის გარეშე);

ნ. არაკანონიერი იმპორტი (ა.-ში ჩაურთველი საქონლის);

ო. არაკანონიერი ექსპორტი (ა.-ში ჩაურთველი საქონლის).

2. არაწარმოებითი სახეები (გადანაწილებითი ოპერაციები)

ქურდობა და ძარცვა:

პ. ავტომობილების;

ჟ. ხელოვნების ნიმუშების;

რ. ბინების;

ს. დაწესებულებების;

ტ. სატვირთო ფურგონებში არსებული საქონელის;

უ. სხვა სატრანსპორტო საშუალებებში არსებული საქონელის;

ფ. საფოსტო განყოფილებების;

ქ. ბანკებისა და სეიფების;

ღ. საიუფილერო ნაკეთობების (საქონლის).

სხვა დანაშაულობები

ყ. ხალხის გატაცება გამოსასყიდის გადახდის მიზნით (მძევლების აყვანა);

შ. თაღლითობა;

ჩ. მოსყიდვა, მოქრთამვა;

ც. გამოძალვა.

კანონიერი არაწარმოებითი საქმიანობა, განხორციელებული არაუფლებამოსილი პირების მიერ

არაკანონიერი საქმიანობის არასაწარმოო სახეები ეას-ის წარმოების საზღვრებში არ შედის.

მშპ-ში კანონით აკრძალული საქმიანობის (ნარკოტიკების წარმოება, გასაღება და ზოგიერთი სხვ.) შედეგების ასახვა მოითხოვს განსაკუთრებულ

ფრთხილ მიდგომას. ქვეყნების ნაწილს ამ საკითხზე სწორი ინფორმაციის მიღების სიძნელეების გამო იგი ჯერჯერობით არ შეაქვს მშპ-ის შეფასებებში.

მშპ-ში კანონით აკრძალული საქმიანობის ასახვისათვის ერთ-ერთ ინფორმაციის წყაროდ შეიძლება გამოყენებული იქნას ადმინისტრაციული და სამართალდამცველი ორგანოების კრებსითი მონაცემები ნარკოტიკების წარმოების, შემოტანის, გასაღებისა და მომხმარებელთა მომსახურების ან სხვა არაკანონიერი წარმოებითი ხასიათის საქმიანობის შესახებ.

არაფორმალური საქმიანობაც შეიძლება იყოს ფარული ან არაკანონიერი. ამ ცნებების ეკონომიკური შინაარსის ნაწილობრივად დამთხვევის გამო გაძნელებულია მათი ცალ-ცალკე გაანგარიშება.

ეროვნული ანგარიშების ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ყველა სახეობის წარმოებით საქმიანობაზე სრული (ამომწურავი) მაჩვენებლის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია ანალიზს დაექვემდებაროს ეკონომიკის ის ნაწილი, რომელიც აღურიცხავია და სრული დაყოფის შეუძლებლობის გამო შემოვიფარგლოთ ფარული და არაკანონიერი საქმიანობის ჯამობრივი შეფასებებით.

ეას-93-ში აღრიცხული და აღურიცხავი საქმიანობის ცნებების ჭრილში სტატისტიკური ანგარიშების ცალ-ცალკე შედგენის საკითხი არ განიხილება. თუმცა, აღრიცხულთან შედარებით აღურიცხავი საქმიანობის გაზომვას თანახმად სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების დამატებითი პრობლემები.

ეას-93-ში მთავარი აქცენტი გადატანილია არა იმდენად სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებაზე, რამდენადაც ეროვნული ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიასა და მისი ძირითადი მაჩვენებლების ეკონომიკურ შინაარსზე.

აქედან გამომდინარე, აღურიცხავ ეკონომიკაზე ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, როგორც წესი, მუშავდება ამა თუ იმ ქვეყანაში ეკონომიკის ფუნქციონირების ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ასეთი მდგომარეობაა საქართველოს შემთხვევაშიც. ამ სამუშაოს შესრულების პროცესში კონკრეტულად ფასდება სტატისტიკური საქმიანობის შესაბამის ნაწილის ხარვეზები, ანალიზდება ეკონომიკის აღურიცხავი ნაწილის სტრუქტურა, მოწმდება პირველადი მონაცემების საიმედოობის ხარისხი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშპ-ის და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა შეფასებების პროცედურის ჩატარებისას კონკრეტულ მიდგომათა გამოყენებისათვის.

დაუკვირვებადი ეკონომიკის მეტი სისრულით დახასიათების მიზნით სქემა 1-ში მოტანილია მისი კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური და სტატისტიკური თვალსაზრისით, განხილულია მისი შესაძლო შემთხვევები ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

ამ სქემაზე წარმოდგენილია დაუკვირვებადი ეკონომიკის 9 ტიპი, რომელნიც მიეკუთვნებიან შემდეგ ოთხ ჯგუფს:

I. არარეგისტრირებული საქმიანობა;

II. ინფორმაციის დამახინჯებული სახით წარმოდგენა;

III. ეკონომიკური ერთეულებიდან პასუხების მიუღებლობა;

IV. ეკონომიკური ერთეულების მონაცემების არასისრულე, მათი რეგისტრის არააქტუალიზებულობა.

I. არარეგისტრირებული საქმიანობა

ინსტიტუციურ ერთეულს არარეგისტრირებული წარმოებითი საქმიანობის სფეროს აკუთვნებენ, თუ იგი კანონით ვალდებულია იყოს რეგისტრირებული ადმინისტრაციულ ორგანოებში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით სტატისტიკურ ან ადმინისტრაციულ ინფორმაციულ წყაროებში რეგისტრირებული არ არის.

ასეთი მოვლენა იმ შემთხვევაში ხდება, როცა სტატისტიკურ ან ადმინისტრაციულ ინფორმაციულ წყაროებში არ არის აღრიცხული ყველა ინსტიტუციური ერთეული. ეს მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია საიმედო საწარმოო რეგისტრის არარსებობით. ეს სიტუაცია შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზებით.

არარეგისტრირებული საქმიანობა სქემა 1-ში ასახულია დაუკვირვებადი ეკონომიკის 1-4-ე ტიპებში. მათ შორის:

1-ლი ტიპია არარეგისტრირებული საქმიანობა არაკანონიერი წარმოების სფეროში.

არარეგისტრირებული წარმოებითი საქმიანობის წარმოშობის პირველი და ყველაზე უბრალო მიზეზია წარმოების არაკანონიერება. სავსებით ცხადია, თუ ასეთი საქმიანობა რატომ არ შეიძლება აღირიცხოს უშუალოდ და რატომ ვერ ხვდება იგი ინფორმაციულ წყაროებში.

მე-2 ტიპია – არარეგისტრირებული მეწარმეობა არაფორმალურ (არაორგანიზებული) სექტორში.

“არაორგანიზებული” სექტორის საწარმოო ერთეულები ხშირად იმიტომ არ ხვდებიან აღრიცხვაში, რომ მათი რეგისტრაცია არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით. თუმცა საქმიანობის ზოგიერთი სახის შემთხვევაში ისინი

ვალდებულნი არიან აიღონ და პერიოდულად განაახლონ ლიცენზია, ან თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინონ საგადასახადო ინსპექციას. ასეთი მდგომარეობა მეტნაკლებად დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, კერძოდ კი საქართველოსათვის.

ორგანიზებული სექტორის საწარმოებს შორის ზოგიერთი შეგნებულად არ რეგისტრირდება. ამის მთავარი მიზეზია თავი აარიდოს ხარჯებს: დამატებული ღირებულების გადასახადს, სოციალურ გადასახადებს და საწევროების შეტანას, უსაფრთხოების წესების და სანიტარული ნორმების დაცვის ხარჯებს და სხვა.

ეკონომიკური მიზეზებით ფარული საქმიანობა მოიცავს მათი არარეგისტრირებულობის გამო მთლიანად აღურიცხავი საწარმოების საქმიანობას, რომელთა მეპატრონეები გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით შეგნებულად თავს არიდებენ რეგისტრაციას აგრეთვე, ნაწილობრივ აღრიცხული საწარმოების საქმიანობის ნაწილს, რომელნიც კანონის შესაბამისად რეგისტრირებული არიან, მაგრამ მათი რაღაც ნაწილი (მაგ. ადგილობრივი ერთეულები) ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო არაა აღრიცხული.

ეს შემთხვევა სქემა 1-ზე მოტანილია მე-3 ტიპის (ფარული ეკონომიკა, არარეგისტრირებული საქმიანობა, კორპორირებულ საწარმოთა სექტორი) დაუკვირვებადი ეკონომიკის სახით;

ორგანიზებული სექტორის საწარმოებიდან ინფორმაცია შეიძლება არ არსებობდეს სტატისტიკური აღრიცხვის მიზეზითაც (მათი სურვილის მიუხედავად), მაგალითად:

1. ეკონომიკაში მცირე საწარმოების განსაკუთრებით მაღალი წილის მიზეზით (მათი აღმოცენება-ლიკვიდაციის სიხშირის გამო);
2. შესაბამისი სტატისტიკური კანონმდებლობის არარსებობით;
3. სტატისტიკური სისტემის არასაკმარისი ეფექტურობის გამო.

ამ პირობებში ძნელია საწარმოთა საიმედო რეგისტრის შექმნა, ეს კი ნიშნავს, რომ საწარმოთა გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემები არ შეიძლება იყოს ამომწურავი.


ეს შემთხვევა სქემა 1-ზე მოტანილია მე-4 ტიპის (ფარული ეკონომიკა, სტატისტიკური რეგისტრის არაადეკვატურობის მიზეზით დაუკვირვებადი საქმიანობა, კორპორირებულ საწარმოთა სექტორი) დაუკვირვებადი ეკონომიკის სახით.

II. ინფორმაციის დამახინჯებული სახით წარმოდგენა

ეკონომიკური მიზეზებით ფარული საქმიანობა, გარდა საწარმოს არარეგისტრირებულობისა, უფრო ხშირად ხორციელდება საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებელთა არასრული დეკლარირების ან მათი დამახინჯებული სახით წარმოდგენის სახით. მონაცემთა შემცირების მოვლენას ადგილი აქვს, როცა საწარმოთა მონაცემები სრულად არ ასახავენ საწარმოს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ ოპერაციას. მონაცემთა დამახინჯება შეიძლება ხდებოდეს შემოსავლების (პროდუქციის მოცულობის) და ხარჯების შემცირების ან მაჩვენებელთა სხვა დამახინჯების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ეკონომიკური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივია. დარღვეულია, მაგალითად, წარმოებისა და დანახარჯების თანაფარდობის, დანახარჯებს შორის ხელფასის ფონდის წილის, ხელფასისა და სოციალური ანარიცხების ურთიერთშესაბამისობა. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როცა ამცირებენ წარმოების ერთ ან რამდენიმე კომპონენტს, ზრდიან ხარჯების მაჩვენებლებს.

ყველა ამ შემთხვევაში საბოლოოდ მცირდება დამატებული ღირებულება და მახინჯდება მოგების მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს როგორც არაორგანიზებულ სექტორში (საგადასახადო დეკლარაციის შევსების შემთხვევაში), ისე კორპორირებულ საწარმოთა შემთხვევაში.

სქემა 1. დაუკვირებადი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური და სტატისტიკური ელემენტები



პირველ შემთხვევა სქემა 1-ში მოტანილია მე-5 ტიპის (ფარული ეკონომიკა - შემცირებული მონაცემები, არაფორმალური სექტორი) და მეორე - მე-6 ტიპის (ფარული ეკონომიკა - შემცირებული მონაცემები, კორპორირებულ საწარმოთა სექტორი) დაუკვირვებადი ეკონომიკის სახით.

III. ეკონომიკური ერთეულებიდან პასუხების მიუღებლობა

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ არის გაშუქებული ისეთი ეკონომიკური ერთეულების მაჩვენებელთა შეფასების ხერხები, რომელნიც სხვადასხვა მიზეზით სტატისტიკური გამოკვლევისას ინფორმაციის მიცემაზე უარს აცხადებენ. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია სტატისტიკური გამოკვლევების დროს არაფორმალურ სექტორში, თუმცა კორპორირებულ საწარმოთა სექტორშიც, განსაკუთრებით ვაჭრობასა და მომსახურების ზოგიერთი სახეობის სფეროში საკმაოდ ბევრია ასეთი შემთხვევა.

ეს შემთხვევები სქემა 1-ზე მოტანილია მე-7 ტიპისა (მონაცემთა არწარმოდგენა, არაფორმალური სექტორი, სტატისტიკური მიზეზებით დაუკვირვებადი საქმიანობა) და მე-8 ტიპის (მონაცემთა არ წარმოდგენა, კორპორირებულ საწარმოთა სექტორი, სტატისტიკური მიზეზებით დაუკვირვებადი საქმიანობა) დაუკვირვებადი ეკონომიკის სახით.

IV. რეგისტრში ეკონომიკური ერთეულების მონაცემების არასისრულე, მათი არააქტუალიზებულობა

მონაცემთა აქტუალიზაციის არარსებობის გამო დაუკვირვებადი წარმოების არსებობას ჩვეულებრივ იწვევს სტატისტიკური სამსახურების მიერ შექმნილი ან გამოყენებული რეგისტრის არასაიმედოობა (საწარმოები ითვლებიან რეგისტრში, მაგრამ აღარ არსებობენ, იცვლება მათი სტრუქტურა, მოცულობა, ეკონომიკური საქმიანობის სახე, მისამართები და სხვა). ეს ნეგატიურად მოქმედებს რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებიდან მიღებული ინფორმაციის სისრულეზე, ზრდის დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობას, ნეგატიურად მოქმედებს ეროვნული ანგარიშების სისრულესა და ადეკვატურობაზე.

სქემა 1-ზე ეს შემთხვევა მოტანილია მე-9 ტიპის (სტატისტიკური რეგისტრის არააქტუალიზებული მონაცემები, კორპორირებულ საწარმოთა სექტორი, სტატისტიკური მიზეზებით დაუკვირვებადი საქმიანობა) დაუკვირვებადი ეკონომიკის სახით.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისათვის გამოყენებულია როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი და კომბინირებული მეთოდები.

შეფასების პირდაპირი მეთოდები გამოიყენება ეკონომიკურ ოპერაციებში მიმწოდებლების (მწარმოებელი, გამყიდველი) ან მყიდველების (მომხმარებლების) დაუკვირვებად ეკონომიკაში მონაწილეობის შესასწავლად, შინამეურნეობების, საწარმოების ან ცალკეულ პირთა სტატისტიკური შერჩევითი გამოკვლევის ან ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, რომელიც ემყარება:

- ტერიტორიული შერჩევების ბაზაზე ორგანიზებულ გამოკვლევებს;
- სამუშაო ძალის ან სამუშაო დროის გამოყენების გამოკვლევებს;
- საგადასახადო სამსახურის და სხვა ადმინისტრაციულ წყაროებს.

შეფასების არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს ეკონომიკის დაუკვირვებადი ნაწილის შესაფასებლად მის მიერ ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებებში დატოვებული “არაპირდაპირი სამხილები”-ის გამოყენებას. ჩვეულებრივ ისინი არსებობენ წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლებს შორის განსხვავების სახით. ასეთი “ნარჩენი შეუსაბამობების” მოცულობის განსაზღვრა ხდება მიკრო და მაკრო დონეზე შემოსავლებისა და ხარჯების, რესურსებისა და გამოყენების შედარებებით.

კომბინირებული მეთოდები გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომპლექსურ “შერეულ” გამოყენებას.

დაუკვირვებადი ეკონომიკის ზემოთმოტანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი წარმოშობის არასტატისტიკური მიზეზებიდან უმთავრესია მცირე საწარმოებსა და არაფორმალურ სექტორში ობიექტურად არსებული აღრიცხვიანობის დაბალი დონე. ამ სფეროში ხშირად შეუძლებელია განცალკევდეს საწარმოო ხასიათის შემოსავლები და ხარჯები მათი მესაკუთრე შინამეურნეობების შემოსავლებისა და სამომხმარებლო ხარჯებისაგან.

მცირე საწარმოებში ეს ობიექტური სირთულე შერწყმულია გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, ან ყოველი შემთხვევისათვის, შემოსავლების სრული დეკლარირებისას რაიმე გართულების წარმოშობის თავიდან აცილებასთან.

ქვეყნის ეკონომიკაში არაფორმალური სექტორის დიდი წილის გამო საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღეისათვის არსებული შეფასებით ბოლო წლებში არაფორმალური სექტორის წილად ეკონომიკაში პროდუქციის მთლიანი გამოშვების დაახლოებით მეხუთედი მოდიოდა.

რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევით არასრული მოცვის გამო დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების ძირითად მეთოდად გამოიყენება

შინამეურნეობების გამოკვლევისა და რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევის დასაქმების მონაცემთა შედარებითი ანალიზი. უფრო კონკრეტულად: ხდება საქმიანობის კონკრეტული სახეების მიხედვით რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევების არეში მოხვედრილ საწარმოებში სხვადასხვა ტიპის (დაქირავებით, მეპატრონის საქმიანობის) დასაქმების მაჩვენებლების შედარება შინამეურნეობების გამოკვლევიდან იგივე პერიოდისათვის მიღებულ ამ სფეროში დასაქმების მონაცემებთან. შინამეურნეობების კვლევიდან მიღებული დასაქმებულთა რიცხვი იყოფა საწარმოების მიერ დეკლარირებულ დასაქმების მაჩვენებლის რიცხვზე. შედეგად ვიღებთ არასრული მოცვის კოეფიციენტს, რომელიც ყველა დარგისათვის ერთზე მეტია, რადგან საწარმოების მიერ დეკლარირებული დასაქმების მაჩვენებელი ყოველთვის ნაკლებია შინამეურნეობების კვლევიდან მიღებულ მაჩვენებელზე. ეს მეთოდი შედარებით ნაკლები სიზუსტისაა. საქმე იმაშია, რომ დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა ცვალებადია, ძირითადად ზრდის მიმართულებით და არ არსებობს წრფივი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება დასაქმებულთა რაოდენობასა და მთლიანი გამოსვების მოცულობას შორის. აქედან გამომდინარე აუცილებელია დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა შედარებით სრულყოფილი მეთოდით ზოგიერთი სპეციალური ჩაღრმავებული გამოკვლევის საშუალებით.

ცხადია, ეს შესწორება არ მოიცავს დაუკვირვებადი ეკონომიკის მეორე ნაწილს – ინფორმაციის არასრულად და სტრუქტურულად დამახინჯებული სახით დეკლარირებას.

დაუკვირვებადი ეკონომიკის ამ მეორე კომპონენტის – ინფორმაციის არასრულად და სტრუქტურულად დამახინჯებული სახით დეკლარირების დროს – პროდუქციის, შემოსავლების, ხარჯების და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების რეალური მოცულობის შეფასებისა და ფარული ნაწილის განსაზღვრისათვის უმთავრესად საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა და მოხმარების ბალანსის შედგენის მეთოდი გამოიყენება.

ამ მეთოდით ხდება სამეწარმეო სექტორიდან, შინამეურნეობების კვლევიდან და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე კონკრეტული პროდუქტების მიწოდებისა და მოხმარების შედარება, დისბალანსების არსებობის მიზეზების ანალიზი, შესწორებების მეშვეობით ფარული ნაწილის განსაზღვრა და მიწოდებისა და მოხმარების დაბალანსება.

ასე მაგალითად, გამომცხვარი სასაქონლო პურის რესურსი თითქმის სრულად ემთხვევა ქვეყნის ტერიტორიაზე სასაქონლოდ წარმოებულ ამ პროდუქტს. ამიტომ კორექტულია შედარდეს წარმოების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებიდან მიღებული ამ პროდუქტის რესურსის ფიზიკური მოცულობა მოსახლეობისა და სხვა ინსტიტუციური სექტორების მიერ მისი შესყიდვების მოცულობას. მაგალითად, 2001 წლის პირველ ნახევარში ამ შედარებამ გვიჩვენა გამოყენების 3,6-ჯერ მეტობა დეკლარირებულ რესურსთან შედარებით.

ძირითადი წყარო, რომელზე დაყრდნობითაც სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების სფეროში ვახდენთ დაუკვირვებადი გამოშვების შეფასებებისათვის რესურსებისა და გამოყენებების შედარებას, შინამეურნეობების გამოკვლევის ბაზაზე მიღებული მოხმარების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით მოსახლეობის საბოლოო მოხმარების ხარჯების მონაცემებია. აქვე ვითვალისწინებთ მოსახლეობის დასაქმების შეფასებებს ეკონომიკური აქტივობის შესაბამისი სახეების მიხედვით.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება შესწორებების სხვა მეთოდებთან საერთო კომპლექსში. მისი გამოყენება რთულდება მაშინ, როცა რესურსების ან გამოყენებების საერთო მაჩვენებლების ფორმირებისას რამდენიმე ინსტიტუციური სექტორის მიხედვით არსებული კომპონენტების გათვალისწინების საჭიროებაა. ამ დროს ხშირად ვერ ხერხდება ინფორმაციის რეგულარული წყაროებიდან ერთი ან რამდენიმე კომპონენტის სარწმუნო შეფასება. ამიტომ შედარებითი ანალიზის შედეგიც ვერ იქნება სარწმუნო.

ასევე რთულია ისეთი დარგების პროდუქციის შეფასების სისრულის გარკვევა, რომელიც გამოიყენება ძირითადი კაპიტალის ფორმირებაში. ესეც გამოწვეულია მოხმარების ყველა კომპონენტის დამოუკიდებელი შეფასების მიღების პრობლემურობასთან.

ასეთ შემთხვევებში ხშირად აუცილებელი ხდება სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევების განხორციელება, რაც საგრძნობი მოცულობით შრომისა და ფინანსური რესურსების დამატებით ხარჯებს უკავშირდება.

რესურსებისა და გამოყენების მონაცემთა შედარებისას იქმნება მთლიანი წარმოდგენა დაუკვირვებადი ეკონომიკის სავარაუდო არსებობის შესახებ. პრობლემის საქმიანობის სახეების, ინსტიტუციური სექტორების ან სხვა კრიტერიუმებით დეზაგრეგირების პროცესში ყალიბდება შესაბამის დონეზე

დაკონკრეტებული ამოცანა დაუკვირვებადი ეკონომიკის საქმიანობის მოცულობის საქმიანობის სხვადასხვა სახეობისათვის ან სექტორისათვის სპეციალური, უფრო დეტალური სტატისტიკური გამოკვლევის შესახებ.

დაუკვირვებადი ეკონომიკის დაზუსტებული შეფასებების მისაღებად სპეციალური კვლევების ჩატარება საქართველოს პრაქტიკაში ერთ-ერთი ნაყოფიერი მიმართულებაა. ასეთი კვლევების დაგეგმვა და ჩატარება ხორციელდება იმ კონკრეტულ სფეროებში, სადაც დაბალია მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემთა ხარისხი, ან საერთოდ არ არსებობს ასეთი მონაცემები, ან წინასწარი ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელია დაუკვირვებადი ეკონომიკის მაღალი დონე. სპეციალური კვლევის შედეგების გამოყენება ეროვნული ანგარიშების შედგენისას შესაძლებელია 3-5 წლიან პერიოდში. წლების მსვლელობასთან ერთად იგი კარგავს სიზუსტეს და საჭირო ხდება ახალი კვლევის ჩატარების აუცილებლობა. სასურველია დაუკვირვებადი ეკონომიკის კვლევა ჩატარდეს 3-5 წლის პერიოდულობით ქვეყნის ეკონომიკის საქმიანობის სახეების მიხედვით, რაც გარკვეულ ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული.

1995-2001 წლებში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების სიზუსტის ასამაღლებლად სპეციალური, დეტალური სტატისტიკური გამოკვლევების განსახორციელებლად. კერძოდ, TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ჰოლანდიის, საბერძნეთისა და პოლონეთის სტატისტიკის სამსახურების ეროვნული ანგარიშების სპეციალისტების კონსულტაციებით ჩატარდა რიგი სპეციალური გამოკვლევებისა, დაისახა ამ მიმართულებით სამუშაოების სხვა პერსპექტიული მიმართულებები.

1999-2001 წლებში ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რესტორნების, სამარშრუტო მიკროავტობუსების, ბენზინგასამართი სადგურების, მშენებლობის, აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების მომსახურების, პურის წარმოების სპეციალური გამოკვლევების სერია, მოსახლეობის გამოკვლევა თამბაქოს მოხმარების შესახებ, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის მომსახურების მიწოდებისა და გამოყენების კომპლექსური გამოკვლევები.

ამ გამოკვლევებმა არსებითად დააზუსტეს ეროვნული ანგარიშების როგორც წარმოების, ასევე შემოსავლების გამოყენების ანგარიშები, დაზუსტდა პროდუქციის გამოშვებისა და მისი გამოყენების მაჩვენებლები.

თამბაქოს ნაწარმის მოხმარების გამოკვლევით მიღებული შედეგების საბაჟოსა და მრეწველების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით გამოირკვა, რომ თამბაქოს ნაწარმის იმპორტის მონაცემები დეკლარირებულთან შედარებით – 12-ჯერ, ხოლო წარმოების მონაცემები 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს.

თამბაქოს ნაწარმის მოხმარების მოცულობის შესახებ მიღებულმა შეფასებამ (242 მლნ. ლარი) მკვეთრად (დაახლოებით, 4,5-ჯერ) გაზარდა სხვა გამოკვლევებიდან (შინამეურნეობების ზოგადი კვლევიდან) მიღებული იგივე საქონლის მოხმარების მაჩვენებელი.

ეს ცვლილებები აისახა მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასებებზე.

რესტორნების, კაფეების, ბარების და ამ სფეროს სხვა ობიექტების მომსახურების სპეციალური გამოკვლევით მომხმარებელთა რაოდენობისა და მომსახურების საშუალო ღირებულების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ რესტორნების მიერ გაწეული მომსახურების რეალური მოცულობა ამ ორგანიზაციების მიერ საწარმოთა მიმდინარე სტატისტიკურ გამოკვლევაში დეკლარირებულ მაჩვენებელს 3,8-ჯერ აღემატება.

გამოკვლევის შედეგებმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებშიც. კერძოდ, მოცემული სექტორის მიხედვით 3,4-ჯერ გაიზარდა მთლიანი გამოშვების და დამატებული ღირებულების მაჩვენებლები. შესაბამისი კორექტივები იქნა შეტანილი დანახარჯების გაანგარიშებებშიც.

ანალოგიური გამოკვლევა განხორციელდა ქ. თბილისში ბენზინგასამართი სადგურების რეალური ბრუნვის განსაზღვრის მიზნით. ამ გამოკვლევის შედეგებმაც ასევე საგრძნობი დაზუსტება შეიტანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშებებში. გამოკვლევის შედეგებით თბილისში რეალიზებული ბენზინის მოცულობა 3,1-ჯერ მეტია ბენზინგასამართი საწარმოების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ მაჩვენებლებთან შედარებით. დიზელის საწვავისათვის ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდია. კერძოდ, 5,8-ჯერ აღემატება ბენზინგასამართი საწარმოების მიერ დეკლარირებულ მაჩვენებლებს.

თბილისის ტერიტორიაზე ნებართვით და უნებართვოდ წარმოებული ყველა სახის მშენებლობის გამოკვლევის საბოლოო შედეგებით ამ პერიოდში განხორციელებული სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოების რეალურმა მაჩვენებელმა შეადგინა 145.1 მლნ. ლარი, რაც 2,02-ჯერ აღემატება 1999 წლის შედეგებით სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საწარმოთა მიმდინარე

სტატისტიკურ გამოკვლევაში დეკლარირებულ მაჩვენებელს. ამ გამოკვლევის მონაცემების შესაბამისად, 1999 წლის მანძილზე სამშენებლო ობიექტებზე განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 197.4 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც 2.11 –ჯერ აღემატება დეკლარირებულ მაჩვენებელს.

მოცემული გამოკვლევის შედეგებით შესაბამისი კორექტირება მოხდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაშიც.

2001 წელს ქ. თბილისში პურის წარმოების შერჩევითი გამოკვლევით დადგინდა, რომ მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პურის ცხოვის დეკლარირებული მაჩვენებლები 3-ჯერ არის შემცირებული რეალურ მაჩვენებლებთან შედარებით.

ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გამოკვლევით მიღებული შედეგებით ირკვევა:

2000 წლის პირველ კვარტალში მოსახლეობის ფულადი ხარჯი სამედიცინო დაწესებულებებში შეადგინა 51.5 მლნ. ლარს. სამედიცინო დაწესებულებებიდან მოსული ინფორმაციით კი იგივე პერიოდში მოსახლეობისაგან მიღებულია მხოლოდ 8.5 მლნ. ლარი ფულადი ანაზღაურება. ეს თანხა 6.1-ჯერ ნაკლებია მოსახლეობის მიერ ნაჩვენებ თანხაზე.

საქართველოში მოსახლეობამ, 2000 წლის პირველ კვარტალში, მიიღო სამედიცინო დაწესებულებების სტატისტიკურ ანგარიშებში დაფიქსირებულთან შედარებით არანაკლებ 4.2-ჯერ მეტი სამედიცინო მომსახურება და იმავე პერიოდში შეიძინა აფთიაქების მიერ დეკლარირებულთან შედარებით 3.1-ჯერ მეტი მედიკამენტი, სამედიცინო დანიშნულების მასალა ან მოწყობილობა.

სამედიცინო მომსახურების კვარტალური მოცულობის მიხედვით მიღებული შეფასება – 87.1 მლნ. ლარი, მკვეთრად (დაახლოებით, 6.8-ჯერ) ზრდის სხვა გამოკვლევებიდან (შინამეურნეობების ზოგადი კვლევიდან) მიღებულ იგივე მომსახურების მოხმარების მაჩვენებელს.

მედიკამენტების შესაძენად გაწეული ხარჯების შეფასება 72.9 მლნ. ლარი კი ასევე მკვეთრად – 3.1-ჯერ ზრდის იგივე შინამეურნეობების ზოგადი კვლევის შეფასებებს.

მედიკამენტების რესურსებისა და გამოყენების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მთლიანი რესურსი საჭიროა გაიზარდოს სულ ცოტა ორჯერ მაინც, ანუ ფარმაცევტული ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის და წარმოების მაჩვენებლები შესაბამისი მასშტაბით უნდა შესწორდეს.

განათლების დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიერ განათლების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების გამოკვლევის მონაცემებით განათლების მომსახურების მიღებისათვის მოსახლეობის მიერ დასახელებული ხარჯები 19-ჯერ აღემატებოდა განათლების დაწესებულებების მიერ 2000 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში გაწეული მომსახურების დეკლარირებულ მაჩვენებელს.

განათლების ხარჯებზე მოსახლეობის გამოკვლევის შეფასებები განათლების მომსახურებასა და სასწავლო ნივთებზე გაწეულ საერთო ხარჯების შესახებ ასევე მკვეთრად – 2.2-ჯერ (64.8 მლნ. ლარით) აღემატება შინამეურნეობების ზოგადი კვლევის მონაცემებით მიღებულ შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, ამ გამოკვლევის მიხედვით შეფასებულ იქნა მოსახლეობისაგან განათლებაზე საზღვარგარეთ გაწეული ხარჯებიც – 45.2 მლნ. ლარის ოდენობით. ასეთი ინფორმაცია აქამდე არსებული კვლევებით არ მიიღებოდა.

ეს მაჩვენებლები შესაძლებლობას იძლევა დასაბუთდეს მთლიანი შიდა პროდუქტის უშუალოდ მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევით დაფიქსირებული შეფასებების კორექტირებები:

წარმოების ანგარიშებში პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელთათვის კორექტირება იწვევს განათლების მომსახურების მოცულობის და შესაბამისად, დამატებული ღირებულების გაზრდას. ამ ანგარიშში მთლიანი გამოშვებისა და დამატებული ღირებულების შესწორებამ - 1.0 პროცენტი (2000 წლის მშპ-ში 59 მლნ. ლარი) შეადგინა.

განათლების მომსახურების, სასწავლო ნივთებზე და განათლებაზე საზღვარგარეთ გაწეული ხარჯების შესწორების მაჩვენებელი კი 2.6 პროცენტს (2000 წლის მშპ-ში 152 მლნ. ლარს) შეადგენს საბოლოო გამოყენების მიხედვით გაანგარიშებულ მშპ-ის მოცულობიდან.

2002 წელს ჩატარებული სატვირთო ავტომანქანების შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებით თავიანთი საქმიანობის 28.9 პროცენტს მაღავენ. იმავე წელს ჩატარებული სილამაზის სალონების გამოკვლევის შედეგებით კი აღნიშნული სფეროს საქმიანობის 83.3 % ჩრდილშია მოქცეული.

უახლოეს წლებში ჩატარებული სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებები 2006-2008 წლებით თარიღდება.

2006 წელს TACIS-ის ფარგლებში ჩატარდა მაქოსებრი საგარეო ვაჭრობის გამოკვლევა არაორგანიზებული საგარეო ვაჭრობის განსაზღვრის მიზნით.

შედგები გამოყენებულ იქნა როგორც საგადასახდელო ბალანსის, ასევე ეროვნული ანგარიშების შედგენის პროცესში.

2007 წელს 2006 წლის მონაცემების საფუძველზე მსოფლიო ბანკის IDF გრანტის ფარგლებში ჩატარდა ძირითად კაპიტალში ინვესტიციების სტატისტიკური გამოკვლევა, რის საფუძველზეც მოპოვებულ იქნა ინვესტიციების შესახებ დეტალური ინფორმაცია რესურსებისა და გამოყენების ცხრილის შესადგენად, ასევე დანახარჯების მეთოდით მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების დასაზუსტებლად.

2007 წელს 2006 წლის მონაცემების საფუძველზე მსოფლიო ბანკის IDF გრანტის ფარგლებში ჩატარდა ასევე შუალედური მოხმარების სტატისტიკური გამოკვლევა. კვლევის საფუძველზე განისაზღვრა შუალედური მოხმარების სტრუქტურა რესურსებისა და გამოყენების ცხრილის შესადგენად, დადგინდა წილები მთლიან გამოშვებაში საქმიანობის სახეების მიხედვით, რომლის შედეგებსაც დღესაც ვიყენებთ შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად.

2007 წელს 2006 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაეროს განვითარების პროგრამა UNDP-ის ფარგლებში ჩატარდა დაუკვირებადი ეკონომიკის კვლევა მშენებლობის, რესტორნებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტის სფეროებში, რის შედეგადაც დადგინდა შესწორების კოეფიციენტები შესაბამისი დარგების მიხედვით: მშენებლობა – 148, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – 15.6, რესტორნები, ბარები – 7.8.

2008 წელს 2007 წლის მონაცემების საფუძველზე საბიუჯეტო დაფინანსებით ჩატარდა დაუკვირებადი ეკონომიკის გამოკვლევა ვაჭრობისა და სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგებში, რომელთა შედეგებიც გამოიყენება შესაბამისი დარგის წარმოების სრული მოცულობის განსაზღვრისთვის.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ნათელია დაუკვირებადი ეკონომიკის სპეციალური კვლევების შედეგების დიდი მნიშვნელობა ეროვნული ანგარიშებისათვის. მათ საფუძველზე ხდება წარმოების დაუკვირებადი გამოშვების შეფასებით პროპორციების დადგენა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახისათვის. დასაქმების მონაცემების მიხედვით კი, როგორც აღვნიშნეთ, მიიღება მოცვის სისრულის შეფასება.

ეროვნული ანგარიშების ადეკვატურობის შემდგომი ამაღლებისა და შეფასებების ხარისხის გაუმჯობესებისათვის არსებითია ძირითადი ინფორმაციის წყაროების სისტემური თვისებრივი გაუმჯობესება.

სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევების ზემოთ მოტანილი მონაცემები, აგრეთვე რიგი სხვა დაკვირვებები მეტყველებენ, რომ სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს ერთ-ერთი საბაზო ინფორმაციული წყაროს – შინამეურნეობების გამოკვლევების სისტემა. მართალია ეს სისტემა თავისი სტრუქტურით (შერჩევისა და როტაციის, გამოკითხვის პერიოდულობის, მონაცემთა დამუშავების მიხედვით) სავსებით შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მოწინავე სტანდარტებს, მაგრამ თვისებრივად გასაუმჯობესებელია კვლევის ინსტრუმენტები და გამოკვლევის ჩატარების და მონაცემთა ხარისხის კონტროლის მექანიზმების მუშაობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სისტემურად უდგება ინფორმაციის წყაროების თვისებრივი გაუმჯობესების საკითხს, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული განვითარებული ქვეყნები.

თავი II ეროვნული შემოსავლის სტრუქტურისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებანი

2.1 ეროვნული შემოსავლის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებელთა სისტემა


ეროვნული შემოსავალი აგრეგატული მაჩვენებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გაიანგარიშება შემადგენელი კომპონენტების საფუძველზე. სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ჩვენი ინტერესის სფეროს. უპირველესად საკითხი უნდა დავაყენოთ ამ კომპონენტების, როგორც ეკონომიკური კატეგორიების განსაზღვრის, შემდეგ კი მათი დეტალური ანალიზის მიმართულებით. საკითხის ამგვარ განხილვას მივყავართ ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შესწავლამდე, რასაც სტატისტიკა ახორციელებს სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეების მეშვეობით.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა ანუ შემადგენლობა შეიძლება განვიხილოთ ძირითადად ორი სახის ჭრილში: შემოსავლების სახეებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით. ასევე წარმოებისა და საბოლოო მოხმარების მეთოდით გაანგარიშებული შესაბამისი სტრუქტურული ელემენტების მიხედვით.


ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდე ზოგადად გვიჩვენებს მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილების წილს მთლიან მოცულობაში. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებისას ეროვნული შემოსავლის მთლიან მაჩვენებელს ვიღებთ შედარების ბაზად (საფუძვლად) და ვპოულობთ ცალკეული ნაწილების წილობრივ ან პროცენტულ შეფარდებას მთელის მიმართ ე.ი. მათი საერთო ჯამის მიმართ.

რამდენადაც ეროვნული შემოსავალი შემოსავლების მაჩვენებელია, მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის შესწავლა შემოსავლების ტიპების – შრომის ანზღაურების, გადასახადების, მოგების, პროცენტის, დივიდენდების – მიხედვით. საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტრუქტურას შემოსავლების კატეგორიების მიხედვით 2003 და 2009 წლებისთვის ქვემოთმოტანილი გრაფიკები გვიხასიათებს:

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა შემოსავლების კატეგორიების მიხედვით 2003 წელს



ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა შემოსავლების კატეგორიების მიხედვით 2009 წელს



ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შედარება ორი ან მეტი თანმიმდევრული პერიოდისათვის საშუალებას იძლევა დავადგინოთ მის შემადგენლობაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები, მათი მიმართულება და ტენდენცია.

ეროვნული შემოსავლის გრძელვადიანი დინამიკის (1990-2009 წწ.) ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის სტრუქტურაში შემოსავლების კატეგორიების მიხედვით ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი. მაშინ როცა განვითარებული ქვეყნების შემოსავლების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურებაზე მოდის უდიდესი (დაახლოებით 3/4) ნაწილი.

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა შემოსავლების კატეგორიების მიხედვით 1990-2009 წლებში მოცემულია 2.1 ცხრილში.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის ანალიზი დანახარჯების კატეგორიების მიხედვით 1990-2009 წლებში გვიჩვენებს, რომ მთლიანი საბოლოო მოხმარების ხარჯები აჭარბებდა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს 1992 წელს 35.5 %-ით, 1993 წელს – 14.1 %-ით, 1994 წელს – 6.0 %-ით, 1996 წელს – 15.7 %-ით, 1997 წელს – 8.3 %-ით, 2008 წელს – 4.1 %-ით, 2009 წელს – 8.7 %-ით. აქვე შევნიშნავთ, რომ 2008 და 2009 წლებში საბოლოო მოხმარების ხარჯების გადამეტება ეროვნულ შემოსავალზე ძირითადად გამოწვეულია აგვისტოს საომარი მოქმედებებითა და მსოფლიოს ფინანსური კრიზისით.

რაც შეეხება შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებს, ის აჭარბებდა ეროვნულ შემოსავალს მხოლოდ 1992, 1993 და 1996 წლებში. შესაბამისად, 1992 წელს – 6.3 %-ით, 1993 წელს – 3.1 %-ით, 1996 წელს – 5.8 %-ით.

მთლიანი საბოლოო მოხმარების ხარჯებისა და მათ შორის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების გადამეტება ეროვნულ შემოსავალზე ნიშნავს, რომ ეკონომიკას არ ჰყოფნის შიდა რესურსები საკუთარი საბოლოო მოხმარების დასაკმაყოფილებლად და ხშირ შემთხვევაში მიმართავს სესხებას. შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იგი ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული.

ცხრილი 2.1

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა
შემოსავლების კატეგორიების მიხედვით, 1990-2009

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
შრომის ანაზღაურება	48.4	53.9	29.8	15.8	20.9	37.8	21.6	22.6	24.4	23.3
წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	8.4	9.6	2.0	5.8	2.2	6.2	4.5	6.8	5.7	7.0
მთლიანი საოპერაციო მოგება	43.2	36.6	77.1	81.0	77.4	58.1	16.1	16.8	18.8	25.6
მთლიანი შერეული შემოსავალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	60.1	50.3	46.1	39.2
პირველადი შემოსავლების საღდო დანარჩენი მსოფლიოდან	0.0	0.0	-8.9	-2.7	-0.5	-2.1	-2.4	3.5	5.0	4.9
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.1 (გაგრძელება)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009*
შრომის ანაზღაურება	26.6	24.9	22.0	17.2	16.4	16.8	16.3	19.1	23.5	29.6
წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	7.2	7.8	8.1	7.5	9.7	12.1	13.2	14.7	14.8	15.0
მთლიანი საოპერაციო მოგება	26.6	29.3	35.7	40.8	43.9	44.6	47.8	48.4	46.7	38.0
მთლიანი შერეული შემოსავალი	35.9	37.0	33.2	33.7	28.2	25.1	20.5	17.4	16.4	18.9
პირველადი შემოსავლების საღდო დანარჩენი მსოფლიოდან	3.7	1.0	1.0	0.8	1.8	1.4	2.2	0.4	-1.4	-1.5
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა დანახარჯების კატეგორიების მიხედვით 1990-2009 წლებში მოცემულია 2.2 ცხრილში.

ცხრილი 2.2

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა დანახარჯების ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 1990-2009

	1990	1991	1992	1993	1994
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	79.9	77.5	135.5	114.1	106.0
შინამეურნეობები	61.1	57.1	106.3	103.1	89.5
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	2.1	1.6	12.2	6.5	9.9
სახელმწიფო მართვის ორგანოები	16.8	18.8	16.9	4.5	6.6
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	7.3	10.9	7.6	0.9	1.3
კოლექტიური მომსახურება	9.5	7.9	9.4	3.6	5.3
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	30.6	28.2	27.5	1.1	16.9
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	23.7	19.3	19.2	0.8	10.8
მარაგების ცვლილება	7.0	8.9	8.3	0.3	6.0
ფასეულობის შექმნა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	40.0	27.8	54.0	19.8	23.5
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	45.7	31.1	108.0	34.7	45.3
(+) სტატისტიკური განსხვავება	-4.9	-2.4	0.0	2.3	-0.5
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	100.0	100.0	108.9	102.7	100.5
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	0.0	0.0	-7.6	-0.4	0.0
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	0.0	0.0	1.3	2.3	0.5
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.2 (გაგრძელება)

	1995	1996	1997	1998	1999
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	93.1	115.7	108.3	90.4	87.3
შინამეურნეობები	77.5	105.8	97.9	79.3	76.4
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	7.5	2.0	0.5	0.6	0.7
სახელმწიფო მართვის ორგანოები	8.1	7.9	9.8	10.5	10.1
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	2.9	3.6	4.5	5.4	5.6
კოლექტიური მომსახურება	5.3	4.3	5.3	5.1	4.5
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	24.5	20.1	17.2	25.8	25.1
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	19.7	19.0	17.8	24.3	24.9
მარაგების ცვლილება	4.8	1.1	-0.6	1.5	0.2
ფასეულობის შექენა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	14.3	13.6	15.1	15.6	18.1
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	29.1	33.1	40.7	35.2	36.2
(+) სტატისტიკური განსხვავება	-0.7	-13.9	-3.4	-1.6	0.8
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	102.1	102.4	96.5	95.0	95.1
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	0.1	0.2	5.1	6.4	7.1
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	2.2	2.5	1.6	1.4	2.2
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.2 (გაგრძელება)

	2000	2001	2002	2003	2004
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	95.4	88.2	86.8	81.4	85.7
შინამეურნეობები	86.1	77.8	76.3	71.0	71.5
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	1.0	0.9	0.8	0.7	0.5
სახელმწიფო მართვის ორგანოები	8.2	9.5	9.7	9.7	13.8
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	3.8	4.5	4.3	4.8	5.9
კოლექტიური მომსახურება	4.5	5.0	5.4	4.9	7.9
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	25.6	30.0	28.2	31.1	31.3
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	24.5	27.0	24.2	26.5	27.0
მარაგების ცვლილება	1.1	3.0	3.9	4.6	4.4
ფასეულობის შექენა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	22.1	24.2	28.9	31.6	31.0
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	38.2	38.5	42.0	46.1	47.3
(+) სტატისტიკური განსხვავება	-8.6	-5.0	-2.9	1.2	-2.5
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	96.3	99.0	99.0	99.2	98.2
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	5.6	3.0	4.7	4.4	4.8
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	1.9	2.0	3.7	3.6	3.0
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.2 (გაგრძელება)

	2005	2006	2007	2008	2009*
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	83.1	92.0	92.2	104.1	108.7
შინამეურნეობები	65.5	76.6	70.1	77.5	83.6
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	0.5	0.4	0.4	0.4	0.4
სახელმწიფო მართვის ორგანოები	17.1	15.0	21.8	26.2	24.7
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	8.3	4.5	4.2	4.6	4.9
კოლექტიური მომსახურება	8.8	10.5	17.6	21.6	19.8
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	33.0	30.2	31.9	26.3	12.3
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	27.7	25.0	25.6	21.8	14.6
მარაგების ცვლილება	5.3	5.2	6.3	4.5	-2.3
ფასეულობის შექენა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	33.3	32.1	31.1	29.0	30.0
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	50.8	55.8	57.7	59.2	49.8
(+) სტატისტიკური განსხვავება	0.1	-0.8	2.1	1.1	0.3
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	98.6	97.8	99.6	101.4	101.5
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	4.1	4.2	4.7	4.0	3.9
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	2.6	2.0	4.3	5.4	5.4
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის ანალიზი საინტერესოა აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. აღნიშნული ანალიზი მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს თითოეული დარგის წვლილი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში; შემუშავდეს და გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების პრიორიტეტების განმსაზღვრელი დარგების წარმოების განვითარების მიმართულებით. წარმოების მეთოდით გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის გრძელვადიანი დინამიკის ანალიზი 1996-2009 წლებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ მის სტრუქტურაში შემცირდა სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი და გაიზარდა მომსახურების დარგების წილი.

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 1996-2009 წლებში ნაჩვენებია 2.3 ცხრილში. აქვე შევნიშნავთ, რომ დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი მოცემულია 1996 წლიდან და არ ითვალისწინებს აღნიშნულ პერიოდამდე მაჩვენებლებს. 1990-1995 წლების ეროვნული შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა ეყრდნობოდა ძველ საკავშირო სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკატორს, რომელიც არაა შესაბამისობაში ახალ ეროვნულ კლასიფიკატორთან. თუმცა აღვნიშნავთ, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში 1990 წელს შეადგენდა 29.8 %-ს, 1991 წელს – 26.5 %-ს, 1992 წელს – 59.4 %-ს, 1993 წელს – 68.0 %-ს, 1994 წელს – 64.8 %-ს, 1995 წელს – 42.7 %-ს. 1997 წლის 1 მარტიდან საქართველოში სამოქმედოდ შემოვიდა ახალი ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც ეფუძნებოდა მის ევროპულ ანალოგს. 2004 წლის 22 დეკემბრიდან კი დღემდე მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც შემუშავებულია მისი ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 (Statistical Classification of Economic Activities in the European Community) ბაზაზე. აღნიშნული კლასიფიკატორი დროთა განმავლობაში განიცდის ასევე ცვლილებას. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ახალი ეროვნული კლასიფიკატორის (რომელიც შემუშავებულია გადასინჯული NACE rev.2 ბაზაზე) სტატისტიკურ პრაქტიკაში დასანერგად.

ცხრილი 2.3

ეროვნული შემოსავლის პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 1996-2009

	1996	1997	1998	1999	2000
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	33.9	26.5	24.9	23.5	19.8
სამთომშობვებითი მრეწველობა	0.6	0.4	0.3	0.3	0.7
დამამუშავებელი მრეწველობა	11.1	9.7	8.1	7.9	8.2
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	3.2	3.0	3.4	4.2	4.2
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	6.2	4.9	4.5	4.3	3.6
მშენებლობა	2.5	3.5	4.4	3.5	3.6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	12.5	10.7	10.0	11.0	12.1
სასტუმროები და რესტორნები	1.9	1.9	1.8	2.3	2.2
ტრანსპორტი	4.6	6.1	8.5	8.9	11.3
კავშირგაბმულობა	1.1	1.4	1.9	2.3	2.4
საფინანსო საქმიანობა	0.8	0.9	1.2	1.5	1.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1.7	2.0	1.9	1.7	1.8
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	8.5	6.8	6.1	5.4	5.0
სახელმწიფო მმართველობა	2.9	3.6	3.7	3.3	3.2
განათლება	2.7	2.7	2.7	3.1	3.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2.2	3.4	4.3	4.0	5.0
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	3.1	3.4	3.3	2.9	3.1
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	0.5	0.4	0.3	0.3	0.2
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-0.4	-0.4	-0.8	-0.9	-0.9
მშპ საბაზისო ფასებში	99.4	90.8	90.4	89.6	90.5
(+) გადასახადები პროდუქციაზე	4.2	6.8	5.7	6.7	6.7
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	1.2	1.1	1.1	1.2	0.9
მშპ საბაზრო ფასებში	102.4	96.5	95.0	95.1	96.3
(+) პირველადი შემოსავლების საღლო დანარჩენი მსოფლიოდან	-2.4	3.5	5.0	4.9	3.7
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.3 (გაგრძელება)

	2001	2002	2003	2004	2005
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	20.8	19.1	19.2	16.1	14.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.6	0.7	0.9	0.8	0.8
დამამუშავებელი მრეწველობა	7.6	8.3	8.6	8.0	8.5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	3.8	4.1	3.8	3.0	2.8
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	4.5	4.4	4.3	4.0	3.5
მშენებლობა	3.9	5.0	6.3	7.9	8.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	12.9	12.7	13.2	12.5	11.8
სასტუმროები და რესტორნები	2.8	2.9	2.8	2.7	2.8
ტრანსპორტი	10.8	11.1	10.2	9.3	8.3
კავშირგაბმულობა	2.8	2.9	3.6	3.8	4.0
საფინანსო საქმიანობა	1.4	1.4	1.5	1.3	2.0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	2.2	1.8	2.4	2.6	2.6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	4.6	4.1	3.6	3.1	2.7
სახელმწიფო მმართველობა	3.6	3.9	3.6	5.7	6.4
განათლება	3.5	3.6	3.2	3.4	3.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	4.8	4.6	4.0	3.5	3.4
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	2.8	2.5	2.9	2.8	3.2
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	0.2	0.1	0.1	0.1	0.1
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-0.9	-1.0	-0.9	-0.7	-1.1
მშპ საბაზისო ფასებში	92.5	92.4	93.2	89.9	87.2
(+) გადასახადები პროდუქციაზე	7.3	7.3	6.7	8.9	11.8
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	0.8	0.7	0.6	0.6	0.5
მშპ საბაზრო ფასებში	99.0	99.0	99.2	98.2	98.6
(+) პირველადი შემოსავლების საღი და დანარჩენი მსოფლიოდან	1.0	1.0	0.8	1.8	1.4
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ცხრილი 2.3 (გაგრძელება)

	2006	2007	2008	2009*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	11.0	9.2	8.2	8.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.0	0.8	0.7	0.6
დამამუშავებელი მრეწველობა	8.5	8.2	8.0	7.4
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.7	2.4	2.3	2.6
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.4	2.7	2.6	2.7
მშენებლობა	6.7	6.7	5.6	5.4
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	13.3	12.7	14.2	12.6
სასტუმროები და რესტორნები	2.3	2.1	2.1	2.0
ტრანსპორტი	7.8	7.2	6.2	6.7
კავშირგაბმულობა	3.5	3.1	3.5	3.7
საფინანსო საქმიანობა	2.1	2.2	2.3	2.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	3.2	3.4	3.5	3.6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2.4	2.2	2.5	3.0
სახელმწიფო მმართველობა	8.3	12.8	15.1	13.9
განათლება	3.6	3.2	3.6	4.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	4.2	4.0	4.4	5.7
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	3.2	3.7	4.0	3.6
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	0.1	0.1	0.1	0.1
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-0.8	-1.0	-1.2	-1.3
მშპ საბაზისო ფასებში	85.4	85.6	87.8	87.7
(+) გადასახადები პროდუქციაზე	12.8	14.4	14.0	14.3
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	0.4	0.4	0.5	0.5
მშპ საბაზრო ფასებში	97.8	99.6	101.4	101.5
(+) პირველადი შემოსავლების საღდო დანარჩენი მსოფლიოდან	2.2	0.4	-1.4	-1.5
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	100.0	100.0	100.0	100.0

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის ანალიზი მნიშვნელოვანია ასევე ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. ეს უკანასკნელი 2009 წლისთვის განხილული იყო წინა თავში, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ მთლიან ეროვნულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი შინამეურნეობების სექტორის პირველად შემოსავლებზე მოდიოდა და მან შეადგინა 48.5 %. დანარჩენი სექტორების პირველადი შემოსავლების წილი კი ეროვნულ შემოსავალში შემდეგი იყო: არაფინანსური კორპორაციების სექტორის პირველადი შემოსავლების წილად მოდიოდა 26.6 %, სამთავრობო სექტორზე – 25.2 %, ფინანსურ კორპორაციებზე – 1 %, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორზე კი – მხოლოდ 0.1 %. ამასთან ერთად, შევნიშნავთ, რომ დანარჩენი მსოფლიოს, როგორც მეექვსე ინსტიტუციური სექტორის, პირველადი შემოსავლების წილად მხოლოდ 1.5 % მოდიოდა.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის მაჩვენებელთა სისტემის განხილვის დროს პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ დონეები ერთმანეთის შესადარისი იყოს, რადგანაც დინამიკური მწკრივი მხოლოდ ამ შემთხვევაში ასახავს სწორად მოვლენის განვითარების პროცესს. დინამიკის მწკრივის დონეთა შესადარისობა ესაა ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების დასაბუთებულობისა და სისწორის უმნიშვნელოვანესი პირობა.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის მაჩვენებელთა სისტემა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საანალიზო მაჩვენებლები – დინამიკური მწკრივის დონე, აბსოლუტური მატება, საშუალო აბსოლუტური მატება, ზრდისა და მატების ტემპები, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები, მატების ერთი პროცენტის აბსოლუტური მნიშვნელობა – სრულად გვიხასიათებენ ეროვნული შემოსავლის დინამიკას.

ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება, რომელიც გამოსახავს მისი ზრდის აბსოლუტურ სიჩქარეს, არაა საკმარისი ზრდის პროცესის სრული დახასიათებისათვის. ამისთვის ვიყენებთ შეფარდებით სიდიდეებს. დინამიკის შეფარდებით მაჩვენებლებს წარმოადგენენ ზრდისა და მატების ტემპები, რომლებიც ახასიათებენ ეროვნული შემოსავლის დონის ცვლილების სიჩქარეს. ე.ი. ზრდის პროცესის ინტენსიურობას.

დროთა განმავლობაში იცვლება არა მარტო ეროვნული შემოსავლის სიდიდეები (დონეები), არამედ დინამიკის მაჩვენებლებიც (განვითარების

აბსოლუტური მატება და ტემპები). ამიტომ განვითარების განზოგადებული დახასიათებისთვის, მისი ტიპური თავისებურებებისა და კანონზომიერებების გამოვლინებისათვის გამოიყენება დინამიკის საშუალო მაჩვენებლები: საშუალო დონეები, საშუალო მატებანი, საშუალო ტემპები.

მნიშვნელოვანია ეროვნული შემოსავლის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი. ეს ურთიერთკავშირი გამოისახება სტრუქტურის ცვლილების (ე.წ. სტრუქტურული ძვრების) დამოკიდებულებით მთელის შემადგენელი ნაწილების ზრდის ტემპების უთანაბრობისაგან. ეს დამოკიდებულება მდგომარეობს იმაში, რომ იმ ნაწილების ხვედრითი წილი, რომელიც უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთელი, დიდდება, ხოლო იმ ნაწილების ხვედრითი წილი, რომელიც იზრდება უფრო ნაკლები ტემპებით, ვიდრე მთელი, მცირდება. მაგალითისათვის 2.4 ცხრილში მოვიტანთ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის სტრუქტურას 2003 და 2007 წლებისთვის:

**ცხრილი 2.4 საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა
2003 და 2007 წლებში**

	2003		2007		ზრდის ტემპი, % მე-4 სვ მე-2 სვ
	მლნ. ლარი	%-ში ჯამის მიმართ	მლნ. ლარი	%-ში ჯამის მიმართ	
1	2	3	4	5	6
შრომის ანაზღაურება	1 484.8	17.2	3 252.3	19.1	219.0
წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	650.3	7.5	2 516.0	14.7	386.9
მთლიანი საოპერაციო მოგება	3 517.6	40.8	8 264.2	48.4	234.9
მთლიანი შერეული შემოსავალი	2 911.3	33.7	2 961.3	17.4	101.7

	2003		2007		ზრდის ტემპი, % მე-4 სვ მე-2 სვ
	მლნ. ლარი	%-ში ჯამის მიმართ	მლნ. ლარი	%-ში ჯამის მიმართ	
1	2	3	4	5	6
პირველადი შემოსავლების საღდო დანარჩენი მსოფლიოდან	67.2	0.8	66.7	0.4	99.3
ეროვნული შემოსავალი სულ	8 631.3	100.0	17 060.5	100.0	197.7

მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ 2007 წელს 2003 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაში გაიზარდა შრომის ანაზღაურების, გადასახადებისა და მოგების ხვედრითი წილები, ხოლო შემცირდა შერეული შემოსავლისა და დანარჩენი მსოფლიოდან პირველადი შემოსავლების საღდოს წილები.

2.2 ეროვნული შემოსავლის დინამიკის ძირითადი კომპონენტები და ურთიერთშესაძარისი მწკრივების მიღების ხერხები

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის ქმნიან დინამიკურ მწკრივებს, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ქვეყნის შემოსავლების სიდიდე გრძელვადიან პერიოდში, გავაკეთოთ შესაბამისი პროგნოზები, ასევე შევისწავლოთ და აღმოვფხვრათ შიდაწლიური ცვლილებები და მასზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორები. ეროვნული შემოსავლის დინამიკაში განხილვა და გაანალიზება საშუალებას მისცემს სამთავრობო ორგანოებს სათანადო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაში.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკა 1956 წლიდანაა ხელმისაწვდომი. თუმცა ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული წლიური მაჩვენებლების მწკრივების აგება 1990 წლიდან დაიწყო. კვარტალური ეროვნული შემოსავლის დინამიკა კი 1996 წლიდან იღებს სათავეს. დინამიკის გაზომვის ძირითადი პრობლემა დღეისათვის მდგომარეობს მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული მაჩვენებლების მუდმივ ფასებში გადაანგარიშებაში ურთიერთშესაძარისი დინამიკური მწკრივების მიღების მიზნით. ასევე პრობლემატურია 1956-1989 წწ მაჩვენებელთა 1990-2009 წწ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანა. იმდენად, რამდენადაც საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა ურთიერთშესაძარისი დინამიკის მწკრივები, ცხადია, შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის განხორციელებაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციული რესურსების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად გადაგვეჭრა აღნიშნული პრობლემები: განვახორციელოთ 1990-2009 წწ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა მუდმივ ფასებში გადაყვანა. ამასთან ერთად, შესაძარისი დინამიკური მწკრივების მიღების შემდეგ ეროვნული შემოსავლის დინამიკა გაგაანალიზეთ და შესაბამისი დასკვნები ჩამოვაყალიბეთ.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის შესასწავლად აუცილებელია მაჩვენებლები ურთიერთშესაძარისი იყოს წლების მიხედვით. შესაძარისობას ართულებს სხვადასხვა ობიექტური მიზეზი, რომელთაგან უმთავრესია:

- ა) გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილება;
- ბ) ფასების დონის ცვლილება;
- გ) ფულადი ერთეულის ცვლილება;
- დ) ქვეყნის ტერიტორიის ცვლილება.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის ზუსტი განსაზღვრისათვის პირველ რიგში ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებაა საჭირო.

1990 წლიდან საქართველოში ეროვნული შემოსავალი განსხვავებული მეთოდოლოგიით იანგარიშება, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის დინამიკის მწკრივებიც 1990 წლიდან გვაქვს. სტატისტიკის თეორიაში გამოიყენება დინამიკური მწკრივის მიჯრის სახელწოდებით ცნობილი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მაჩვენებლების ახალი მეთოდოლოგიით გადაანგარიშება. აღნიშნული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იმ წლისათვის, როდესაც დაიწყო ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშება, მაჩვენებელს ანგარიშობენ პარალელურად ძველი მეთოდოლოგიითაც. შემდეგ ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებელს აფარდებენ ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებელს და ვღებულობთ კოეფიციენტს. ამ კოეფიციენტზე გამრავლებთ ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებელს და შედეგად ვღებულობთ შესადარის მწკრივებს, სადაც უკვე მეთოდოლოგიური განსხვავება აღმოფხვრილია.

1990 წლისათვის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულმა საქართველოს ეროვნულმა შემოსავალმა 14 965.1 მლნ მან. შეადგინა, ხოლო ძველი მეთოდოლოგიით – 10 865.7 მლნ. მან. გადამყვანი კოეფიციენტი ტოლია: $14\ 965.1/10\ 865=1.38$. აღნიშნულ კოეფიციენტზე გაგამრავლეთ ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები 1956 წლიდან დაწყებული 1989 წლის ჩათვლით და მივიღეთ შესადარისი დინამიკური მწკრივები 1956-2009 წლებისათვის. შესაბამისი დინამიკა მოცემულია 2.5 ცხრილში.

ცხრილი 2.5 საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკა

1956-2009 წლებში

(მიმდინარე ფასებში, 1956-1988 წწ. მლნ. საბჭოთა მანეთი,
1989-1993 წწ. მლნ. რუსული რუბლი, 1994-1995 წწ. მლრდ. კუპონი,
1996 წლიდან მლნ. ლარი)

	ეროვნული შემოსავალი შესაბამისი წლის მეთოდოლოგიით	ეროვნული შემოსავალი ახალი მეთოდოლოგიით
1956	1 972.8	2 717.1
1957	2 006.7	2 763.8
1958	2 124.0	2 925.3
1959	2 120.1	2 920.0
1960	2 132.2	2 936.6
1961	2 234.6	3 077.7
1962	2 474.4	3 407.9
1963	2 440.4	3 361.1
1964	2 614.5	3 600.9
1965	2 875.0	3 959.7
1966	3 022.1	4 162.3
1967	3 251.0	4 477.5
1968	3 374.2	4 647.2
1969	3 683.8	5 073.6
1970	4 099.2	5 645.7
1971	4 309.9	5 935.9
1972	4 279.8	5 894.5
1973	4 538.3	6 250.5
1974	5 030.8	6 928.8
1975	5 375.1	7 403.0
1976	5 744.0	7 911.1
1977	6 256.4	8 616.8
1978	6 802.9	9 369.5
1979	7 626.7	10 504.1
1980	8 051.5	11 089.2
1981	8 948.4	12 324.4

	ეროვნული შემოსავალი შესაბამისი წლის მეთოდოლოგიით	ეროვნული შემოსავალი ახალი მეთოდოლოგიით
1982	9 457.8	13 026.0
1983	9 509.9	13 097.8
1984	10 233.6	14 094.5
1985	10 090.3	13 897.2
1986	9 572.5	13 184.0
1987	9 689.8	13 345.6
1988	9 899.5	13 634.4
1989	9 989.3	13 758.1
1990	10 865.7	14 965.1
1991	19 146.4	19 146.4
1992	126 955.2	126 955.2
1993	26 871.5	26 871.5
1994	1 797 121.0	1 797 121.0
1995	3 617 191.0	3 617 191.0
1996	3 779.6	3 779.6
1997	4 720.3	4 720.3
1998	5 288.5	5 288.5
1999	5 962.8	5 962.8
2000	6 274.9	6 274.9
2001	6 741.3	6 741.3
2002	7 529.2	7 529.2
2003	8 631.3	8 631.3
2004	10 004.9	10 004.9
2005	11 791.7	11 791.7
2006	14 102.5	14 102.5
2007	17 060.5	17 060.5
2008	18 818.0	18 818.0
2009*	17 682.8	17 682.8

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული მეთოდი მოკლებულია მეცნიერულ სიღრმეებს და უფრო გაანგარიშებითი ხასიათისაა. საქართველოს პრაქტიკაში არსებული პრობლემა ძველი და ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებელთა ურთიერთშესადარისობის თვალსაზრისით მოითხოვს სერიოზულ სამუშაოებს, რისთვისაც საჭიროა, როგორც რამდენიმე მაღალკვალიფიციური თანამშრომლის ერთობლივი ძალისხმევა, ასევე შესაბამისი ინფორმაციული რესურსები. მასალათა უმრავლესი ნაწილის მოძიება უკვე არქივში იქნება საჭირო.

როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული შემოსავლის დინამიკის ანალიზისთვის აუცილებელია მისი მუდმივ ფასებში გადაყვანა, რათა გამოირიცხოს ფასების ცვლილების გავლენა და რეალური სურათი მივიღოთ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე.

ეროვნული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადაანგარიშება საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში დღეისათვის არ ხდება. ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად განგვეხორციელებინა აღნიშნული ამოცანა. თავდაპირველად მოვახდინეთ მთლიანი შიდა პროდუქტის მუდმივ ფასებში გადაანგარიშება. შემდეგ საზგვარგარეთიდან მიღებული/გადახდილი პირველადი შემოსავლების დეფლირება განვახორციელეთ, რისთვისაც გამოვიყენეთ მშპ-ს დეფლატორი. მუდმივ ფასებში გადაანგარიშებული მშპ-სა და პირველადი შემოსავლების სალდოს მაჩვენებელთა შეჯამებით მივიღეთ ეროვნული შემოსავალი მუდმივ ფასებში. გადაანგარიშება მოვახდინეთ 1990 წლის, 1996 წლის, 2000 და 2003 წლის მუდმივ ფასებში ცალცალკე. თითოეულ საბაზისო წელს აქვს თავისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საერთაშორისო თვალსაზრისით. კერძოდ, 1990 წელი იყო ეკონომიკური ციკლის დაღმავლობის ფაზა, 1996 წლიდან დაიწყო აღმავლობა ეკონომიკაში, 2000 წელი საერთაშორისო შესადარისობისთვის და 2003 წელი ვარდების რევოლუციის წელი.

მუდმივ ფასებში გადაანგარიშებული 1990-2009 წლების მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები ნაჩვენებია 2.6 ცხრილში.

ცხრილი 2.6 საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1990-2009 წლებში

	მთლიანი ეროვნული შემოსავალი მუდმივ 1990 წლის ფასებში, მლნ. რუსული რუბლი	მთლიანი ეროვნული შემოსავალი მუდმივ 1996 წლის ფასებში, მლნ. არი	მთლიანი ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2000 წლის ფასებში, მლნ. ლარი	მთლიანი ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი
1990	14 965.1	12 026.3	15 737.4	18 166.9
1991	11 875.6	9 543.5	12 488.5	14 416.4
1992	6 007.4	4 827.7	6 317.5	7 292.7
1993	4 507.1	3 622.0	4 739.7	5 471.4
1994	4 195.2	3 371.4	4 411.7	5 092.8
1995	4 236.3	3 404.3	4 454.9	5 142.6
1996	4 703.2	3 779.6	4 945.9	5 709.4
1997	5 513.3	4 430.6	5 797.9	6 692.9
1998	5 776.3	4 642.0	6 074.4	7 012.2
1999	5 935.5	4 769.9	6 241.8	7 205.3
2000	5 967.0	4 795.2	6 274.9	7 243.6
2001	6 083.4	4 888.7	6 397.3	7 384.9
2002	6 414.6	5 154.9	6 745.7	7 787.0
2003	7 110.1	5 713.8	7 477.0	8 631.3
2004	7 605.4	6 111.8	7 997.9	9 232.5
2005	8 304.8	6 673.9	8 733.4	10 081.6
2006	9 155.5	7 357.5	9 628.0	11 114.3
2007	10 096.6	8 113.8	10 617.7	12 256.8
2008	10 151.3	8 157.8	10 675.2	12 323.2
2009*	9 738.3	7 825.9	10 240.9	11 821.8

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს

მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული 1990-2009 წწ. წლიური ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლების მუდმივ ფასებში გადაანგარიშება ნაჩვენებია

დანართის 6-11 ცხრილებში. მე-6 ცხრილში მოცემულია ეროვნული შემოსავალი მიმდინარე ფასებში, მე-7 ცხრილში – მშპ-ს რეალური ზრდები და დეფლატორი, მე-8 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 1990 წლის ფასებში, მე-9 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 1996 წლის ფასებში, მე-10 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2000 წლის ფასებში, მე-11 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში.

1996-2010 წწ. მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული კვარტალური ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლების მუდმივ 1996, 2000 და 2003 წლების ფასებში გადაანგარიშება კი ნაჩვენებია დანართის 12-16 ცხრილებში. მე-12 ცხრილში მოცემულია ეროვნული შემოსავალი მიმდინარე ფასებში, მე-13 ცხრილში – მშპ-ს რეალური ზრდები და დეფლატორი, მე-14 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 1996 წლის ფასებში, მე-15 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2000 წლის ფასებში, მე-16 ცხრილში – ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში.

ეროვნული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია შემდეგში მდგომარეობს: პირველ ეტაპზე ხდება მთლიანი შიდა პროდუქტიდან მთლიანი შიდა შემოსავლის გაანგარიშება, ხოლო შემდეგ ეტაპზე ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება:

- მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში
- + სავაჭრო მოგება ან ზარალი საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილების გამო
- = მთლიანი შიდა შემოსავალი მუდმივ ფასებში
- + პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან მუდმივ ფასებში
- პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსთვის მუდმივ ფასებში
- = **მთლიანი ეროვნული შემოსავალი მუდმივ ფასებში**

სავაჭრო მოგება ან ზარალი საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილების გამო გაიანგარიშება შემდეგი სახით:

$$T = \frac{X - M}{P} - \left[\frac{X}{Px} - \frac{M}{Pm} \right]$$

სადაც, X – ექსპორტია მიმდინარე ფასებში,
M - იმპორტი მიმდინარე ფასებში,

Px - ექსპორტის ფასების ინდექსი,

Pm - იმპორტის ფასების ინდექსი,

P - იმპორტისა და ექსპორტის ფასების ინდექსის საშუალო ფასების ინდექსი.

საზღვარგარეთიდან მიღებული/გადახდილი პირველადი შემოსავლების მუდმივ ფასებში გადაანგარიშება კი ხდება მთლიანი შიდა დანახარჯების (შინამეურნეობების, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების, მთლიანი კაპიტალის ფორმირების, მარაგების ცვლილების, ფასეულობების წმინდა შეძენის) დეფლატორის გამოყენებით.

აღნიშნული მეთოდი დღეისათვის საქართველოში არ გამოიყენება, იმდენად, რამდენადაც არ ხდება მშპ-ს დანახარჯების მეთოდით დეფლირება და შესაბამისი დანახარჯების კომპონენტების ფასების ინდექსებიც არ გაგვანია. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შესაბამის შრომით და ფინანსურ რესურსებს. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში საკითხი დადებითად გადაწყდება.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის ანალიზი დინამიკის შემადგენელი კომპონენტების ანალიზით განვახორციელებთ. ძირითადი კომპონენტებია:

1. ტრენდის კომპონენტი,
2. სეზონური კომპონენტი,
3. ციკლური კომპონენტი,
4. შემთხვევითი კომპონენტი.

ტრენდის კომპონენტი ესაა ძირითადი კომპონენტი, რომელიც ახასიათებს დინამიკის მწკრივის განვითარების ტენდენციას დროში.

სეზონური კომპონენტი ყოველწლიურად განმეორებადი დინამიკის მწკრივის შიდაწლიური კომპონენტია, რომელიც განპირობებულია: ფაქტორების შინაგანი თვისებებით, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო საქმიანობით, კულტურული ტრადიციებით (ოფიციალური დასვენების დღეები, ფიქსირებული დასვენების დღეები როგორცაა შობა და ა.შ.), ასევე სისტემატური კალენდარული ეფექტებით, რომელთაც არ აქვთ წლიური სტაბილურობა (სამუშაო დღეების გავლენა კვარტალში, ნაკიანი წელიწადი, გარდამავალი თარიღის მქონე არდადეგები, როგორცაა აღდგომა და ა.შ.).

ციკლური კომპონენტი ესაა პერიოდულად განმეორებადი დინამიკის მწკრივის რხევები, სადაც დროის პერიოდი ხანგრძლივია (50, 60 100 და ა.შ. წელი).

შემთხვევითი კომპონენტი აერთიანებს ყველა შემთხვევით ფაქტორს, როგორცაა კლიმატური პირობები, ბუნებრივი კატაკლიზმები, არარეგულარული გაყიდვები და ა.შ.

ეროვნული შემოსავლის დინამიკური მწკრივი ადიტიური და მულტიპლიკატიური მოდელებით გამოისახება.

ადიტიურ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$Y_t = T_t + S_t + C_t + I_t$$

მულტიპლიკატიური მოდელი კი ასე გამოისახება:

$$Y_t = T_t * S_t * C_t * I_t$$

სადაც,

T_t – ტრენდის კომპონენტი,

S_t - სეზონური კომპონენტი,

C_t – ციკლური კომპონენტი,

I_t - შემთხვევითი კომპონენტი.

ჩვენ განვიხილავთ ეროვნული შემოსავლის ტრენდის, სეზონურ და შემთხვევით კომპონენტებს. რაც შეეხება ციკლურ კომპონენტს, მისი დაწვრილებითი განხილვა ამ ეტაპზე არაა შესაძლებელი, იმდენად რამდენადაც გრძელვადიან დინამიკაში ურთიერთშესადარისი მწკრივები არ გაგვაჩნია.

2.3 ეროვნული შემოსავლის ტრენდის გამოვლენის ხერხები და ექსტრაპოლაცია

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი წლების განმავლობაში ცვალებადია. ზოგჯერ ზრდას ცვლის კლება და პირიქით. მოვლენათა დინამიკაში განხილვისას კი აუცილებელია სწორი წარმოდგენა გვექონდეს მათი განვითარების ტენდენციაზე (ზრდადია, კლებადა თუ ტენდენცია საერთოდ არ გვაქვს). ეროვნული შემოსავლის განვითარების ტენდენციის გამოვლენისათვის დინამიკაში საჭიროა ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით მაჩვენებელთა მოსწორება ანუ მწკრივში ე.წ. “ნახტომების” ზრდიდან კლებაში და კლებიდან ზრდაში გადასვლების ლიკვიდაცია და განვითარების საერთო სურათის გამოვლენა. სწორედ ამ მიზნისთვის ვიყენებთ მოსწორების სხვადასხვა ხერხს, როგორცაა, მოსწორება სრიალა საშუალოს, საშუალო აბსოლუტური მატების, აგრეთვე საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპების და ანალიზური მოსწორების გამოყენებით. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული მათგანის განხილვას დაწვრილებით. შევჩერდებით მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ანალიზურ მოსწორებაზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეროვნული შემოსავლის დინამიკის მწკრივის მოსწორებისთვის.

ტექნიკურად მოსწორება მდგომარეობს ფაქტობრივი დონეების შეცვლაში ნარნარად ცვალებადი ისეთი დონეებით, რომლებიც საშუალოდ ყველაზე ნაკლებად გადაიხრებოდა ფაქტობრივი დონიდან და ექნებოდა ტრენდის საერთო მიმართულებისა და ხასითის შესაბამისი განსაზღვრული ანალიზური გამოსახულება. მიუხედავად იმისა, რომ დინამიკის მწკრივის მოსწორება თავის თავში შეიცავს ზოგიერთ პირობითობასაც, მთელ რიგ შემთხვევებში იგი წარმოადგენს სასარგებლო ტექნიკურ ხერხს, რომელიც გვიადვილებს ძირითადი ტენდენციის გამოვლენას და მისი ხასიათის შესწავლას.

მოსწორების ანალიზური ხერხებიდან აღსანიშნავია მოსწორება წრფივი ფუნქციით, პარაბოლით, ჰიპერბოლით ან მაჩვენებლიანი ფუნქციით. თითოეული ფუნქცია ადეკვატურად უნდა ასახავდეს მოვლენის განვითარების სურათს. თუ დინამიკის მწკრივის დონეების ცვალებადობა არიტმეტიკული პროგრესიით ხორციელდება მაშინ ვიყენებთ წრფივ ფუნქციას, ხოლო თუ გეომეტრიული პროგრესიით – მაშინ რომელიმე დანარჩენ ფუნქციას გამოვიყენებთ.

ანალიზური მოსწორება წარმოებს შემდეგნაირად:

1. მოცემული მოვლენის განვითარების არსისა და თეორიული კანონების ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიყოფა მისი განვითარების

განსაზღვრული ეტაპი და დადგინდება მოვლენის დინამიკის ხასიათი ამ ეტაპის მანძილზე.

2. დინამიკის ხასიათისა და ზრდის სისწრაფის ამა ტუ იმ კანონზომიერების ვარაუდიდან გამომდინარე ხდება ანალიზური განტოლების ფორმის არჩევა, რომელსაც გრაფიკულად შეესაბამება განსაზღვრული ხაზი – წრფე, პარაბოლა, ჰიპერბოლა, მაჩვენებლიანი მრუდი და ა.შ. ეს განტოლება ანალიზურად გამოსახავს დონის ნელ-ნელა ცვლილების ნაგარაუდევ კანონზომიერებას დროში, ე.ი. გამოსახავს მწკრივის დონეს როგორც დროის ფუნქციას.

3. მრუდის შერჩევის შემდეგ გამოითვლება მისი პარამეტრები უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ეს ნიშნავს იმას, რომ დგება ამოცანა, მრუდების უსასრულო რიცხვიდან შერჩევის სახით ვიპოვოთ ის მრუდი, რომელიც დინამიკური მწკრივის ფაქტობრივი დონეების დროში მათი შესაბამისი მოსწორებული დონეებიდან გადახრების კვადრატების ჯამს გარდაქმნის მინიმუმად, ე.ი. დონეებად, რომლებიც მდებარეობენ საძიებელ მრუდზე.

4. ნაპოვნი მრუდის განტოლების საფუძველზე გაიანგარიშება მოსწორებული დონეები, რომლებიც შესაბამისი იქნება დროში დინამიკური მწკრივის ფაქტობრივ დონეებთან.

ახლა კი განვიხილოთ ეროვნული შემოსავლის დინამიკის მწკრივის მოსწორება 1996-2009 წწ. პირველ რიგში ფაქტობრივი მონაცემები უნდა გამოვსახოთ წერტილოვანი დიაგრამის სახით. ვღებულობთ უსწორმასწორო ხაზს, რომელიც უახლოვდება წრფივ განტოლებას $y = a_0 + a_1t$. ვიყენებთ უმცირეს კვადრატთა მეთოდს $\sum (y_t - \hat{y}_t)^2 = \min$ (ვპოულობთ ისეთ თეორიულ დონეებს (\hat{y}_t), რომელთა ემპირიული დონეებისგან გადახრების კვადრატების ჯამი იქნება მინიმალური). თუ \hat{y}_t -ის ნაცვლად ჩავსვამთ შესაბამის ფუნქციას ($\sum (y_t - a_0 - a_1t)^2 = \min$), ვიპოვით მიღებული გამოსახულების პირველი რიგის წარმოებულებს ცალ-ცალკე a_0 და a_1 პარამეტრების მიმართ, მივიღებთ ამ პარამეტრების გასაანგარიშებელ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum yt \end{cases}$$

იმისათვის, რომ ვიპოვოთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე მოსწორებული დონეები, უნდა ამოვხსნათ ზემოაღნიშნულ განტოლებათა სისტემა.

ჩვენს შემთხვევაში $a_0 = 4993.7$, ხოლო $a_1 = 519.9$. ამდენად, განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$y = 4993.7 + 519.9t$$

t-ს მაგიერ შესაბამის მნიშვნელობათა ჩასმით კი ვღებულობთ მოსწორებულ დონებს შესაბამისი წლების მიხედვით.

ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი და მოსწორებული დონეები 1996-2009 წწ. მოცემულია 2.7 ცხრილში.


ცხრილი 2.7 ეროვნული შემოსავალი 1996-2009 წწ.

	t	y _t	ŷ _t
	წლები	ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი დონეები, მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	ეროვნული შემოსავლის მოსწორებული დონეები, მლნ. ლარი
1996	1	5 709.4	5 513.6
1997	2	6 692.9	6 033.4
1998	3	7 012.2	6 553.3
1999	4	7 205.3	7 073.1
2000	5	7 243.6	7 593.0
2001	6	7 384.9	8 112.9
2002	7	7 787.0	8 632.7
2003	8	8 631.3	9 152.6
2004	9	9 232.5	9 672.4
2005	10	10 081.6	10 192.3
2006	11	11 114.3	10 712.1
2007	12	12 256.8	11 232.0
2008	13	12 323.2	11 751.8
2009	14	11 821.8	12 271.7

მოსწორების საფუძველზე გამოავლინეთ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტენდენცია 1996-2009 წლებში. ფაქტობრივი დონეების ანალიზისას მხოლოდ 2009 წელს დაფიქსირდა კლება, რაც განაპირობა 2008 წლის აგვისტოს საომარმა მოქმედებებმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის განვითარების ძირითადი ტენდენცია 1996-2009 წლებში ნათლად ჩანს 2.1 გრაფიკზე.

გრაფიკი 2.1. საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1996-2009 წწ. მლნ. ლარი



თუ სწორედია მოსწორებული, მაშინ ემპირიული მონაცემების ჯამი მცირედით უნდა განსხვავდებოდეს მოსწორებული დონეების ჯამისაგან. ჩვენს მაგალითზე $\Sigma y = 124\ 496.9$, $\Sigma \hat{y} = 124\ 496.9$, რაც მიუთითებს მოსწორების სიზუსტეზე.

1990-2009 წწ. ეროვნული შემოსავლის დინამიკის მწკრივის მოსწორებისას კი წრფივი განტოლება შემდეგი სახისაა:

$$y = 8\ 132.1 + 83.0t$$

t-ს მაგიერ შესაბამის მნიშვნელობათა ჩასმით კი ვღებულობთ მოსწორებულ დონეებს შესაბამისი წლების მიხედვით.

ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი და მოსწორებული დონეები 1990-2009 წწ. მოცემულია 2.8 ცხრილში.

ცხრილი 2.8 ეროვნული შემოსავალი 1990-2009 წწ.


	t	Y _t	ŷ _t
	წლები	ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი დონეები, მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	ეროვნული შემოსავლის მოსწორებული დონეები, მლნ. ლარი
1990	1	18 166.9	8 215.1
1991	2	14 416.4	8 298.1
1992	3	7 292.7	8 381.2
1993	4	5 471.4	8 464.2
1994	5	5 092.8	8 547.3
1995	6	5 142.6	8 630.3
1996	7	5 709.4	8 713.3
1997	8	6 692.9	8 796.4
1998	9	7 012.2	8 879.4
1999	10	7 205.3	8 962.5
2000	11	7 243.6	9 045.5
2001	12	7 384.9	9 128.5

	t	Y_t	Ŷ_t
	წლები	ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი დონეები, მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	ეროვნული შემოსავლის მოსწორებული დონეები, მლნ. ლარი
	2002	7 787.0	9 211.6
	2003	8 631.3	9 294.6
	2004	9 232.5	9 377.7
	2005	10 081.6	9 460.7
	2006	11 114.3	9 543.7
	2007	12 256.8	9 626.8
	2008	12 323.2	9 709.8
	2009	11 821.8	9 792.9

მოსწორების საფუძველზე გამოვავლინეთ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტენდენცია 1990-2009წწ. თუმცა ფაქტობრივი დონეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1990-იანი წლებიდან დაწყებული ეროვნული შემოსავლის კლებას 1995 წლიდან ცვლის ზრდა და ასევე 2009 წელს დაფიქსირდა კლება. ეს უკანასკნელი განაპირობა 2008 წლის აგვისტოს საომარმა მოქმედებებმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის განვითარების ძირითადი ტენდენცია 1990-2009 წლებში ნათლად ჩანს 2.2 გრაფიკზე.

გრაფიკი 2.2. საქართველოს ეროვნული შემოსავალი
1990-2009 წწ. მლნ.ლარი



◆ ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში
 ■ ეროვნული შემოსავლის მოსწორებული დონეები

ტრენდის გამოვლენის ანალიზური მოსწორების ფუნქცია გამოიყენება დინამიკური მწკრივის მაჩვენებელთა პროგნოზირებისთვის. აღნიშნული მეთოდი ცნობილია ექსტრაპოლაციის სახელწოდებით. ექსტრაპოლაცია ესაა დინამიკური მწკრივის საწყისი ან ბოლო უცნობი დონეების გაანგარიშება. ჩვენს შემთგანხილულ მაგალითზე, თუ ანალიზური მოსწორების $y = 8\ 132.1 + 83.0t$ განტოლებაში t -ს ნაცვლად ჩავსვამთ მწკრივის მომდევნო შესაბამისი წლების მაჩვენებლებს, მივიღებთ ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო სიდიდეებს.

2010 წლისათვის ($t = 21$) ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი შეადგენს ($y = 8\ 132.1 + 83.0 * 21$) 9875.9 მლნ. ლარს, 2011 წლისათვის ($t = 22$) – 9959.0 მლნ. ლარს ($y = 8\ 132.1 + 83.0 * 22$), 2012 წლისათვის ($t = 23$) – 10042.0 მლნ. ლარს ($y = 8\ 132.1 + 83.0 * 23$) და ა.შ.

2.4 ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა სეზონური შესწორებები და შემთხვევითი კომპონენტი

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა დინამიკის მწკრივის ერთ-ერთი კომპონენტი სეზონური კომპონენტი, რომლის გავლენის ზომის აღმოსაფხვრელად სეზონური შესწორების მეთოდი გამოიყენება. ეს უკანასკნელი დინამიკური მწკრივიდან სეზონური კომპონენტის გამორიცხვის პროცესია.

სეზონურ რხევებს სწავლობენ სეზონურობის ინდექსით, რომელიც გაიანგარიშება ერთსახელიანი თვეების ან კვარტალების ფაქტობრივი დონეების საშუალოს შეფარდებით მოსწორებული დონეების საშუალო მნიშვნელობასთან:

$$i_{სეზ} = \frac{y_{ფაქტ}}{y_{მოსწ}}$$

სადაც $i_{სეზ}$ სეზონურობის ინდექსია;

$y_{ფაქტ}$ – რამდენიმე წლის მიხედვით ერთსახელიანი თვეების ან კვარტალების ფაქტობრივი დონეების საშუალოა;

$y_{მოსწ}$ – იმავე ერთსახელიანი თვეების ან კვარტალების მოსწორებული დონეების საშუალოა;

სეზონური შესწორებები ხორციელდება მეთოდთა ორი ძირითადი ჯგუფის გამოყენებით. პირველი ჯგუფი ეფუძნება სრიალა საშუალოების მეთოდს, ხოლო მეორე – მოდელის მეთოდს. საქართველოს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა სეზონური შესწორებები მეორე ჯგუფის მეთოდების საფუძველზე განვახორციელეთ. ამ მიზნისათვის გამოვიყენეთ TRAMO-SEATS მეთოდი პროგრამა Demetra 2.0 საშუალებით. ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა ვიქტორ გომესისა და აგუსტინ მარვალის მიერ (<http://www.abs.gov.au/websitedbs/d3310114.nsf/51c9a3d36edfd0dfca256acb00118404/c890aa8e65957397ca256ce10018c9d8!opendocument>).

SEATS (Signal Extraction in Arima Time Series) მეთოდით ხდება დინამიკის მწკრივის ტრენდის, სეზონური და შემთხვევითი კომპონენტების შეფასება და პროგნოზირება. TRAMO (Time series Regression with Arima noise, Missing values and Outliers) კი არის თანმხლები მეთოდი რეგრესიის მოდელის შეფასებისა და პროგნოზირებისთვის, რომელიც გამოიყენება მწკრივის წინასწარი შესწორებისთვის, რომელიც შემდგომ სეზონურად შესწორდება.

2003-2010 წწ. საქართველოს ეროვნული შემოსავლის სეზონური შესწორება და შემთხვევითი კომპონენტი ნაჩვენებია 2.9 ცხრილში:


ცხრილი 2.9 საქართველოს ეროვნული შემოსავლის სეზონური და შემთხვევითი კომპონენტები, 2003-2010 წწ.

	ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი ღონეები, მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი Yt	სეზონური ფაქტორი/კომპონენტი St	არარეგულარული (შემთხვევითი) ფაქტორი/კომპონენტი It	ეროვნული შემოსავალი სეზონური შესწორებით Yt/St
2003 I კვ.	1814.9	0.877	0.997	2069.6
2003 II კვ.	2135.6	0.997	1.006	2141.5
2003 III კვ.	2278.4	1.052	0.996	2165.8
2003 IV კვ.	2402.3	1.079	1.002	2226.3
2004 I კვ.	1938.2	0.855	1.001	2267.0
2004 II კვ.	2292.3	0.997	1.003	2298.7
2004 III კვ.	2420.7	1.052	0.990	2300.9
2004 IV კვ.	2579.6	1.079	1.006	2390.7
2005 I კვ.	2123.4	0.877	0.993	2421.3
2005 II კვ.	2516.3	0.997	1.006	2523.7
2005 III კვ.	2699.2	1.052	1.007	2565.2
2005 IV კვ.	2743.3	1.082	0.986	2535.4
2006 I კვ.	2315.0	0.875	1.003	2647.0
2006 II კვ.	2715.2	0.997	0.997	2723.7
2006 III კვ.	2991.8	1.055	1.008	2835.2
2006 IV კვ.	3092.1	1.082	0.993	2857.3
2007 I კვ.	2584.6	0.875	1.008	2955.1
2007 II კვ.	2951.8	0.997	0.982	2961.7
2007 III კვ.	3366.6	1.055	1.025	3190.6
2007 IV კვ.	3356.7	1.079	0.994	3109.7
2008 I კვ.	2657.4	0.855	0.998	3107.8
2008 II კვ.	3119.1	0.997	1.012	3129.9
2008 III კვ.	3159.9	1.052	0.978	3003.7
2008 IV კვ.	3397.9	1.080	1.024	3147.2
2009 I კვ.*	2623.8	0.877	0.992	2991.0
2009 II კვ.*	2919.6	0.997	0.995	2929.8


	ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი დონეები, მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი Yt	სეზონური ფაქტორი/კომპონენტი St	არარეგულარული (შემთხვევითი) ფაქტორი/კომპონენტი It	ეროვნული შემოსავალი სეზონური შესწორებით Yt/St
2009 III კვ.*	3082.5	1.052	0.996	2930.7
2009 IV კვ.*	3211.9	1.080	0.994	2974.9
2010 I კვ.*	2709.6	0.877	1.008	3088.5

ეროვნული შემოსავლის სეზონური და შემთხვევითი კომპონენტები ნაჩვენებია 2.3 და 2.4 გრაფიკებზე.

გრაფიკი 2.3 ეროვნული შემოსავლის სეზონური კომპონენტი




გრაფიკი 2.4 ეროვნული შემოსავლის შემთხვევითი კომპონენტი



სეზონური ფაქტორის გავლენის გამორიცხვით სწორი წარმოდგენა გვექმნება მოვლენის განვითარების ტენდენციაზე დინამიკაში. სეზონურად შესწორებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები 2003-2010 წლებში ნაჩვენებია 2.5 გრაფიკზე.

გრაფიკი 2.5 ეროვნული შემოსავლის სეზონური შესწორებები



**თავი III ეროვნული შემოსავლის საერთაშორისო შედარებანი და
ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა
კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი**

**3.1 ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის
საკითხები**

საერთაშორისო სტატისტიკური შედარებანი დიდი ხანია იქცევენ საზოგადოების და სპეციალისტთა ყურადღებას. საერთაშორისო შედარებებით წარმოდგენა გვექმნება იმ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებზე, რაც მიმდინარეობს მსოფლიოსა და მის ცალკეულ ნაწილებში. მისი საშუალებით გამოვლინდება ეკონომიკური განვითარების დონეები, ასევე სოციალური მდგომარეობის ამსახველი სიტუაცია. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ინგლისელმა უ. პეტიმ საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენა რაოდენობრივ მაჩვენებელთა შედარებანი. ასევე წარმატებით იყენებდა შედარების მეთოდს შუა საუკუნეების გერმანელი სტატისტიკოსი და გეოგრაფი ა. ბიუშინგი. რუსეთში მას განიხილავდა მე-18 საუკუნის სტატისტიკოსი მ. შჩერბაკოვი, ხოლო მე-19 საუკუნეში იყენებდნენ გამოჩენილი მეცნიერ-სტატისტიკოსები დ. ჟურავსკი და ი. იანსონი. საერთაშორისო სტატისტიკურ შედარებათა ნამდვილ ფუძემდებლად და პრაქტიკაში მისი გამოყენების ორგანიზატორად კი ბელგიელი ადოლფ კეტლე (1796-1887) გვევლინება.

თავდაპირველად სტატისტიკური შედარებები ხდებოდა ძირითადად ორი ქვეყნის მაჩვენებელთა შორის. ხოლო შემდგომში, უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ეს შედარებები გახდა მრავალმხრივი და შეეხო ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ისეთ აგრეგირებულ მაჩვენებლებს, როგორცაა მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და ა. შ.

დღეისათვის საერთაშორისო შედარებებს ახდენენ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ა. შ. მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულად

დასაბუთებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საერთაშორისო სტატისტიკური შედარებებისთვის საწყის ინფორმაციად ითვლება ეროვნული სტატისტიკის მონაცემები. ეროვნული სტატისტიკური მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის მდგომარეობამდე მიყვანა თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრასაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება საკამათო საკითხები.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის საკითხი მნიშვნელოვანი იყო და არის თანამედროვე ეტაპზე. ამ პროცესს ართულებს რამოდენიმე ფაქტორი, როგორცაა

1. მაჩვენებელთა გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდოლოგიის განსხვავება სხვადასხვა ქვეყანაში მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას შეთავაზებული აქვს ერთიანი საერთაშორისო მეთოდოლოგია,
2. სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუციურ დაწესებულებათა განსხვავება,
3. სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული ვალუტა და ფასების დონე აქვს.

ამ სირთულეების მიუხედავად შემუშავებულია მაჩვენებელთა შესადარისობის რამოდენიმე მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის მეთოდებიდან აღსანიშნავია:

1. რეალური ზრდების შედარება,
2. ხვედრითი წილების შედარება (მაგალითად, დანაზოგის წილი მთლიან განკარგვად შემოსავალში),
3. მაჩვენებლის დონეების შედარება (მეშ ერთ სულზე),
4. სივრცობრივი მოცულობის/ფასების მეთოდი: ვალუტის მსყიდველუნარიანობის პარიტეტი (PPP),
5. მაჩვენებელთა აბსოლუტური მნიშვნელობების შედარება.

საერთაშორისო შესადარისობის ყველაზე სერიოზული და ფართოდ აღიარებული მეთოდი XX საუკუნის 50-იან წლებში დაამუშავა ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა მ. ჯილბრეისის და ი. კრევისის ხელმძღვანელობით. მომდევნო წლებში იგი სრულყოფილ იქნა ე. კენესის, ა. ჰესტონის და რ. სამერსის მონაწილეობით.

შემთავაზებული მეთოდის არსი მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთიანი ვალუტით (საერთაშორისო დოლარებით)

გაზომვაში. ამ ფულადი ერთეულის ყიდვითუნარიანობა განისაზღვრება აშშ-ში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაპირისპირებით სხვა ქვეყნებში წარმოებული ანალოგიური პროდუქტის და მომსახურების ფასებთან. აღნიშნული მეთოდი ცნობილია ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის სახელწოდებით, რომელიც წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებელთა ურთიერთშედარებისას. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები (მუპ) “ესაა კოეფიციენტები, რომლებიც გამოსახავენ თანაფარდობას ქვეყნების ფასებს შორის. როგორც წესი, მუპ საანგარიშო, სტატისტიკური კატეგორიაა. ის არ გამოიყენება ვალუტის გაცვლისათვის, არ გვევლინება რეალური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად(ოფიციალური საგალუტო კურსისგან განსხვავებით), არამედ წარმოადგენს მშპ-ს (მეშ-ს) საერთაშორისო შედარებათა უზრუნველყოფის ტექნიკურ ინსტრუმენტს”¹.

საერთაშორისო შესადარისობისას აღნიშნულ მეთოდთან ერთად გამოიყენება მსოფლიო ბანკის ატლასის მეთოდი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ქვეყნების ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მაჩვენებლები გადაიყვანება მიმდინარე აშშ დოლარებში გაცვლითი კურსების სამწლიანი სრიალა საშუალოს მეშვეობით (გაცვლითი კურსების მოკლევადიანი რხევების აღმოსაფხვრელად). მსოფლიო ბანკი აღნიშნულ მეთოდს იყენებს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის შედარებისთვის და ასევე ქვეყნების კლასიფიცირებისთვის დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებად.

ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გამოსახული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი არის საერთაშორისო დოლარებში გადაყვანილი მაჩვენებელი. საერთაშორისო დოლარს აქვს იგივე მსყიდველობითი უნარი, რაც აშშ დოლარს ამერიკაში. მსოფლიო ბანკი აღნიშნულ მეთოდს იყენებს სიდარებისა და კეთილდღეობის უფრო ზუსტი გაზომვისთვის. ფაქტიურად ის ცვლის ადგილობრივ ფასებს გლობალური (საერთო) ფასებით, რის შედეგადაც უფრო ზუსტად გამოისახება საქონლისა და მომსახურების ფასები.

საერთაშორისო შედარებებისთვის იგივე ფასების და მოცულობის ინდექსები გამოიყენება, რაც ქვეყნის შიგნით დინამიკის ანალიზის დროს. საერთაშორისო

¹ მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, თეორია, პრაქტიკა, ანალიზი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2008, გვ. 309.

მოცულობის ინდექსები გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის წარმოების დონის, შემოსავლების და ცხოვრების დონის შედარებისთვის, ფასების ინდექსები კი – სხვადასხვა ქვეყნის ფასების შედარებისთვის და ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განსაზღვრისათვის. ორმხრივი (ორი ქვეყნის მაჩვენებელთა) შედარებისთვის ლასპეირესის მოცულობის ინდექსი B ქვეყნისთვის A ქვეყნის საფუძველზე, გამოისახება შემდეგი სახით:

$$aLb = \frac{\sum Va * Qb / Qa}{\sum Va} = \frac{\sum PaQb}{\sum PaQa}$$

ხოლო პააშეს მოცულობის ინდექსი B ქვეყნისთვის A ქვეყნის საფუძველზე, გამოისახება შემდეგი სახით:

$$aPb = \frac{\sum Vb}{\sum Vb * Qa / Qb} = \frac{\sum PbQb}{\sum PbQa}$$

ლასპეირესისა და პააშეს ფასებისა და მოცულობის ინდექსების ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, ლასპეირესის მოცულობის ინდექსები B ქვეყნისთვის A ქვეყნის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს არაპირდაპირი მეთოდით B და A ქვეყნებში საკუთარ ვალუტაში გამოსახული მაჩვენებლების თანაფარდობის დეფლირებით პააშეს ფასების ინდექსით B ქვეყნისთვის A ქვეყნის საფუძველზე. პააშეს ფასების ინდექსი შემდეგი სახით გამოისახება:

$$aPb = \frac{\sum Vb}{\sum Vb * Pa / Pb} = \frac{\sum PbQb}{\sum PaQb}$$

სადაც Pa და Pb არის ერთი და იგივე პროდუქტის ფასი ორ სხვადასხვა A და B ქვეყანაში.

Qa და Qb – ერთი და იგივე პროდუქტის ფიზიკური მოცულობა (რაოდენობა) ორ სხვადასხვა A და B ქვეყანაში.

Va და Vb (Va= PaQa; Vb= PbQb) – ერთი და იგივე პროდუქტის ღირებულება ორ სხვადასხვა A და B ქვეყანაში.

ფასების ინდივიდუალური ინდექსი Pa/Pb გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის A ქვეყნის ვალუტაა საჭირო A ქვეყანაში იგივე საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომლითაც შესაძლებელია 1 ერთეული B ქვეყნის ვალუტით შესაძენად B ქვეყანაში. ეს ინდივიდუალური ინდექსი გვიჩვენებს ორი სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს კონკრეტული საქონლისა და მომსახურების მიხედვით. ამიტომ, პააშეს (ან ლასპეირესის) საშუალო შეწონილი ჰარმონიული ფასების ინდექსი უკეთესად გვიხასიათებს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს, ვიდრე ფასების ინდივიდუალური ინდექსი.

პრაქტიკაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის ინდექსები ძირითადად გამოიყენება ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მოცულობების დეფლირებისთვის საერთაშორისო მოცულობის ინდექსების მისაღებად.

ლასპეირესისა და პააშეს ინდექსებით ვღებულობთ ორ სხვადასხვა სიდიდეს, რომელთაგან ერთი მათგანი მიიღება, როდესაც წონებად ვიყენებთ A ქვეყნის მონაცემებს, ხოლო მეორე სიდიდის მისაღებად წონებად B ქვეყნის მონაცემები გამოყენებული. პრაქტიკული მიზნებისთვის მოუხერხებელია გაანგარიშების ორი შედეგი. ამიტომ ინდექსის ცალსახა მნიშვნელობის მისარებად გამოიყენება ფიშერის იდეალური ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ლასპეირესისა და პააშეს ინდექსების საშუალო გეომეტრიულს.

მრავალმხრივი (ქვეყანათა ჯგუფის) შედარებებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1. ჯგუფური მეთოდი,
2. ორმხრივი მეთოდი.

ჯგუფური მეთოდი უპირატესობას ანიჭებს ქვეყანათა ჯგუფის, როგორც მთლიანის, ეკონომიკურ მახასიათებლებს. ამ მეთოდის მიხედვით ჯგუფში შემავალი თითოეული ქვეყნის მაჩვენებლის მოცულობის შეფასება ხდება ქვეყანათა ჯგუფის საშუალო ფასებით. ეს უკანსკნელი განისაზღვრება ცალკეული საქონლისა და მომსახურებისთვის როგორც საერთო ვალუტით გამოსახული მისი მთლიანი ღირებულების შეფარდებით მის მთლიან მოცულობასთან. საერთო ვალუტა შესაძლოა იყოს ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ან გაცვლითი კურსი.

ორმხრივი მეთოდის მიხედვით კი ხდება ქვეყანათა ჯგუფში შემავალი ქვეყნების ორმხრივი შედარებები ცალცალკე. ეფუძნება ინდექსების ტრანზიტიულობის პრინციპს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

$$iI_j * jI_k = iI_k$$

ესე იგი, k ქვეყნის ინდექსი i ქვეყანასთან შედარებით ესაა არაპირდაპირი ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება j ქვეყნის i ქვეყანასთან შედარებით პირდაპირი (ორმხრივი) ინდექსისა და k ქვეყნის j ქვეყანასთან შედარებით პირდაპირი (ორმხრივი) ინდექსის ნამრავლის სახით. არაპირდაპირი მოცულობის ინდექსი k და i ქვეყნებს შორის j ქვეყნის მეშვეობით არის ჯაჭვური ინდექსი, რომელიც იყენებს j ქვეყანას დამაკავშირებელ ქვეყანად.

ორმხრივი მეთოდი იყენებს ეგრეთ წოდებულ ეკმ-ს (EKS მეცნიერების გვარების მიხედვით: Eltetes (უნგრელი სტატისტიკოსი ო. ელტეტე), kovacs (უნგრელი სტატისტიკოსი პ. კევეში), Sculz (პოლონელი სტატისტიკოსი ბ. შულცი), რომელთაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს ეს ფორმულა) ფორმულას. i და k ქვეყნებს შორის EKS ინდექსი ამ ქვეყნებს შორის პირდაპირი ინდექსისა და მათთან დაკავშირებული ყველა შესაძლო არაპირდაპირი ინდექსის საშუალო გეომეტრიულია.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება გირი-კამისის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ ის საშუალებას გვაძლევს წრფივი განთოლების სისტემის ამოხსნის საფუძველზე ერთდროულად განისაზღვროს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (R_j) და საშუალო საერთაშორისო ფასები (\bar{P}_i). გირი-კამისის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$\bar{P}_i = \sum_{j=1}^m \frac{P_{ij}}{R_j} \left[\frac{q_{ij}}{\sum_{j=1}^m q_{ij}} \right] i = 1...n$$

$$R_j = \frac{\sum_{i=1}^n P_{ij} q_{ij}}{\sum_{i=1}^n P_i q_{ij}} j = 1...m$$

სადაც \bar{P}_i არის i-ური საქონლის საშუალო საერთაშორისო ფასი,

P_{ij} – i-ური საქონლის ფასი j ქვეყანაში,

q_{ij} – i-ური საქონლის რაოდენობა j ქვეყანაში,

n – საქონლის რიცხვი,

m – ქვეყნების რიცხვი.

მრავალმხრივი შედარებები ერთ-ერთი მეთოდია ასევე უოლშის მეთოდი:

$$\overline{I_{A/B}} = \prod_{i=1}^n R_{iA/B}^{M_i}$$

სადაც $R_{iA/B}$ არის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ცალკეული i სასაქონლო ჯგუფისათვის,

M_i – i სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი მაკროაგრეგატში (მშპ ან მეშ).

საერთაშორისო მრავალმხრივი შედარებების მეთოდია ასევე ჟირარდის მეთოდი, რომელიც ეფუძნება საშუალო საერთაშორისო ფასების გამოყენებას (ისინი გაიანგარიშება საშუალო ეროვნული ფასებიდან მარტივი საშუალო გეომეტრიულის ფორმულით).

მრავალმხრივი შედარებების ერთ-ერთი მეთოდია ასევე ცენტრალური ქვეყნის მეთოდი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ყველა ქვეყნის მეშ-ს მაჩვენებლები შეუდარდება ერთი ქვეყნის მეშ-ს, რომელიც მირებულია საბაზისოდ ანუ ცენტრალურად. ამ შემთხვევაში ნებისმიერი წყვილი ქვეყნის ინდექსები (მხოლოდ იმ წყვილი ქვეყნების გამოკლებით, რომლიდანაც ერთ-ერთი ქვეყანა არ გვევლინება ცენტრალურ ქვეყანად), გაიანგარიშება არაპირდაპირი გზით ამ ქვეყნების მაჩვენებლების ინდექსების ცენტრალური ქვეყნის მაჩვენებლებთან შეპირისპირების დახმარებით.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებისთვის გამოვიყენეთ მსოფლიო ბანკის მონაცემები. მსოფლიოს 196 ქვეყნის შესახებ ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლების დინამიკა 1960 წლიდანაა ხელმისაწვდომი. გამონაკლისს წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნები, რომელთა დინამიკა 1990-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული 179 ქვეყნის შესახებ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა კი 1980 წლიდანაა ხელმისაწვდომი.

მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები მიმდინარე აშშ დოლარებში ატლასის მეთოდით 2000-2008 წწ.

ნაჩვენებია დანართის მე-17 ცხრილში, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე აშშ დოლარებში 2000-2008 წწ – დანართის მე-18 ცხრილში. მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლით მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის წლების მანძილზე ლიდერობს ლიხტენშტეინი. 1990 წელს აღნიშნული ქვეყნის მიხედვით აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 42690 აშშ დოლარი, 1992 წელს – 51520 აშშ დოლარი, 2000 წელს – 79640 აშშ დოლარი, 2005 წელს – 92 720 აშშ დოლარი, 2008 წელს კი – 97990 აშშ. დოლარი (2008 წლისათვის რანჟირება მიახლოებითაა მაჩვენებლის ხელმიუწვდომლობის გამო). ლიხტენშტეინის შემდეგ წლების მანძილზე მეორე და მესამე ადგილს ინაწილებდნენ შვეიცარია და ლუქსემბურგი. თუ მოვახდენთ ქვეყნების რანჟირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით ერთ სულზე, პირველი, მეორე და მესამე ადგილების განაწილება ქვეყნების მიხედვით ასეთია: 1992 წელს – 1. ლიხტენშტეინი (51520 აშშ დოლარი), 2. შვეიცარია (36260 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (35090 აშშ დოლარი). 2000 წელს – 1. ლიხტენშტეინი (79640 აშშ დოლარი), 2. ლუქსემბურგი (43650 აშშ დოლარი), 3. ნორმანდიის კუნძულები (43010 აშშ დოლარი). 2003 წელს – 1. ლიხტენშტეინი (68790 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (44030 აშშ დოლარი), 3. ნორმანდიის კუნძულები (43950 აშშ დოლარი). 2005 წელს – 1. ლიხტენშტეინი (92720 აშშ დოლარი), 2. ლუქსემბურგი (69220 აშშ დოლარი), 3. ნორვეგია (62310 აშშ დოლარი). 2008 წელს – 1. ლიხტენშტეინი (97990 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (87340 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (69390 აშშ დოლარი). საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 1992 წელს ეკავა 118-ე ადგილი, 2000 წელს – 129-ე ადგილი, 2003 წელს – 129-ე ადგილი, 2005 წელს – 120-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 105-ე ადგილი.


აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეყანა, რომელსაც მაღალი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი აქვს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით შესაძლოა უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდეს ქვეყნებს შორის ანდა პირიქით. მაგალითად, ლიხტენშტეინს მთლიანი ეროვნული შემოსავლის სიდიდის მიხედვით 2000 წელს ქვეყნებს შორის რანჟირებაში ეკავა 131-ე ადგილი, 2003 წელს – 134-ე ადგილი, 2005 წელს – 135-ე ადგილი, მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებლის ერთ სულზე გაანგარიშებით იგი პირველ ადგილზეა. ამერიკის შეერთებული შტატები კი, რომელსაც პირველი ადგილი უკავია წლების მიხედვით მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიო ქვეყნებს შორის, ერთ სულზე აღნიშნული სიდიდის გაანგარიშებით 2000 წელს იგი

იკავებდა მე-7 ადგილს, 2003 წელს – მე-6 ადგილს, 2005 წელს – მე-8 ადგილს, 2008 წელს – მე-9 ადგილს.


მთლიანი ეროვნული შემოსავლის ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით წლების მანძილზე ქვეყნებს შორის ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე და მესამე ადგილს კი იაპონია და გერმანია ინაწილებენ. საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 2000 წელს ეკავა 126-ე ადგილი, 2003 წელს – 124-ე ადგილი, 2005 წელს – 118-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 106-ე ადგილი.

ამიერკავკასიის ქვეყნების მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები მთლიანად ქვეყნის და მოსახლეობის ერთ სულზე 2000-2008 წწ. ნაჩვენებია ქვემოთმოტანილ გრაფიკებზე.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, მიმდინარე აშშ დოლარებში, ატლასის მეთოდით



მთლიანი ეროვნული შემოსავალი მლნ. აშშ დოლარებში, ატლასის მეთოდით



მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის ვალუტის მსყიდველუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები აშშ დოლარებში 2000-2008 წწ. ნაჩვენებია დანართის მე-19 ცხრილში, ხოლო ვალუტის მსყიდველუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარებში 2000-2008 წწ – დანართის მე-20 ცხრილში. თუ მოვახდენთ ქვეყნების რანჟირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით ერთ სულზე, პირველი, მეორე და მესამე ადგილების განაწილება ქვეყნების მიხედვით ასეთია: 1980 წელს – 1. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (47740 აშშ დოლარი), 2. კუვეიტი (22360 აშშ დოლარი), 3. საუდის არაბეთი (16580 აშშ დოლარი). 1990 წელს – 1. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (40080 აშშ დოლარი), 2. ბრუნეის სასულთნო (35690 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (28830 აშშ დოლარი). 2000 წელს – 1. ლუქსემბურგი (46750 აშშ დოლარი), 2. ბრუნეის სასულთნო (42050 აშშ დოლარი), 3. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (41610 აშშ დოლარი). 2003 წელს – 1. ლუქსემბურგი (47060 აშშ დოლარი), 2. ბრუნეის სასულთნო (46100 აშშ დოლარი), 3. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (42160 აშშ დოლარი). 2005 წელს – 1. ლუქსემბურგი (58570 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (47630 აშშ დოლარი), 3. ბრუნეის სასულთნო (47470 აშშ დოლარი). 2008 წელს – 1. ნორვეგია (59250 აშშ დოლარი), 2. კუვეიტი (53480 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (52770 აშშ დოლარი).

საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 1980 წელს ეკავა 49-ე ადგილი, 1990 წელს – 73-ე ადგილი, 2000 წელს – 115-ე ადგილი, 2003 წელს – 115-ე ადგილი, ხოლო 2005 წელს – 109-ე ადგილი, 2008 წელს – 96-ე ადგილი.

მთლიანი ეროვნული შემოსავლის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით წლების მანძილზე ქვეყნებს შორის ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე და მესამე ადგილს კი იაპონია და გერმანია ინაწილებენ. 2000 წლიდან მესამე ადგილს ჩინეთი იკავებს, 2003 წლიდან დღემდე კი მეორე და მესამე ადგილებს ჩინეთი და იაპონია ინაწილებენ. საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 1980 წელს ეკავა 55-ე ადგილი, 1990 წელს – 67-ე ადგილი, 2000 წელს – 112-ე ადგილი, 2003 წელს – 113-ე ადგილი, 2005 წელს – 112-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 104-ე ადგილი.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებანი მსოფლიო ბანკის ინფორმაციაზე დაყრდნობით 2009 წლისათვის შემდეგი სახით ხასიათდება:

ა) ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს შორის პირველ ათეულს შეადგენენ: 1. ამერიკის შეერთებული შტატები (14502626 მლნ. აშშ დოლარი), 2. იაპონია (4830313 მლნ. აშშ დოლარი), 3. ჩინეთი (4778266 მლნ. აშშ დოლარი), 4. გერმანია (3484689 მლნ. აშშ დოლარი), 5. საფრანგეთი (2754606 მლნ. აშშ დოლარი), 6. დიდი ბრიტანეთი (2567480 მლნ. აშშ დოლარი), 7. იტალია (2112492 მლნ. აშშ დოლარი), 8. ბრაზილია (1557236 მლნ. აშშ დოლარი), 9. ესპანეთი (1464739 მლნ. აშშ დოლარი), 10. კანადა (1422977 მლნ. აშშ დოლარი). საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში ეკავა 119-ე ადგილი, აზერბაიჯანს 76-ე ადგილი, ხოლო სომხეთს – 125-ე ადგილი. ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა ითვლება დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნად.

ბ) ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის ლიდერობს მონაკო (203900 აშშ დოლარი), ლისტენშტეინი (113210 აშშ დოლარი) და ნორვეგია (86440 აშშ დოლარი). სწორედ ეს ქვეყნები ინაწილებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებს აღნიშნულ რანჟირებაში. ლუქსემბურგი (74430 აშშ დოლარი) მეოთხე ადგილზეა, შვეიცარია (56370 აშშ დოლარი) მეცხრე ადგილზე და ა.შ. საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 139-ე ადგილი ეკავა, აზერბაიჯანს – 107-ე ადგილი, ხოლო სომხეთს – 131-ე ადგილი. ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით კი მსოფლიო ქვეყნებს

შორის ლიდერობს ლუქსემბურგი (57640 აშშ დოლარი). საქართველო 136-ე ადგილს იკავებს, აზერბაიჯანი – 102-ე ადგილს, ხოლო სომხეთი – 128-ე ადგილს.

ამდენად, ეროვნული შემოსავლის საერთაშორისო სტატისტიკური შედარებანი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყნის მმართველებს სწორი წარმოდგენა იქონიონ ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე ჩართულობის ხარისხსა და დონეზე და ამის საფუძველზე შესაბამისი პოლიტიკა შეიმუშაონ. იგი დაეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში.

3.2 ეროვნული შემოსავლის ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ეროვნული შემოსავალი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც გვიხასიათებს ქვეყნის მთლიანი შემოსავლების სიდიდეს. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა მისი დინამიკის და შინაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა დადგენასა და გამოვლენას. ურთიერთკავშირების გამოკვლევისას სტატისტიკა ეყრდნობა მოვლენათა თეორიულ და თვისებრივ ანალიზს. მისი დასკვნების დამტკიცებისთვის, ურთიერთკავშირის გამოვლენისა და რაოდენობრივი დახასიათებისათვის კი იყენებს თავის სპეციფიკურ ხერხებსა და მეთოდებს, როგორცაა პარალელური მწკრივების მეთოდი, ანალიზური დაჯგუფების მეთოდი, საბალანსო მეთოდი, კორელაციისა (ლათინური სიტყვა *correlatio*-დან, რაც ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას) და რეგრესიული (ლათინური სიტყვა *regressus*-იდან, რაც ნიშნავს უკუსვლას, დაქვეითებას) ანალიზის მეთოდი.

პარალელურ მწკრივთა შედარების მეთოდი გულისხმობს, რომ საშედეგო და მიზეზობრივი მოვლენების რაოდენობრივი გამოსახულებანი ჩაიწერება ერთმანეთის პარალელურად. ჩაწერილი პარალელური მწკრივების ურთიერთშედარებით შეიძლება დაგადგინოთ კავშირის ფორმა, სახეობა, აგრეთვე კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები სხვადასხვა კოეფიციენტებით.

საბალანსო მეთოდი გულისხმობს რესურსების მოძრაობის აბსოლუტურ მაჩვენებელთა ურთიერთდაკავშირებული სისტემის შედგენას, რომელიც გამოისახება რესურსებისა და მათი გამოყენების წყაროების ტოლობით: ნაშთი პერიოდის დასაწყისში + შემოსულობანი = დანახარჯები + ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის. ბალანსი გვიჩვენებს რესურსების მოძრაობის ერთიან პროცესს და ახასიათებს ამ პროცესის ცალკეულ ელემენტებს შორის კავშირსა და პროპორციებს.

ანალიზური დაჯგუფების მეთოდი გულისხმობს არა მარტო დაჯგუფების გამოყენებას, არამედ განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშებას ანალიზისთვის. ამ მეთოდის გამოყენებით საჭიროა ჯერ მიზეზობრივი მოვლენის მიხედვით დავაჯგუფოთ საშედეგო მოვლენის მაჩვენებლები. შემდეგ კი თითოეული ჯგუფისათვის გავიანგარიშოთ საშედეგო მოვლენის საშუალო ან შეფარდებითი მაჩვენებლები. ამის შემდეგ შეგვიძლია საშედეგო და მიზეზობრივი ფაქტორის

ცვლილებანი ერთნმანეთს შევეუდართო და გამოვაგლინოთ კავშირის სახეობა და რაოდენობრივი თანაფარდობანი.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს კავშირის ადეკვატური ამსახველი მოდელის აგებას და მისი მეშვეობით მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რაოდენობრივი თანაფარდობის გაანგარიშებას.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების განსაზღვრისთვის ჩვენ გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს და მის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებსა და რაოდენობრივ დახასიათებას ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი რეგრესიის მოდელების გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დახასიათებას შესაბამისი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ფორმა მდგომარეობს იმაში, რომ მრავალი მათგანი შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სხვა მაჩვენებლის ნამრავლის ან ჯამის სახით.

მაჩვენებელი – მამრავლი (შესაკრები) ხშირად გამოდის როგორც ფაქტორი, რომლის სიდიდეზე ფუნქციონალურად არის დამოკიდებული მაჩვენებელი – ნამრავლის (ჯამის) სიდიდე (შედეგობრივი ნიშანი).

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი ეს არის მრავალფაქტორიანი მაჩვენებელი, რომელზეც ზეგავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობა, დასაქმებულთა რაოდენობა, ინვესტიციები, ასევე სხვა ძირითადი თუ მეორეხარისხოვანი ფაქტორები. რა თქმა უნდა ყველა მათგანის გავლენის ზომას ჩვენ ვერ დავადგენთ, მაგრამ მათგან გამოვყოფთ ძირითადს და შევეცდებით მაქსიმალურად ზუსტი გაანგარიშებების გაკეთებას.

ეროვნული შემოსავლის მოცულობა შეიძლება გავზარდოთ:

1. მეტი მიწის ფართობების, შრომისა და კაპიტალის გამოყენების გზით;
2. მიწის, შრომისა და კაპიტალის წინანდელი რაოდენობის უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

ეროვნული შემოსავლის ზრდა გულისხმობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და შემდგომი ზრდისთვის აუცილებელი კაპიტალის დაგროვების უზრუნველყოფას. ზრდადი ეკონომიკა ფლობს ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მეტ შესაძლებლობას.

ეროვნული შემოსავლის ზრდის ფაქტორებია:

1. მიწა, რომელიც მოიცავს როგორც წარმოებაში გამოსაყენებელ მიწის ფართობს, ასევე სასარგებლო წიაღისეულის, ტყის, წყლის რესურსებს. სასოფლო-სამეურნეო ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიწა ბუნებრივია უმნიშვნელოვანესი სახის რესურსს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში მიწების ამოშრობასა და ირიგაციაზე, სასუქებზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის უფრო ეფექტურ იარაღებსა და თანამედროვე ტრანსპორტზე გაწეულ ინვესტიციებს შეუძლიათ გაზარდონ როგორც გაკულტურებული მიწის ფართობები, ასევე მათი ხარისხი.

2. შრომა, რომელიც გულისხმობს წარმოების პროცესში გამოყენებულ ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევას. ეროვნული შემოსავლის ზრდა ერთის მხრივ შესაძლოა დასაქმებულთა რიცხოვნობის, ხოლო მეორეს მხრივ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე.

3. კაპიტალი, რომელიც გულისხმობს წარმოების პროცესში გამოსაყენებელ ძირითად და საბრუნავ კაპიტალს. წარმოების აღჭურვა მეტი რაოდენობის მანქანებით, მოწყობილობებით, ახალი ტექნიკით ეროვნული შემოსავლის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ეროვნული შემოსავლის მაღალი ზრდის მქონე ქვეყნებში ძირითადი კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე დასაქმებულთა რიცხოვნობა.

კაპიტალთა კაპიტალი ადამიანური კაპიტალია, რაც ადამიანის უნარის, შრომითი ჩვევების, პროფესიული ოსტატობის და ა. შ. ერთობლიობაა, რომელიც დაგროვილია ადრეულ ბავშვობაში, დაწყებით სკოლაში, საშუალო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელსა და სამსახურში. ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას (განათლებას, სწავლებას, აღზრდას, ჯანმრთელობის დაცვას) ქვეყნის გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური წარმატებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას. ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში მწარმოებლურს ხდის როგორც სამუშაო ძალას, ისე ყველა წარმოების ფაქტორს. ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და გამოყენებულ იქნეს მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის წყაროდ.

4. სამეწარმეო უნარი, რომელიც ადამიანისეული რესურსის განუყოფელი ნაწილია, თუმც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო წარმოების ცალკე, დამოუკიდებელ ფაქტორადაა გამოყოფილი. მისი მიზანია მიწის, შრომისა და

კაპიტალის ეფექტიანი კომბინაციის განხორციელების გზით შემოსავლების მაქსიმიზაცია, ეს კი გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. სწორედ მეწარმე თავისი უნარის, რისკის საფასურადღებულობს შესაბამის შემოსავალს – მოგებას.

5. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, რომლის საშუალებითაც იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის ფუნქციონირებას. ის ქმნის სამეწარმეო კანონმდებლობას, ადგენს ეკონომიკური თამაშების წესებს და აკონტროლებს მის განხორციელებას. ხელს უწყობს ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას, ზემოქმედებას ახდენს ინფლაციასა და უმუშევრობაზე და ახორციელებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისადმი მხარდაჭერას.

6. ტექნოლოგიური ცოდნა (წარმოების საუკეთესო გზების შერჩევის უნარი), რომელიც ეროვნული შემოსავლის ზრდის მთავარი ფაქტორია. მასში მოიაზრება გამოგონებები, წარმოების სტრუქტურისა და მეთოდების სრულყოფა, ახალი პროდუქტების შემუშავება.

7. მობილურობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური რესურსების გადანაცვლების შესაძლებლობას მომაკვდავი ან მცირედმზარდი დარგებიდან იმ დარგებში, რომლებშიც ზრდის პერსპექტივა უკეთესია.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის ზრდაზე მოქმედ ზემოთგანხილულ ფაქტორთა მთელი კომპლექსიდან მათი გავლენის რაოდენობრივი გაზომვისთვის გამოვეყოფთ მხოლოდ არსებით ფაქტორებს.

ანალიზის დროს წამოიჭრება ამოცანა, გამოვავლინოთ და შევაფასოთ ცალკეული ფაქტორის როლი მოცემული მოვლენის ცვლილებაში, ე.ი. ვუჩვენოთ როგორ შეიცვალა შედეგობრივი მაჩვენებელი თითოეული ფაქტორის ცვლილების ანგარიშზე.

ზოგჯერ საჭიროა მოვახდინოთ საშედეგო მოვლენის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების აბსტრაგირება გარდა ერთისა და განვიხილოთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ფაქტორის გავლენა. ამ შემთხვევაში გვაქვს ერთფაქტორიანი სახეობის კავშირი. სხვაგვარად ასეთ კავშირს წყვილად კავშირს, წყვილად კორელაციას უწოდებენ. ასეთი კავშირების სტატისტიკური ანალიზი კი კორელაციური ანალიზია. კორელაცია კავშირის ფორმას ასახავს, რეგრესია კი კავშირის ფორმის გამომსახველი განტოლებაა. წყვილადი კორელაცია ორი სახისაა: წრფივი (სწორხაზოვანი) და არაწრფივი (მრუდხაზოვანი). პირველ შემთხვევაში კავშირის გამომსახველი განტოლებაა $y = a_0 + a_1x$, მეორე შემთხვევაში კი – ჰიპერბოლა $y = a_0 + a_1/x$, პარაბოლა $y = a_0 + a_1x + a_2x^2$ ან მაჩვენებლიანი

განტოლება $y = a_0 a_1^x$. განტოლების ტიპის (წრფივი ან არაწრფივი) შერჩევა ხდება გრაფიკული ან ვიზუალური ფორმის საფუძველზე. გრაფიკული მეთოდი გულისხმობს ემპირიული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი გრაფიკის აგებას. თუ გრაფიკი სწორხაზოვანია, მაშინ კორელაცია წრფივი სახეობისაა, ხოლო თუ მრუდხაზოვანია, მაშინ არაწრფივი სახეობის. ვიზუალური მეთოდი გულისხმობს მიზეზობრივი და საშედეგო მოვლენების განვითარების შესწავლას ვიზუალურად, განვითარების დათვალიერებას. თუ ეს მოვლენები იცვლება არითმეტიკული პროგრესიით, მაშინ განვითარება წრფივი სახეობისაა, ხოლო თუ გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ არაწრფივი სახეობის.

წრფივი კავშირის შემთხვევაში ($y = a_0 + a_1x$) a_0 და a_1 პარამეტრების გასაანგარიშებლად ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum yx \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღებთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობებს, რომელთა დახმარებით მივიღებთ ემპირიულ განტოლებას.

ეკონომიკური თვალსაზრისით a_0 არის საშედეგო მოვლენის რაღაც საწყისი მნიშვნელობა, ხოლო a_1 გვიჩვენებს მიზეზობრივი მოვლენის ერთი ერთეულით ცვლილება რამდენი ერთეულით შეცვლის საშედეგო მოვლენას.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ იმ შემთხვევაში, როცა რეგრესიის წრფივი განტოლება მიღებულია არა გამოყვანის გზით, როგორც ეს იყო გაკეთებული მოცემულ შემთხვევაში, არამედ ჯგუფური საშუალოების გრაფიკის საფუძველზე ან კავშირის ფორმების ემპირიული შერჩევის გზით, a_0 პარამეტრს ხშირად არა აქვს ეკონომიკურ-სტატისტიკური მნიშვნელობის შინაარსი და ატარებს წმინდა გაანგარიშებით ხასიათს. ინტერესს იწვევს მხოლოდ a_1 პარამეტრი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ იცვლება y x -ის ერთეულით ცვლილების დროს.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლისას თანამედროვე ეტაპზე ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია გამოვრიცხოთ მასზე მოქმედი სხვა დანარჩენი ფაქტორები გარდა ერთისა (შომის მწარმოებლურობა, ინვესტიციები და სხვ.) და ამ უკანასკნელის გავლენის ზომის გაანგარიშებით ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიცვალა ეროვნული შემოსავლის მოცულობა თითოეული ფაქტორის ცვლილებისას.

ეროვნული შემოსავლის როგორც საშედეგო მოვლენაზე მოქმედი ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 1996-2009 წწ მონაცემებზე დაყრდნობით განვახორციელეთ. ფაქტორთა კომპლექსიდან პირველ ეტაპზე გამოვყავით შრომის მწარმოებლურობა და მისი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე გავლენის ზომა განვსაზღვრეთ.


საქართველოს ეროვნული შემოსავალი და შრომის მწარმოებლურობა მუდმივ 2003 წლის ფასებში 1996-2009 წწ მოცემულია 3.1 ცხრილში.

ცხრილი 3.1 ეროვნული შემოსავალი და შრომის მწარმოებლურობა 1996-2009 წლებში

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	შრომის მწარმოებლურობა მუდმივ 2003 წლის ფასებში, ათასი ლარი წელიწადში
1996	5709.4	2.8
1997	6692.9	2.8
1998	7012.2	3.0
1999	7205.3	3.2
2000	7243.6	3.1
2001	7384.9	3.3
2002	7787.0	3.8
2003	8631.3	3.6
2004	9232.5	3.7
2005	10081.6	4.2
2006	11114.3	4.8
2007	12256.8	5.7
2008	12323.2	5.9
2009	11821.8	5.4

როგორც ვიხუალური დაკვირვებიდან ჩანს, ეროვნული შემოსავალი და შრომის მწარმოებლურობა დაახლოებით არითმეტიკული პროგრესიით დიდდება. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში წყვილადი კორელაცია წრფივი ფორმისაა. ჩვენი მოსაზრების დასაზუსტებლად გრაფიკული მეთოდიც ანალოგიურ შედეგს გვიჩვენებს.

ეროვნული შემოსავლისა და შრომის მწარმოებლურობის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკი



გრაფიკი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის სწორხაზოვან (მაჩვენებელთა ურთიერთგადამკვეთი წერტილები მიახლოებით ან ფაქტობრივად სწორ ხაზზეა განლაგებული) დამოკიდებულებას. ამიტომ ამ შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებულების ანალიზური ფორმა წრფივი ფუნქციით გამოისახება.

შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები. $a_0 = 965.63$ და $a_1 = 1999.16$. გაანგარიშებები განგახორციელეთ სტატისტიკური პროგრამა SPSS დახმარებით.

ამდენად, განტოლება მიიღებს სახეს:

$$y = 965.63 + 1999.16x$$

ესე იგი, შრომის მწარმოებლურობის 1 ათასი ლარით გაზრდა წელიწადში გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 1999.16 მილიონი ლარით გაზრდას.

მოსწორებული დონეების ჯამი ($\Sigma\hat{y}$) უდრის 124 497.0, ემპირიული დონეების ჯამი (Σy) კი – 124 496.9. $\Sigma(y-\hat{y})^2 = (124 496.9 - 124 497.0)^2 = (-0.11)^2 = 0.01$, რაც აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა). ეს იმას ნიშნავს, რომ შერჩეულმა წრფივმა განტოლებამ ადეკვატურად ასახა ემპირიული დონეების განვითარება.

წრფივი კავშირის შემთხვევაში კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$R_{xy} = \frac{\overline{xy} - \overline{xy}}{\alpha\sigma_y}$$

ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი 0.97-ის ტოლია, რაც მიუთითებს შრომის მწარმოებლურობასა და ეროვნული შემოსავალს შორის მჭიდრო კორელაციურ კავშირზე.

ეროვნული შემოსავლის ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისთვის არანაკლებ საინტერესოა კაპიტალის ფაქტორის გავლენის რაოდენობრივი გაზომვა. ამისათვის განვახორციელებთ ძირითად კაპიტალში ინვესტიციებისა და ეროვნული შემოსავლის წყვილადი რეგრესიული ანალიზი. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია სრული სახით არ მოიპოვებოდა, რისთვისაც გავწიეთ გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მუდმივ ფასებში გადასაყვანად დეფლირებისთვის გამოვიყენეთ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მუდმივ ფასებში გადაანგარიშება ნაჩვენებია 3.2 ცხრილში.

ცხრილი 3.2

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მუდმივ ფასებში გადაანგარიშება, 1996-2009

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	718.2	840.8	1 283.3	1 485.6	1 537.8	1 817.7	1 825.6
ფასების ინდექსი		1.005	0.998	1.056	0.997	1.004	1.010
ინვესტიციები წინა წლის ფასებში		836.3	1285.4	1407.1	1542.4	1809.9	1807.6
ზრდის ინდექსები		116.4	152.9	109.6	103.8	117.7	99.4
ინვესტიციები მუდმივ 1996 წლის ფასებში, მლნ. ლარი	718.2	836.3	1278.5	1401.9	1455.4	1712.9	1703.5
ინვესტიციები მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	769.5	896.0	1369.9	1502.1	1559.4	1835.3	1825.2

ცხრილი 3.2 (გაგრძელება)

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მუდმივ ფასებში გადაანგარიშება, 1996-2009

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	2 283.6	2 697.3	3 261.4	3 524.2	4 370.5	4 098.5	2 588.8
ფასების ინდექსი	1.000	1.004	1.180	1.567	1.015	1.056	0.961
ინვესტიციები წინა წლის ფასებში	2284.1	2687.4	2763.7	2248.4	4306.6	3880.6	2693.3
ზრდის ინდექსები	125.1	117.7	102.5	68.9	122.2	88.8	65.7
ინვესტიციები მუდმივ 1996 წლის ფასებში, მლნ. ლარი	2131.4	2508.2	2569.9	1771.7	2165.0	1922.4	1263.3
ინვესტიციები მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	2 283.6	2687.4	2753.5	1898.3	2319.7	2059.7	1353.5


საქართველოს ეროვნული შემოსავალი და ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მუდმივ 2003 წლის ფასებში 1996-2009 წწ მოცემულია 3.3 ცხრილში.

ცხრილი 3.3 ეროვნული შემოსავალი და ინვესტიციები ძირითად კაპიტალში

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი
1996	5709.4	769.5
1997	6692.9	896.0
1998	7012.2	1369.9
1999	7205.3	1502.1
2000	7243.6	1559.4
2001	7384.9	1835.3
2002	7787.0	1825.2
2003	8631.3	2283.6
2004	9232.5	2687.4
2005	10081.6	2753.5
2006	11114.3	1898.3
2007	12256.8	2319.7
2008	12323.2	2059.7
2009	11821.8	1353.5

როგორც ვიზუალური დაკვირვებიდან ჩანს, ეროვნული შემოსავალი და ინვესტიციები ძირითად კაპიტალში დაახლოებით არითმეტიკული პროგრესიით დიდდება. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში წყვილადი კორელაცია წრფივი ფორმისაა. ჩვენი მოსაზრების დასაზუსტებლად გრაფიკული მეთოდიც ანალოგიურ შედეგს გვიჩვენებს.

ეროვნული შემოსავლისა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკი



გრაფიკი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის სწორხაზოვან (მაჩვენებელთა უთიერთგადამკვეთი წერტილები მიახლოებით ან ფაქტობრივად სწორ ხაზზეა განლაგებული) დამოკიდებულებას. ამიტომ ამ შემთხვევაშიც, ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალოგიურად, კავშირის ანალიზური ფორმა წრფივი ფუნქციით გამოისახება.

შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები. $a_0 = 5161.07$ და $a_1 = 2.08$. გაანგარიშებები განგახორციელებულია სტატისტიკური პროგრამა SPSS დახმარებით.

ამდენად, განტოლება მიიღებს სახეს:

$$y = 5161.07 + 2.08x$$

ესე იგი, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების 1 მილიონი ლარით გაზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 2.08 მილიონი ლარით გაზრდას.

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი ინვესტიციებსა და ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს შორის 0.56-ის ტოლია. თუმცა კავშირის ხარისხი არც

ისე მაღალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინვესტიციები სამომავლოდ ეროვნული შემოსავლის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

3.3 ეროვნული შემოსავლის მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი ფორმირდება ურთიერთგადაჯახებული და ურთიერთმოქმედი ფაქტორების მთელი კომპლექსის გაგვლით, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ძალით და სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ წყვილადი რეგრესიის განტოლების ერთფაქტორიანი მოდელის აგება არასაკმარისია. თვით კორელაციური კავშირის სპეციფიკა მოითხოვს მოდელში სულ უფრო მეტი მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტორების ჩართვას. ასეთი ფაქტორების შერჩევაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრობლემას მრავლობითი რეგრესიის განტოლების აგების დროს. ფაქტორები უნდა შეირჩეს მათი საშედგომ მოვლენაზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. მოდელში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც შედარებით ძლიერად მოქმედებენ საშედგომ მოვლენის განვითარებაზე.

მრავლობით რეგრესიაში ჩასართავი ფაქტორების შესარჩევად პირველ ეტაპზე გაიზომება საშედგომ მოვლენასა და თითოეულ მასზე მოქმედ ფაქტორს შორის ურთიერთკავშირის წრფივი კოეფიციენტები. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არა მარტო საშედგომ მოვლენასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის არსებობს კორელაციური კავშირები, არამედ თვით ფაქტორულ მოვლენებსა და პროცესებს შორისაც. ეს სტატისტიკაში ცნობილია მულტიკორელაციის სახელწოდებით. ეს უკანასკნელი აძნელებს ყველაზე არსებითი ფაქტორების შერჩევას, იწვევს მოდელის პარამეტრების ცვლილებას, რეგრესიის კოეფიციენტების ეკონომიკური ინტერპრეტაციის აზრის შეცვლას და სხვა უარყოფით შედეგებს. ამიტომ კორელაციის წყვილადი კოეფიციენტების დახმარებით საჭიროა ფაქტორებს შორისაც გაიზომოს კავშირების სიმჭიდროვის ხარისხი. წყვილადი კორელაციის კოეფიციენტების მიხედვით ადგენენ მატრიცას, რომელიც გვიხასიათებს როგორც საშედგომ მოვლენასა და თითოეულ ფაქტორს შორის კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხს, აგრეთვე ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხს. დიაგონალზე არსებული ერთიანები ასახავს თითოეული მოვლენის თავისთავთან კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხს, რომელიც არის ფუნქციონალური და თავისთავად ცხადია, კოეფიციენტები ერთის ტოლია. საშედგომ მოვლენაზე მოქმედ მნიშვნელოვან და არსებით ფაქტორებად ითვლებიან ისეთი ფაქტორები, რომელთანაც საშედგომ

მოვლენის ურთიერთკავშირის კორელაციის კოეფიციენტი აჭარბებს ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის კორელაციის კოეფიციენტს.

მრავლობითი კორელაციური განტოლება წრფივი დამოკიდებულების შემთხვევაში ასეთია:

$$y_x = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + \dots + a_nx_n$$

სადაც x_1, x_2, \dots, x_n არის საშედეგო მოვლენის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.

$a_0, a_1, a_2, \dots, a_n$ პარამეტრების გასაანგარიშებლად გვაქვს განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x_1 + a_2 \sum x_2 + \dots + a_n \sum x_n = \sum y \\ a_0 \sum x_1 + a_1 \sum x_1^2 + a_2 \sum x_1x_2 + \dots + a_n \sum x_1x_n = \sum x_1y \\ \dots \\ a_0 \sum x_n + a_1 \sum x_1x_n + a_2 \sum x_2x_n + \dots + a_n \sum x_n^2 = \sum x_ny \end{cases}$$

x_j -ის თითოეული კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენი ერთეულით შეიცვლება y x_j -ის ერთი ერთეულით ცვალებადობისას და სხვა ფაქტორების ფიქსირებული მნიშვნელობის შემთხვევაში.

ჩვენ უკვე განვიხილეთ შრომის მწარმოებლურობისა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების გავლენა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნულ შემოსავალზე მოქმედი ისეთი უმთავრესი ფაქტორების გავლენის ზომის დადგენა, როგორებიცაა მოგება და შერეული შემოსავალი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე და ა.შ.

ეროვნული შემოსავლის, როგორც საშედეგო მოვლენაზე მოქმედი, მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 1996-2008 წწ მონაცემებზე დაყრდნობით განვახორციელეთ. ფაქტორთა კომპლექსიდან ცალკე გამოვყავით მოგება და შერეული შემოსავალი, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე.

ეროვნული შემოსავლის მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია სრული სახით არ მოიპოვებოდა, რისთვისაც გავწიეთ გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასისა და მოგებისა და შერეული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადასაანგარიშებლად დეფლირებისთვის გამოვიყენეთ სამომხმარებლო

ფასების ინდექსი. წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების დეფლირებისთვის კი – შესაბამისი ზრდის ინდექსები.

ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მუდმივ 2003 წლის ფასებში გაანგარიშება ნაჩვენებია 3.4 ცხრილში.

ცხრილი 3.4 ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის დეფლირება

	ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	CPI საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	ხელფასი წინა წლის ფასებში	ზრდის ინდექსები	ხელფასი მუდმივ 2003 წლის ფასებში
1996	29.0	139.4	20.8		46.2
1997	42.5	107.1	39.7	136.8	63.2
1998	55.4	103.6	53.5	125.8	79.6
1999	67.5	119.2	56.6	102.2	81.3
2000	72.3	104.0	69.5	103.0	83.8
2001	94.6	104.7	90.4	125.0	104.7
2002	113.5	105.6	107.5	113.6	118.9
2003	125.9	104.8	120.1	105.8	125.9
2004	156.8	105.7	148.3	117.8	148.3
2005	204.2	108.2	188.7	120.4	178.5
2006	277	109.2	253.7	124.2	221.8
2007	368.1	109.2	337.1	121.7	269.9
2008	534.9	110.0	486.3	132.1	356.6

მოგებისა და შერეული შემოსავლის მუდმივ 2003 წლის ფასებში გაანგარიშება ნაჩვენებია 3.5 ცხრილში.

ცხრილი 3.5 მოგებისა და შერეული შემოსავლის დეფლირება

	მოგება და შერეული შემოსავალი მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	CPI საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	მოგება და შერეული შემოსავალი წინა წლის ფასებში, მლნ. ლარი	ზრდის ინდექსები	მოგება და შერეული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი
1996	2882.7	139.4	2067.9		4594.3
1997	3170.7	107.1	2960.5	102.7	4718.4
1998	3428.3	103.6	3309.2	104.4	4924.5
1999	3867.0	119.2	3244.2	94.6	4660.0
2000	3922.0	104.0	3771.2	97.5	4544.5
2001	4466.7	104.7	4266.2	108.8	4943.3
2002	5187.7	105.6	4912.6	110.0	5436.7
2003	6429.0	104.8	6134.5	118.3	6429.0
2004	7214.4	105.7	6825.4	106.2	6825.4
2005	8222.7	108.2	7599.5	105.3	7189.7
2006	9634.8	109.2	8823.1	107.3	7714.7
2007	11225.5	109.2	10279.8	106.7	8231.1
2008	11874.3	110.0	10794.8	96.2	7915.3

წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების მუდმივ 2003 წლის ფასებში გადაანგარიშება განვახორციელებთ ცალ-ცალკე პროდუქციაზე გადასახადებისა და წარმოებაზე სხვა გადასახადების დეფლირებით შემდეგი სახით: 2003-2008 წწ მუდმივ 2003 წლის ფასებში გაანგარიშებული პროდუქციაზე გადასახადების

შესახებ ინფორმაცია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით მოვიპოვეთ. 1996-2003 წწ პროდუქციაზე გადასახადების მუდმივ 2003 წლის ფასებში გადაანგარიშება განგახორციელეთ პროდუქციაზე გადასახადების ზრდის ინდექსების საფუძველზე. ხოლო წარმოებაზე სხვა გადასახადების დეფლირება 1996-2008 წწ მთლიანად განგახორციელეთ პროდუქციაზე გადასახადების ზრდის ინდექსების გამოყენებით. შესაბამისი გაანგარიშებანი ნაჩვენებია 3.6 ცხრილში.

ცხრილი 3.6 წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების მუდმივ 2003 წლის ფასებში გაანგარიშება

	სხვა გადასახადები წარმოებაზე მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	ზრდის ინდექსები	სხვა გადასახადები წარმოებაზე მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	გადასახადები პროდუქციაზე მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი
1996	59.6		55.5	250.7	306.3
1997	49.3	188.5	104.7	472.5	577.2
1998	62.8	91.1	95.3	430.4	525.8
1999	87.9	111.1	106.0	478.4	584.4
2000	86.8	102.2	108.3	488.9	597.2
2001	91.1	110.7	119.9	541.4	661.4
2002	114.0	106.4	127.6	576.0	703.5
2003	128.1	100.4	128.1	578.3	706.4
2004	134.1	108.3	138.7	626.1	764.7
2005	84.4	101.2	140.3	633.5	773.8
2006	118.9	106.9	150.1	677.5	827.5
2007	133.3	117.3	176.0	794.4	970.3
2008	224.8	100.6	176.9	798.8	975.8

საქართველოს ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, მოგება და შერეული შემოსავალი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 1996-2008 წწ მოცემულია 3.7 ცხრილში.

ცხრილი 3.7 ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, მოგება და შერეული შემოსავალი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 1996-2008 წლებში

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი მუდმივ 2003 წლის ფასებში, ლარი	მოგება და შერეული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი
	y	x ₁	x ₂	x ₃
1996	5709.4	46.2	4594.3	306.3
1997	6692.9	63.2	4718.4	577.2
1998	7012.2	79.6	4924.5	525.8
1999	7205.3	81.3	4660.0	584.4
2000	7243.6	83.8	4544.5	597.2
2001	7384.9	104.7	4943.3	661.4
2002	7787.0	118.9	5436.7	703.5
2003	8631.3	125.9	6429.0	706.4
2004	9232.5	148.3	6825.4	764.7
2005	10081.6	178.5	7189.7	773.8
2006	11114.3	221.8	7714.7	827.5
2007	12256.8	269.9	8231.1	970.3
2008	12323.2	356.6	7915.3	975.8

საანალიზოდ გამოვიყენეთ წრფივი ფუნქცია და შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღეთ a_0 , a_1 , a_2 და a_3 პარამეტრების მნიშვნელობები. $a_0 =$

1378.9, $a_1 = 8.12$, $a_2 = 0.69$, $a_3 = 2.85$. გაანგარიშებები განვახორციელებთ სტატისტიკური პროგრამა SPSS დახმარებით.

ამდენად, განტოლება მიიღებს სახეს:

$$y = 1378.9 + 8.12x_1 + 0.69x_2 + 2.85x_3$$

ესე იგი, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასის 1 ლარით გაზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 8.12 მილიონი ლარით გაზრდას; მოგებისა და შერეული შემოსავლის 1 მილიონი ლარით გაზრდა განაპირობებს ეროვნული შემოსავლის 0.69 მილიონი ლარით ზრდას, ხოლო წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების 1 მილიონი ლარით გაზრდა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს 2.85 მილიონი ლარით გაზრდის.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დავადგინოთ, რამდენად ადექვატურად ასახავს ჩვენს მიერ შერჩეული განტოლება ემპირიული მონაცემების განვითარების სურათს. ამ მიზნებისათვის სტატისტიკაში იყენებენ ფიშერის F კრიტერიუმს.

$$F = \frac{r^2(n-m)}{(1-r^2)(m-1)}$$

სადაც r^2 დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტი, n დაკვირვებათა რიცხვი, m პარამეტრების რიცხვი მოდელში. F ფაქტობრივი მნიშვნელობის შედარებით მის ცხრილურ (კრიტიკულ) მნიშვნელობასთან მსჯელობენ შერჩეული მოდელის (განტოლების) ადექვატურობაზე. თუ ამ კრიტერიუმების საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას, მაშინ შერჩეული მოდელი ანუ განტოლება არსებითია, მნიშვნელოვანია (ადექვატურია). ცხრილური მნიშვნელობანი შედგენილია $m-1 = V_1$ და $n-m = V_2$ თავისუფლების ხარისხისა და α -ს დონის მოცემული მნიშვნელობისათვის (α არის სხვაობა 1-სა და ალბათობას შორის. თუ ალბათობა შეადგენს 0.95, მაშინ $\alpha = 1-0.95 = 0.05$). ამასთან ცხრილში მოცემულია F -ის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობანი, რომლის ქვევით მოცემული ალბათობით, კრიტერიუმი განაპირობებს შერჩეული მოდელის არაადექვატურობას.

ჩვენს მაგალითზე $n = 13$, $m = 4$, $r^2 = 0.989$. F კრიტერიუმი გაანგარიშებების შედეგად იქნება:

$$F = \frac{0.989(13-4)}{(1-0.989)(4-1)} = 269.73$$

F კრიტერიუმის ცხრილური მნიშვნელობა $V_1 = m-1 = 4-1 = 3$ და $V_2 = n-m = 13-4 = 9$ თავისუფლების ხარისხისა და α -ს 0.05 მნიშვნელობისათვის შეადგენს 3.86. მაშასადამე, F კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას ($F_{\text{საანგ}} > F_{\text{ცხრ.}}$), რაც ჩვენს მიერ გამოყენებული რეგრესიის განტოლების ადექვატურობას ადასტურებს.

3.4 ეროვნული შემოსავლის წყვილადი და მრავლობითი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები

ეროვნული შემოსავლის ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის ჩვენს მიერ წინა ქვეთავებში განხილული საკითხების უფრო მეტი კონკრეტიზაციისთვის განვიხილავთ კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლებს როგორც წყვილადი, ასევე მრავლობითი კორელაციური კავშირის შემთხვევაში.

კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშუალო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მრავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი.

წყვილადი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლებს განეკუთვნება: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფეხნერის კოეფიციენტი, რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეორიული კორელაციური დამოკიდებულება და სხვა.

პირსონის კორელაციის წრფივი კოეფიციენტი წრფივი კავშირის შემთხვევაში კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხის ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია. ზოგადად მისი გასაანგარიშებელი ფორმულა და გამოყენება წინა ქვეთავებშია ნაჩვენები, სადაც გავზომეთ კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელსა და შრომის მწარმოებლურობას შორის, ასევე ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის. აქ მხოლოდ ვაჩვენებთ მისი გასაანგარიშებელი ფორმულების მოდიფიკაციას.

კ. ფიშერის ინტერპრეტაციით კორელაციის წრფივი კოეფიციენტი (R_{xy}) სხვა არაფერია, თუ არა რეგრესიის სტანდარტიზებული კოეფიციენტი (a_1), რომელიც გამოსახულია არა აბსოლუტურ ერთეულებში, როგორც ეს რეგრესიის კოეფიციენტის შემთხვევაში გვაქვს, არამედ საშუალო კვადრატული გადახრის ნაწილებში. ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$R_{xy} = a_1 \frac{\sigma_x}{\sigma_y}$$

a_1 -ის სიდიდე შეიძლება განვსაზღვროთ ნორმალურ განტოლებათა სისტემიდან:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum yx \end{cases}$$

თუ სისტემის ორივე განტოლებას ცალ-ცალკე გავეყოფთ n -ზე, მივიღებთ:

$$\begin{cases} a_0 + a_1 \frac{\sum x}{n} = \frac{\sum y}{n} \\ a_0 \frac{\sum x}{n} + a_1 \frac{\sum x^2}{n} = \frac{\sum xy}{n} \end{cases}$$

ანუ

$$\begin{cases} a_0 + a_1 \bar{x} = \bar{y} \\ a_0 \bar{x} + a_1 \bar{x}^2 = \overline{xy} \end{cases}$$

თუ პირველი განტოლებიდან a_0 -ის მნიშვნელობას განვსაზღვრავთ და ჩავსვამთ მეორე განტოლებაში, მივიღებთ a_1 -ის მნიშვნელობას:

$$\begin{aligned} \bar{x}(\bar{y} - a_1 \bar{x}) + a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} \\ \bar{x}\bar{y} - a_1 \bar{x}^2 + a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} \\ a_1 \bar{x}^2 - a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} - \bar{x}\bar{y} \end{aligned}$$

აქედან

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\bar{x}^2 - (\bar{x})^2}$$

და ვინაიდან დისპერსიების გფანგარიშების წესებიდან გვახსოვს, რომ $\bar{x}^2 - (\bar{x})^2 = \sigma_x^2$, გვექნება:

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x}\overline{y}}{\sigma_x^2}$$

თუ მიღებულ გამოსახულებას ჩავსვამთ კორელაციის კოეფიციენტის ფორმულაში $R_{xy} = a_1 \frac{\sigma_x}{\sigma_y}$, მივიღებთ:

$$R_{xy} = \frac{\overline{xy} - \overline{x}\overline{y}}{\sigma_x^2} \frac{\sigma_x}{\sigma_y} = \frac{\overline{xy} - \overline{x}\overline{y}}{\sigma_x \sigma_y}$$

მივიღეთ ჩვენთვის უკვე ცნობილი კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულა.

მეორეს მხრივ, კორელაციის წრფივი კოეფიციენტის ფიშერისეული ინტერპრეტაცია იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს x და y ნიშნების მიხედვით ნორმირებული გადახრების საშუალო სიდიდეს. შესაბამისი გაანგარიშებების მეშვეობით ვღებულობთ კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ მეორე ფორმულას:

$$R_{xy} = \frac{\sum (x - \overline{x})(y - \overline{y})}{\sqrt{\sum (x - \overline{x})^2 \sum (y - \overline{y})^2}}$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იცვლება -1-დან 1-მდე. თუ ის უდრის 0-ს, მაშინ მოვლენებს შორის კავშირი არ არსებობს. თუ მეტია ნულზე და ნაკლების 1-ზე, მაშინ მოვლენებს შორის პირდაპირი კავშირია, ხოლო თუ მეტია -1-ზე და ნაკლებია 0-ზე, მაშინ შებრუნებული კავშირია. თუ კორელაციის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, მაშინ საქმე გვაქვს არა კორელაციურ, არამედ ფუნქციონალურ კავშირთან.

კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის ერთ-ერთი მახასიათებელი კორელაციის ფეხნერის კოეფიციენტია. აღნიშნული კოეფიციენტი სტატისტიკაში ცნობილია გერმანელი ფსიქოლოგის გ.ტ. ფეხნერის (1801-1887) ავტორობით. მან შემოგვთავაზა, მოვლენებს შორის კავშირი გავზომოთ არა თვით ნიშნის რაოდენობრივი მახასიათებლებით, არამედ თითოეული ნიშნის რაოდენობრივი

ინდივიდუალური მნიშვნელობის მათი საშუალოსგან გადახრების ნიშნების მიხედვით.

კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საჭიროა ჯერ გავიანგარიშოთ ცალ-ცალკე x მიზეზობრივ და y საშედეგო მოვლენების ინდივიდუალურ მნიშვნელობათა გადახრები ანუ სხვაობანი მათი საშუალო არიტმეტიკულისგან. ამის შემდეგ უნდა დავითვალოთ $(x - \bar{x})$ და $(y - \bar{y})$ გადახრების ნიშანთა თანდამთხვევისა და არათანდამთხვევის რაოდენობა. ნიშანთა თანდამთხვევათა და არათანდამთხვევათა რიცხვებს შორის სხვაობას თუ გავყოფთ ორივეს ჯამზე, მივიღებთ კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტს. იგი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{a-b}{a+b}$$

სადაც K კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტია,

a – ნიშნების მნიშვნელობათა მათი საშუალოსგან გადახრების ნიშანთა თანდამთხვევის რიცხვი,

b – არათანდამთხვევის რიცხვი.

კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გაანგარიშებას ვაჩვენებთ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელსა და შრომის მწარმოებლურობას შორის, ასევე ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის ცალ-ცალკე და შემდგომ შევუდარებთ მიღებულ გაანგარიშებებს პირსონის კორელაციის კოეფიციენტს.

ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის 1996-2009 წწ. კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გაანგარიშება ნაჩვენებია 3.8 ცხრილში:

ცხრილი 3.8 ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი y	შრომის მწარმოებლურობა მუდმივ 2003 წლის ფასებში, ათასი ლარი წელიწადში x	$(x - \bar{x})$	$(y - \bar{y})$
1996	5709.4	2.8	-	-
1997	6692.9	2.8	-	-
1998	7012.2	3.0	-	-
1999	7205.3	3.2	-	-
2000	7243.6	3.1	-	-
2001	7384.9	3.3	-	-
2002	7787.0	3.8	-	-
2003	8631.3	3.6	-	-
2004	9232.5	3.7	-	+
2005	10081.6	4.2	+	+
2006	11114.3	4.8	+	+
2007	12256.8	5.7	+	+
2008	12323.2	5.9	+	+
2009	11821.8	5.4	+	+
საშუალო	8892.6	4.0		

როგორც ცხრილიდან ჩანს, ნიშნის თანდამთხვევათა რიცხვი 13-ის ტოლია, ხოლო არათანდამთხვევათა რიცხვი 1-ს უდრის.

ამდენად, კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$K = \frac{a-b}{a+b} = \frac{13-1}{13+1} = 0.86$$

ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის 1996-2009 წწ. კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გაანგარიშება ნაჩვენებია 3.9 ცხრილში:

ცხრილი 3.9 ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი y	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი x	$(x - \bar{x})$	$(y - \bar{y})$
1996	5709.4	769.5	-	-
1997	6692.9	896.0	-	-
1998	7012.2	1369.9	-	-
1999	7205.3	1502.1	-	-
2000	7243.6	1559.4	-	-
2001	7384.9	1835.3	+	-
2002	7787.0	1825.2	+	-
2003	8631.3	2283.6	+	-
2004	9232.5	2687.4	+	+
2005	10081.6	2753.5	+	+
2006	11114.3	1898.3	+	+
2007	12256.8	2319.7	+	+
2008	12323.2	2059.7	+	+
2009	11821.8	1353.5	+	+
საშუალო	8892.6	1793.8		

როგორც ცხრილიდან ჩანს, ნიშნის თანდამთხვევათა რიცხვი 11-ის ტოლია, ხოლო არათანდამთხვევათა რიცხვი 3-ს უდრის.

ამდენად, კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$K = \frac{a-b}{a+b} = \frac{11-3}{11+3} = 0.57$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის 0.56 შეადგენს, რაც დაახლოებით კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტის (0.57) ტოლია. კორელაციის წრფივი კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის 0.97 შეადგენს, რომელიც ასევე უახლოვდება კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტს (0.86). მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევებში საშედეგო და მიზეზობრივ ფაქტორებს შორის კორელაციის ფუნქციის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება კორელაციის წრფივი კოეფიციენტისგან და გვაძლევს კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხის შესახებ დამახინჯებულ ინფორმაციას. ამიტომ იგი საიმედოა მხოლოდ კავშირის მიმართულების განსაზღვრისათვის.

წყვილადი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გასაზომად ხშირად იყენებენ რანგების კორელაციის კოეფიციენტს, რომლებიც გამოირჩევიან გაანგარიშებათა სიმარტივით და მოხერხებულობით. ასეთია ინგლისელი სტატისტიკოსების სპირმენისა და კენდელის რანგების კორელაციის კოეფიციენტები. ორივე მეცნიერის მიერ შემოთავაზებული კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდოლოგია ეყრდნობა x და y ნიშნების მიხედვით მოცემული ვარიაციული მწკრივების რანჟირებას და შესაბამისი რანგების მწკრივების წარმოქმნას.

რანჟირება წარმოადგენს მწკრივების ინდივიდუალურ მნიშვნელობათა ადგილების (პირველი 1, მეორე 2 და ა.შ) განსაზღვრას, ანუ მათდამი რანგების მიკუთვნებას, სიდიდის მიხედვით ზრდის ან კლების ტენდენციის გათვალისწინებით.

სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$R = 1 - \frac{6 \sum d_i^2}{n(n^2 - 1)}$$

სადაც d_i i-ური რიგის x და y ნიშნების რანგებს შორის სხვაობაა ($N_x - N_y$)
 n – დაკვირვების რიცხვი.

ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია მოცემულია 3.10 ცხრილში.

ცხრილი 3.10 ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი y	შრომის მწარმოებლურობა მუდმივ 2003 წლის ფასებში, ათასი ლარი წელიწადში x	რანჟირებული მწკრივები		რანგებს შორის სხვაობა ($N_x - N_y$)	d^2
			x ნიშნით N_x	y ნიშნით N_y		
1996	5709.4	2.8	14	14	0	0
1997	6692.9	2.8	13	13	0	0
1998	7012.2	3.0	12	12	0	0
1999	7205.3	3.2	10	11	-1	1
2000	7243.6	3.1	11	10	1	1
2001	7384.9	3.3	9	9	0	0
2002	7787.0	3.8	6	8	-2	4
2003	8631.3	3.6	8	7	1	1
2004	9232.5	3.7	7	6	1	1
2005	10081.6	4.2	5	5	0	0
2006	11114.3	4.8	4	4	0	0
2007	12256.8	5.7	2	2	0	0
2008	12323.2	5.9	1	1	0	0
2009	11821.8	5.4	3	3	0	0
n=14						$\sum d^2 = 8$

ამდენად, სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის ტოლია

$$R = 1 - \frac{6 \sum d_i^2}{n(n^2 - 1)} = 1 - \frac{6 * 8}{14(14^2 - 1)} = 0.98$$

ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია მოცემულია 3.11 ცხრილში.

ცხრილი 3.11 ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

	საქართველოს ეროვნული შემოსავალი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი y	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მუდმივ 2003 წლის ფასებში, ათასი ლარი წელიწადში x	რანჟირებული მწკრივები		რანგებს შორის სხვაობა (N _x - N _y)	d ²
			x ნიშნით N _x	y ნიშნით N _y		
1996	5709.4	769.5	14	14	0	0
1997	6692.9	896.0	13	13	0	0
1998	7012.2	1369.9	11	12	-1	1
1999	7205.3	1502.1	10	11	-1	1
2000	7243.6	1559.4	9	10	-1	1
2001	7384.9	1835.3	7	9	-2	4
2002	7787.0	1825.2	8	8	0	0
2003	8631.3	2283.6	4	7	-3	9
2004	9232.5	2687.4	2	6	-4	16
2005	10081.6	2753.5	1	5	-4	16
2006	11114.3	1898.3	6	4	2	4
2007	12256.8	2319.7	3	2	1	1
2008	12323.2	2059.7	5	1	4	16
2009	11821.8	1353.5	12	3	9	81
n=14						$\sum d^2 = 150$

ამდენად, სპირმენის კორელაციის რანგების კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის ტოლია

$$R = 1 - \frac{6 \sum d_i^2}{n(n^2 - 1)} = 1 - \frac{6 * 150}{14(14^2 - 1)} = 0.67$$

ინგლისელმა სტატისტიკოსმა გ.ჯ. კენდელმა რანგების კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშება შემოგვთავაზა x და y ნიშნების რანგების ზრდისა და კლების შესადარისობის საფუძველზე. საქმე ისაა, რომ x ნიშნის რანგები აიგება მკაცრად განსაზღვრული ზრდის ტენდენციის მიხედვით. მაგრამ მის შესაბამისად y ნიშნის რანგების ზრდა ყოველთვის არ შეესაბამება x -ის ზრდას. ე.ი. არაა დაცული მათ შორის ზრდის თანმიმდევრობა. ამიტომ განსაზღვრავენ იმ რანგების რაოდენობას, რომლებიც თავისი მნიშვნელობით მეტია მის წინამდებარე რანგების მნიშვნელობაზე, ე.ი. სწორი თანმიმდევრობის რაოდენობას. მათ რაოდენობას “+” ნიშნით გამოსახავენ და აღინიშნება P სიმბოლოთი. პარალელურად დაითვლიან იმ რანგების რაოდენობას, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ნაკლებია მის წინამდებარე რანგების მნიშვნელობაზე. ასეთ შემთხვევებს გამოსახავენ “-“ ნიშნით და აღნიშნავენ Q სიმბოლოთი. ორივეს ჯამს გამოსახავენ S ($S=P+Q$) სიმბოლოთი.

P მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწევს მაშინ, როდესაც N_x და N_y რანგები სრულ შესაბამისობაშია, ე.ი. როგორც N_x , ისე N_y იზრდება ნატურალური მთელი რიცხვების შესაბამისად, 1-დან n -მდე. მაშინ პირველი წყვილი ($N_x=1$ და $N_y=1$) რანგების შემდეგ რანგების მნიშვნელობათა წინა რანგების მნიშვნელობებზე გადაჭარბების რიცხვი იქნება $n-1$, რანგების მეორე წყვილის ($N_x=2$ და $N_y=2$) შემდეგ $n-2$ და ა.შ. მაშასადამე სულ გვექნება:

$$P_{\max} = (n-1) + (n-2) + \dots + 3 + 2 + 1 = \frac{n(n-1)}{2}$$

იმ შემთხვევაში, როცა y -ის რანგებს აქვს x -ის რანგების ტენდენციის საწინააღმდეგო ტენდენცია, უნდა ავიღოთ აბსოლუტური მნიშვნელობით:

$$|P_{\max}| = \frac{n(n-1)}{2}$$

კენდელმა კორელაციის რანგების კოეფიციენტი შეიმუშავა $S=P+Q$ -ს P ან Q -ს მაქსიმალურ შესაძლებელ რიცხვთან შეფარდებით. კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$R = \frac{S}{\frac{n(n-1)}{2}} = \frac{2S}{n(n-1)}$$

ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია ნაჩვენებია 3.12 ცხრილში.

ცხრილი 3.12 ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

რანგები		ბალანსის გაანგარიშება	
N_x	N_y	“+”	“-“
1	1	13	0
2	2	12	0
3	3	11	0
4	4	10	0
5	5	9	0
6	8	6	2
7	6	7	0
8	7	6	0
9	9	5	0
10	11	3	1
11	10	3	0
12	12	2	0
13	13	1	0
14	14	-	-
$n=14$		$P=88$	$Q=-3$

ბალების გაანგარიშება “+” და “-“ ნიშნების მიხედვით შემდგენიარად ხდება: პირველ სტრიქონში ($N_x=1, N_y=1$) აღმოჩნდა, რომ 1-ზე გადაჭარბების 13 შემთხვევაა და არცერთი ერთზე ნაკლები შემთხვევა სვეტის რანგებიდან. ამიტომ “+” ნიშანია 13 ანუ 13 ბალი, ხოლო მინუსი ნიშანი 0. ასეთივე მდგომარეობაა მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტრიქონებში. მეექვსე სტრიქონში 8-ზე მეტია 6 რანგი, ხოლო ნაკლები 2. ამიტომ მეექვსე სტრიქონში გვაქვს “+” 6, ხოლო “-“ 2 და ა.შ.

$$\text{მაშასადამე, } P=88, Q=-3. \text{ აქედან } S=P+Q=88+(-3)=85$$

ამდენად, კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და შრომის მწარმოებლურობას შორის უდრის:

$$R = \frac{2S}{n(n-1)} = \frac{2 \cdot 85}{14(14-1)} = \frac{170}{182} = 0.93$$

ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია ნაჩვენებია 3.13 ცხრილში.

ცხრილი 3.13 ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ინფორმაცია

რანგები		ბალანსის გაანგარიშება	
N_x	N_y	“+”	“-“
1	5	9	4
2	6	8	4
3	2	10	1
4	7	7	3
5	1	9	0
6	4	7	1
7	9	5	2
8	8	5	1
9	10	4	1
10	11	3	1
11	12	2	1
12	3	2	0
13	13	1	0
14	14	-	-
$n=14$		$P=72$	$Q=-19$

მაშასადამე, $P=72$, $Q=-19$. აქედან $S=P+Q=72+(-19)=53$

ამდენად, კორელაციის კენდელის რანგების კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალსა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციებს შორის უდრის:

$$R = \frac{2S}{n(n-1)} = \frac{2 \cdot 53}{14(14-1)} = \frac{106}{182} = 0.58$$

თუ ვარიანტების მნიშვნელობა მეორდება რამდენჯერმე და მაშასადამე წარმოიქმნება ერთი და იგივე რანგები, მაშინ კენდელის კორელაციის რანგების კოეფიციენტი შემდეგი სახით გამოისახება:

$$R = \frac{S}{\sqrt{\left[\frac{n(n-1)}{2} - K_x \right] \left[\frac{n(n-1)}{2} - K_y \right]}}$$

სადაც, $K_x = K_y = \frac{\sum t(t-1)}{2}$ ბალების რიცხვია, რომლითაც კორექტირდება

თითოეულ მწკრივში განმეორებული t რანგების ხარჯზე.

კორელაციის რანგების კოეფიციენტი კორელაციის წრფივ კოეფიციენტთან შედარებით ნაკლებ საიმედოა, მაგრამ გაანგარიშებათა სიმარტივის გამო მას შედარებით ფართო გამოყენება აქვს. აქვე შევნიშნავთ, რომ კორელაციის რანგების კოეფიციენტი სხვა არაფერია, თუ არა კორელაციის წრფივი კოეფიციენტი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის გასაანგარიშებელ ფორმულაში x და y -ის ნაცვლად რანგები N_x და N_y გამოიყენება.

პირსონის თეორიული კორელაციური შეფარდება წარმოადგენს კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის უნივერსალურ მაჩვენებელს, რომელიც შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ როგორც წყვილადი, ისე მრავლობითი, აგრეთვე წრფივი და არაწრფივი კორელაციური კავშირითიერთობის კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზსა და პროგნოზირებაში.

პირსონის თეორიული კორელაციური შეფარდება წარმოადგენს კვადრატულ ფესვს დეტერმინაციის თეორიული კოეფიციენტიდან. აქვე შევნიშნავთ, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს, საშუალო მოვლენის (y) საერთო

ცვალებადობის (დისპერსიის) რა ნაწილია გამოწვეული მოდელში გათვალისწინებული ფაქტორის (ან ფაქტორების) ცვალებადობით. თავისთავად დეტერმინაციის თეორიული კოეფიციენტი დგინდება ნებისმიერი ფუნქციის (წრფივი და არაწრფივი) საშუალო მოვლენების დონეთა მოსწორებით, ანუ ისეთი თეორიული დონეების გაანგარიშებით, რომლებიც უმცირეს კვადრატთა მეთოდით საერთო ჯამში მინიმალური მნიშვნელობით იქნება განსხვავებული ემპირიული დონეებისგან. კოეფიციენტის სიდიდე განისაზღვრება საშუალო მოვლენის თეორიული დონეების დისპერსიის $\frac{\sum(\bar{y}-\bar{y})^2}{n}$ შეფარდებით ემპირიული დონეების დისპერსიასთან $\frac{\sum(y-\bar{y})^2}{n}$. ამდენად, თეორიული დეტერმინაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$K = \frac{\sum(\bar{y}-\bar{y})^2}{n} : \frac{\sum(y-\bar{y})^2}{n} = \frac{\sum(\bar{y}-\bar{y})^2}{\sum(y-\bar{y})^2}$$

დეტერმინაციის თეორიული კოეფიციენტიდან კვადრატული ფესვის ამოღებით კი განისაზღვრება პირსონის თეორიული კორელაციური შეფარდება:

$$\eta = \sqrt{\frac{\sum(\bar{y}-\bar{y})^2}{\sum(y-\bar{y})^2}}$$

პირსონის თეორიულ კორელაციურ შეფარდებას ზოგჯერ უწოდებენ კორელაციის ინდექსს.

მრავლობითი კორელაციური კავშირების სიმჭიდროვის ხარისხის გასაზომად სტატისტიკაში გამოიყენება: მრავლობითი კორელაციის საერთო კოეფიციენტი, მრავლობითი კორელაციის დეტერმინაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციისა და კორელაციის კერძო კოეფიციენტები და ა.შ.

ჩვენს მიერ უკვე განხილული პირსონის თეორიული კორელაციური შეფარდება, რომელიც წარმოადგენს კვადრატულ ფესვს დეტერმინაციის კოეფიციენტიდან, თანაბარი ძალით გამოიყენება როგორც წყვილად, ისე მრავლობითი კორელაციის ანალიზის მიზნებისათვის.

დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$R^2_{y/x_1, x_2, \dots, x_n} = \frac{\delta^2}{\sigma^2}$$

სადაც δ^2 მრავლობითი კორელაციის რეგრესიული განტოლების საფუძველზე გაანგარიშებული თეორიული დონეების დისპერსიაა,

σ^2 საერთო დისპერსიაა, რომელიც გაიანგარიშება ემპირიული (ფაქტობრივი) დონეების საფუძველზე.

წრფივი კორელაციური კავშირის შემთხვევაში თუ გამოვიყენებთ წყვილად კორელაციურ კოეფიციენტებს, დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტი შეგვიძლია შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$R^2_{y/x_1, x_2, \dots, x_n} = \frac{a_1 z_{yx_1} \sigma_{x_1} + a_2 z_{yx_2} \sigma_{x_2} + \dots + a_n z_{yx_n} \sigma_{x_n}}{\sigma_y}$$

აქედან გამომდინარე, მრავლობითი კორელაციის საერთო კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც კვადრატული ფესვი დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტიდან შემდეგი ფორმულით:

$$R_{y/x_1, x_2, \dots, x_n} = \sqrt{\frac{a_1 z_{yx_1} \sigma_{x_1} + a_2 z_{yx_2} \sigma_{x_2} + \dots + a_n z_{yx_n} \sigma_{x_n}}{\sigma_y}}$$

სადაც a_1, a_2, \dots, a_n მრავლობითი რეგრესიული განტოლების პარამეტრებია;

$Z_{yx_1}, Z_{yx_2}, \dots, Z_{yx_n}$ წყვილადი კორელაციის კოეფიციენტებია, რომლებიც გვიჩვენებენ y საშედეგო მოვლენის კორელაციურ ურთიერთკავშირს შესაბამისად x_1, x_2, \dots, x_n ფაქტორებთან ცალ-ცალკე;

$\sigma_{x_1}, \sigma_{x_2}, \dots, \sigma_{x_n}$ შესაბამისად x_1, x_2, \dots, x_n მიზეზობრივი ფაქტორების საშუალო კვადრატული გადახრა;

σ_y – საშედეგო მოვლენის საშუალო კვადრატული გადახრა.

ჩვენს მიერ წინა ქვეთავში განხილული ეროვნული შემოსავლის მანვენებელზე მოქმედი მრავალფაქტორიანი (მოგება და შერეული შემოსავალი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასი) კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისას სტატისტიკური პროგრამა SPSS დახმარებით გაანგარიშებული დეტერმინაციის

კოეფიციენტი შეადგენს 0.989, ხოლო კორელაციის კოეფიციენტი – 0.995. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის ზრდა 98 %-ით გამოწვეულია მოდელში ჩართული ფაქტორების გავლენით, ხოლო ეროვნულ შემოსავალსა და მისი ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის კავშირის მაღალი კოეფიციენტი (0.995) მიუთითებს ურთიერთკავშირის ძალიან მჭიდრო ხარისხზე.

მრავლობითი კორელაციის საერთო კოეფიციენტი განსაზღვრავს შერჩეული ფაქტორების საშუალო ნიშნის განვითარებაზე ზემოქმედების სიმჭიდროვის ხარისხს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საშუალო ნიშანზე თითოეული ფაქტორის ზემოქმედების დადგენა სხვა ფაქტორების უცვლელობის, ანუ თითოეული ფაქტორის სხვა ფაქტორებთან კავშირის ელიმინირების პირობებში. ამისათვის სტატისტიკაში გამოიყენება დეტერმინაციისა და კორელაციის კერძო კოეფიციენტები.

დეტერმინაციის კერძო კოეფიციენტი გაიანგარიშება დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტების გამოყენებით:

$$r_{yk(x_1, x_2, \dots, x_{n-1})}^2 = \frac{R_{y/x_1, x_2, \dots, x_n}^2 - R_{y/x_1, x_2, \dots, x_{n-1}}^2}{1 - R_{y/x_1, x_2, \dots, x_{n-1}}^2}$$

სადაც, $r_{yk(x_1, x_2, \dots, x_{n-1})}^2$ k-ური ფაქტორის საშუალო მოვლენაზე ზემოქმედების კოეფიციენტია ამ ფაქტორის სხვა ფაქტორებთან ურთიერთკავშირის ელიმინირების პირობებში;

$R_{y/x_1, x_2, \dots, x_n}^2$ დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტია, რომელიც ასახავს საშუალო ნიშნის განვითარებაზე ანუ მოდელში ჩართული ყველა ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების ხარისხს;

$R_{y/x_1, x_2, \dots, x_{n-1}}^2$ დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტია, რომელიც ასახავს ყველა ფაქტორის გავლენას საშუალო მოვლენის განვითარებაზე გარდა ერთი k-ური ფაქტორისა, რომლის ზემოქმედებასაც ჩვენ ვზომავთ.

გაანგარიშებების გამარტივების მიზნით მრავლობითი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გასაზომად გამოიყენება ინგლისელი სტატისტიკოსების მ. კენდელისა და ბ. სმიტის რანგების კონკორდაციის კოეფიციენტი, ამ კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$K = \frac{12S}{m^2(n^3 - n)}$$

ეს ფორმულა გამოსაყენებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თითოეული ნიშნის რანგები არ მეორდება რანჟირებულ მწკრივში. ხოლო თუ რანგები მეორდება, მაშინ გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$K = \frac{12S}{m^2(n^3 - n) - m \sum_1^m (t^3 - t)}$$

სადაც S ნიშანთა მიხედვით რანგების ჯამის მისი საშუალო მნიშვნელობიდან (T) გადახრების კვადრატების ჯამია;

m რანჟირებულ ნიშანთა რიცხვია;

n დაკვირვებათა რიცხვი;

t – თითოეული ნიშნის მიხედვით ერთნაირი რანგების რიცხვი.

კორელაციის კოეფიციენტების ანალიზისათვის გავრცელებულია ჩედლოკის კორელაციური კავშირის სიძლიერის კოეფიციენტის გამოყენების პრაქტიკა. ამის შესაბამისად, თუ კორელაციის კოეფიციენტი 0.1-0.3 შუალედშია, მაშინ ასეთი კავშირი არის სუსტი (თითქმის არ არსებობს), 0.3-0.5 – ზომიერი კავშირია, 0.5-0.7 – შესამჩნევი, 0.7-0.9 – მაღალი, 0.9-0.99 – ძალიან მაღალი.

ჩვენს მიერ განხილული წყვილადი და მრავლობითი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა თეორიული ანალიზი და მათი პრაქტიკული გამოყენება ეროვნულ შემოსავალსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია. ის გვეხმარება კავშირის ხარისხის დადგენაში. მრავალფაქტორული ანალიზისას კი – რეგრესიის მოდელში ჩასართავი არსებითი ფაქტორების გამოვლენაში.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხების კვლევის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი სახის დასკვნები და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები:

1. ეროვნული შემოსავალი წარმოების ფაქტორთა მფლობელების მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალია ეკონომიკაში. ესაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი.

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლა დღეისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა, განაწილება-გადანაწილებისა და საბოლოო გამოყენების კანონზომიერებანი ასახავენ ეკონომიკური სფეროს ძირეულ კანონზომიერებებს და თვისობრივად განასხვავებენ ეკონომიკურ ეპოქებს.

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის ძირითად მიზანს მეცნიერულად დასაბუთებული, გააზრებული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება და სათანადო, სანდო შედეგების მიღება შეადგენს. მისი სტატისტიკური შესწავლის ამოცანები კი შემდეგში მდგომარეობს:

ა) ეროვნული შემოსავლის მოცულობის განსაზღვრა. საკითხი ეხება ამ მაჩვენებლის გაანგარიშებას სხვადასხვა მეთოდოლოგიით. არსებული მეთოდების სრულყოფას;

ბ) ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შესწავლა;

გ) ეროვნული შემოსავლის დინამიკის დახასიათება. უმთავრესია საკითხი მაჩვენებელთა ურთიერთშესადარისობის შესახებ. ასევე დინამიკის შემადგენელი კომპონენტების ანალიზი;

დ) ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებანი;

ე) ეროვნული შემოსავლის ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის ზომის დადგენა.

2. 1922-1923 წწ საქართველოს ეროვნული შემოსავლის პირველი გაანგარიშებანი 1924 და 1925 წლებში ჩატარდა ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის მიერ. გაანგარიშებანი ეფუძნება წარმოების მეთოდს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაანგარიშებულ იქნა ცალკეულ წარმოების დარგებში შექმნილი წმინდა პროდუქტის შეჯამებით.

1922-1923 წლისათვის საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს იმდენად, რამდენადაც ეს საერთოდ პირველი ცდაა და ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკის ამ განმაზოგადებელ მაჩვენებელს. ის ასახავს იმ ბაზისს, იმ ეკონომიკურ მემკვიდრეობას, რომლითაც დაიწყო, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული შემოსავლის შემდგომ გაანგარიშებებს.

1922-1923 წლების გამოკვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, დინამიკური ჯაჭვური ჩასმის მეთოდის (აღნიშნული მეთოდი ემყარებოდა სამეურნეო მოვლენათა შორის არსებული შინაგანი ურთიერთკავშირის გათვალისწინებას, ერთი მოვლენის აღრიცხული ცვლილების ცოდნაზე დაყრდნობით მეორე უცნობი, მაგრამ პირველზე დამოკიდებული მოვლენის მიახლოებით გაზომვას.) გამოყენებით, მიახლოებითი სახით მოხდა საქართველოს ეროვნული შემოსავლის მოცულობისა და სტრუქტურის დადგენა 1913 წლისათვის.

საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებამდე ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშებოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან მატერიალური დანახარჯების ღირებულების გამოკლებით. საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი იქმნებოდა მატერიალური წარმოების სფეროში. ე.ი. ეფუძნებოდა წარმოების განსაზღვრების „ვიწრო“ კონცეფციას.

ეროვნული შემოსავლის მოცულობის დასადგენად გამოიყენებოდა საწარმოო, განაწილებითი და საბოლოო გამოყენების მეთოდები. საწარმოო მეთოდი გულისხმობდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას საერთო პროდუქციიდან დახარჯული წარმოების საშუალებების ღირებულების გამოკლებით. განაწილებითი მეთოდი წარმოადგენდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას პირველადი შემოსავლების (ხელფასი, შემოსავლები პირადი დამხმარე მეურნეობიდან, ზედმეტი პროდუქტი – მოგება, ბრუნვის გადასახადი, დაგროვება ნატურალურ ფორმაში) შეჯამების გზით. შემოსავლების საბოლოო გამოყენების მეთოდი კი გულისხმობდა დაგროვებისა და არასაწარმოო მოხმარების ფონდების შეჯამებას.

3. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების თანამედროვე მეთოდებია წარმოების, შემოსავლებისა და დანახარჯების მეთოდები, რომლებიც ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის სტანდარტულ მეთოდოლოგიას. ნაშრომში მოტანილია სამივე სახის მეთოდით ეროვნული შემოსავლის პრაქტიკული გაანგარიშებანი.

წარმოების მეთოდით ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი. თუ ამ უკანასკნელს დავუმატებთ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებულ პირველად შემოსავლებს და გამოვაკლებთ დანარჩენი მსოფლიოსადმი გაცემულ პირველად შემოსავლებს, მივიღებთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს. აქედან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით ვღებულობთ წმინდა ეროვნულ შემოსავალს. მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება როგორც ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ან სექტორების მიხედვით დამატებული ღირებულების შეჯამებით. დამატებული ღირებულება ასახავს წარმოების შედეგად ახლად შექმნილ ღირებულებას და განისაზღვრება როგორც გამოშვება შუალედური მოხმარების გამორიცხვით.

შემოსავლების მეთოდით ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშება როგორც ყველა ინსტიტუციონალური ერთეული-რეზიდენტის მიერ წარმოების ფაქტორების მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ერთობლივი შემოსავლის – შრომის ანაზღაურების, რენტის, მოგების, პროცენტის, გადასახადების – ჯამის სახით.

დანახარჯების მეთოდით ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშება როგორც საბოლოო მოხმარების, მთლიანი კაპიტალის ფორმირების, წმინდა ექსპორტისა (ექსპორტი იმპორტის გამოკლებით) და საგარეო ოპერაციების პირველადი შემოსავლების საღდოს სიდიდეთა შეჯამებით.

4. ეკონომიკის ფუნქციონალურ ჭრილში განხილვისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობამ წარმოშვა საჭიროება ეროვნული შემოსავლის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით გაანგარიშების შესახებ. შესაბამისი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მონაცემები იმის შესახებ, თუ პირველადი შემოსავლების რა ნაწილი იქმნება სამთავრობო სექტორში, საფინანსო დაწესებულებებში, ბიზნეს სექტორში, შინამეურნეობებში და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ. თუმცა, ფაქტია, რომ საქართველოში ასეთი გაანგარიშებების პრაქტიკა ჯერაც არ დამკვიდრებულა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის საწყისი პერიოდის შემდეგ (1996 წლიდან) სექტორული ანგარიშები არ შედგენილა. ნაშრომში ჩვენს ხელთ არსებული შეზღუდული ინფორმაციული რესურსების საფუძველზე 2009 წლის მონაცემებზე დაყრდნობით განვახორციელეთ სექტორული გაანგარიშებანი.

როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის აგრეგატული მაჩვენებელი მიიღება პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშიდან, რომელიც რიგით

მესამე ანგარიშია ინტეგრირებულ ეროვნულ ანგარიშებში. თუმცა, ანგარიშების შედგენის სპეციფიკიდან გამომდინარე (თითოეული ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი იმავდროულად მომდევნო ანგარიშის რესურსების მხარეს აისახება), სექტორული ანგარიშების შედგენა წარმოების ანგარიშით დავიწყეთ და შემდგომ შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშებით გავაგრძელეთ.

წარმოების ანგარიშის სექტორული ჭრილით შესადგენად გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული დეტალური ინფორმაცია გამოვიყენეთ. მოვახდინეთ წარმოების ჯვარედინი კლასიფიკაცია, რის შედეგადაც თითოეული 45 სახის საქმიანობის მიხედვით დეტალიზებული შედეგი (გამოშვება) შეეუსაბამეთ შესაბამის ინსტიტუციურ სექტორს.

შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შუალედური მოხმარების წილები მთლიან გამოშვებაში.

დამატებული ღირებულება კი გავიანგარიშეთ დამაბალანსებელი მუხლის სახით, როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

პროდუქციის გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი მოდის არაფინანსური კორპორაციების სექტორზე, შემდეგ შინამეურნეობებისა და სამთავრობო სექტორებზე, ხოლო უმცირესი წილი – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) სექტორზე.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში შევადგინეთ შემდეგი მეთოდოლოგიით: სექტორული ჭრილით წარმოების ანგარიშიდან დამატებული ღირებულების დამაბალანსებელი მუხლი გადავიტანეთ რესურსების მხარეს; გამოყენების მხარეს შრომის ანაზღაურების გასანაწილებლად სექტორების მიხედვით გამოვიყენეთ რამდენიმე ინფორმაციული წყარო: სამთავრობო სექტორში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური საბიუჯეტო მონაცემები; დანარჩენი სექტორების მიხედვით შრომის ანაზღაურება გავანაწილეთ შინამეურნეობების გამოკვლევიდან მიღებული ხელფასების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე; მთლიანი შერეული შემოსავალი (ესაა შინამეურნეობის წევრების კუთვნილი არაკორპორირებული საწარმოს შემოსავლები. სახელწოდება “შერეული” მან მიიღო იმის გამო, რომ მოიცავს როგორც არაკორპორირებული საწარმოს მესაკუთრის მოგებას, ასევე მესაკუთრისვე მიერ ან შინამეურნეობების

სხვა რომელიმე წევრის მიერ საწარმოში უსასყიდლოდ შესრულებული შრომის ანაზრაურებას) მთლიანად ეფუძნება შინამეურნეობების კვლევას; მთლიანი საოპერაციო მოგება კი გაანგარიშებულ იქნა დამაბალანსებელი მუხლის სახით.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის სექტორული ჭრილით შედგენისას გამოვლინდა, რომ ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის შემადგენელი პირველადი შემოსავლებიდან ყველაზე დიდია შინამეურნეობების სექტორის, შემდეგ კი – არაფინანსური კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორების წილი. ეს ლოგიკურია, რამდენადაც შინამეურნეობები შერეული შემოსავლისა და შრომის ანაზრაურების მიმღები ინსტიტუციური ერთეულებია. არაფინანსური კორპორაციების სექტორზე მოდის მოგების უდიდესი წილი მთლიანად ეკონომიკაში, სამთავრობო სექტორი კი გადასახადების მიმღები ინსტიტუციური სექტორია.

2009 წლის მთლიან ეროვნულ შემოსავალში შინამეურნეობების პირველადი შემოსავლების წილი 48.5 %-ს შეადგენდა, არაფინანსური კორპორაციების სექტორისა – 26.6 %-ს, სამთავრობო სექტორისა კი – 25.2 %-ს.

5. ეროვნული შემოსავლის შეფასების უმთავრესი მოთხოვნაა გაანგარიშებებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცულობით გათვალისწინება. ამ მიზნის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე. წ. “დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის” ადექვატური გაზომვა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასება საქართველოში ხდება მთლიანი გამოშვების გაანგარიშების ეტაპზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებებით, საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში დაუკვირვებადი გამოშვების წილი ბოლო წლებში თითქმის მეოთხედს აღწევდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები. დაუკვირვებადი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2000 წელს შეადგენდა 38.0 %-ს, 2003 წელს – 36.8 %-ს, 2004 წელს – 32.0 %-ს, 2005 წელს – 30.3 %-ს, 2006 წელს – 26.1 %-ს, 2007 წელს – 25.0 %-ს, 2008 წელს – 24.9 %-ს, 2009 წელს – 24.4 %-ს.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისათვის გამოყენებულია როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი და კომბინირებული მეთოდები.

რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევით არასრული მოცვის გამო დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების ძირითად მეთოდად გამოიყენება შინამეურნეობების გამოკვლევისა და რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევის დასაქმების მონაცემთა შედარებითი ანალიზი. უფრო კონკრეტულად: ხდება საქმიანობის კონკრეტული სახეების მიხედვით რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევების არეში მოხვედრილ საწარმოებში სხვადასხვა ტიპის (დაქირავებით, მეპატრონის საქმიანობის) დასაქმების მაჩვენებლების შედარება შინამეურნეობების გამოკვლევიდან იგივე პერიოდისათვის მიღებულ ამ სფეროში დასაქმების მონაცემებთან. შინამეურნეობების კვლევიდან მიღებული დასაქმებულთა რიცხვი იყოფა საწარმოების მიერ დეკლარირებულ დასაქმების მაჩვენებლის რიცხვზე. შედეგად ვიღებთ არასრული მოცვის კოეფიციენტს, რომელიც ყველა დარგისათვის ერთზე მეტია, რადგან საწარმოების მიერ დეკლარირებული დასაქმების მაჩვენებელი ყოველთვის ნაკლებია შინამეურნეობების კვლევიდან მიღებულ მაჩვენებელზე. ეს მეთოდი შედარებით ნაკლები სიზუსტისაა. საქმე იმაშია, რომ დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა ცვალებადია, ძირითადად ზრდის მიმართულებით და არ არსებობს წრფივი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება დასაქმებულთა რაოდენობასა და მთლიანი გამოშვების მოცულობას შორის. აქედან გამომდინარე აუცილებელია დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა შედარებით სრულყოფილი მეთოდით ზოგიერთი სპეციალური ჩაღრმავებული გამოკვლევის საშუალებით.

ცხადია, ეს შესწორება არ მოიცავს დაუკვირვებადი ეკონომიკის მეორე ნაწილს – ინფორმაციის არასრულად და სტრუქტურულად დამახინჯებული სახით დეკლარირებას.

დაუკვირვებადი ეკონომიკის ამ მეორე კომპონენტის – ინფორმაციის არასრულად და სტრუქტურულად დამახინჯებული სახით დეკლარირების დროს – პროდუქციის, შემოსავლების, ხარჯების და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების რეალური მოცულობის შეფასებისა და ფარული ნაწილის განსაზღვრისათვის უმთავრესად საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა და მოხმარების ბალანსის შედგენის მეთოდი გამოიყენება.

ამ მეთოდით ხდება სამეწარმეო სექტორიდან, შინამეურნეობების კვლევიდან და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე კონკრეტული პროდუქტების მიწოდებისა და მოხმარების შედარება, დისბალანსების არსებობის

მიზეზების ანალიზი, შესწორებების მეშვეობით ფარული ნაწილის განსაზღვრა და მიწოდებისა და მოხმარების დაბალანსება.

დაუკვირვებადი ეკონომიკის დაზუსტებული შეფასებების მისაღებად სპეციალური კვლევების ჩატარება საქართველოს პრაქტიკაში ერთ-ერთი ნაყოფიერი მიმართულებაა. ასეთი კვლევების დაგეგმვა და ჩატარება ხორციელდება იმ კონკრეტულ სფეროებში, სადაც დაბალია მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემთა ხარისხი, ან საერთოდ არ არსებობს ასეთი მონაცემები, ან წინასწარი ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელია დაუკვირვებადი ეკონომიკის მაღალი დონე. სპეციალური კვლევის შედეგების გამოყენება ეროვნული ანგარიშების შედგენისას შესაძლებელია 3-5 წლიან პერიოდში. წლების მსვლელობასთან ერთად იგი კარგავს სიზუსტეს და საჭირო ხდება ახალი კვლევის ჩატარების აუცილებლობა. სასურველია დაუკვირვებადი ეკონომიკის კვლევა ჩატარდეს 3-5 წლის პერიოდულობით ქვეყნის ეკონომიკის საქმიანობის სახეების მიხედვით, რაც გარკვეულ ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული.

1995-2008 წლებში სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ჩატარდა სპეციალურად ორგანიზებულ სტატისტიკურ დაკვირვებათა მთელი სერია, რომელთა შედეგები წარმატებით გამოიყენებოდა და გამოიყენება დღესაც ეროვნულ ანგარიშებში.

6. ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა ანუ შემადგენლობა განვიხილოთ შემოსავლების სახეების, დანახარჯების ძირითადი კატეგორიების, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეების დახმარებით.

2009 წლის საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაში შემოსავლების კატეგორიების მიხედვით დომინირებს მთლიანი საოპერაციო მოგება, რომელზეც მოდის 38.0 %. ეროვნული შემოსავლის შემადგენელი სხვა სტრუქტურული კომპონენტების პროცენტული წილები კი შემდეგია: შრომის ანაზღაურება 29,6 %, მთლიანი შერეული შემოსავალი 18.9 %, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 15 %, პირველადი შემოსავლების საღდო დანარჩენი მსოფლიოდან 1.5 %.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის შედარება ორი ან მეტი თანმიმდევრული პერიოდისათვის საშუალებას იძლევა დავადგინოთ მის

შემადგენლობაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები, მათი მიმართულება და ტენდენცია.

ეროვნული შემოსავლის გრძელვადიანი დინამიკის (1990-2009 წწ.) ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი. მაშინ როცა განვითარებული ქვეყნების შემოსავლების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურებაზე მოდის უდიდესი ნაწილი.

7. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის ქმნიან დინამიკურ მწკრივებს, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ქვეყნის შემოსავლების სიდიდე გრძელვადიან პერიოდში, გავაკეთოთ შესაბამისი პროგნოზები, ასევე შევისწავლოთ და აღმოვფხვრაოთ შიდაწლიური ცვლილებები და მასზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორები. ეროვნული შემოსავლის დინამიკაში განხილვა და გაანალიზება საშუალებას მისცემს სამთავრობო ორგანოებს სათანადო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაში.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკა 1956 წლიდანაა ხელმისაწვდომი. თუმცა ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული წლიური მაჩვენებლების მწკრივების აგება 1990 წლიდან დაიწყო. კვარტალური ეროვნული შემოსავლის დინამიკა კი 1996 წლიდან იღებს სათავეს.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის ანალიზისთვის აუცილებელია მისი მუდმივ ფასებში გადაყვანა, რათა გამოირიცხოს ფასების ცვლილების გავლენა და რეალური სურათი მივიღოთ ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე.

ეროვნული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადაანგარიშება საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში დღეისათვის არ ხდება. ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად განგვეხორციელებინა აღნიშნული ამოცანა. თავდაპირველად მოვახდინეთ მთლიანი შიდა პროდუქტის მუდმივ ფასებში გადაანგარიშება. შემდეგ საზგვარგარეთიდან მიღებული/გადახდილი პირველადი შემოსავლების დეფლირება განვახორციელეთ, რისთვისაც გამოვიყენეთ მშპ-ს დეფლატორი. მუდმივ ფასებში გადაანგარიშებული მშპ-სა და პირველადი შემოსავლების სადღოს მაჩვენებელთა შეჯამებით მივიღეთ ეროვნული შემოსავალი მუდმივ ფასებში. 1990-2009 წლების მთლიანი ეროვნული შემოსავლის გადაანგარიშება მოვახდინეთ 1990 წლის, 1996 წლის, 2000 და 2003 წლის მუდმივ ფასებში ცალ-ცალკე. თითოეულ საბაზისო

წელს აქვს თავისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საერთაშორისო თვალსაზრისით. კერძოდ, 1990 წელი იყო ეკონომიკური ციკლის დაღმავლობის ფაზა, 1996 წლიდან დაიწყო აღმავლობა ეკონომიკაში, 2000 წელი საერთაშორისო შესადარისობისთვის და 2003 წელი ვარდების რევოლუციის წელი.

ეროვნული შემოსავლის დინამიკის ანალიზი დინამიკის შემადგენელი კომპონენტების ანალიზით განვახორციელებთ.

1990-2009 წლებისა და 1996-2009 წლების ეროვნული შემოსავლის ტრენდის (ზრდის ტენდენციის) გამოვლენისთვის ანალიზური მოსწორების მეთოდი გამოვიყენებთ. მოსწორების შედეგად მიღებული განტოლების საფუძველზე კი განვსაზღვრეთ ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო მნიშვნელობანი.

2003-2010 წლების ეროვნული შემოსავლის კვარტალური მაჩვენებლების სეზონური შესწორებები განვახორციელებთ პროგრამა Demetra 2.0-ის დახმარებით TRAMO-SEATS მეთოდით.

8. საერთაშორისო სტატისტიკური შედარებანი დიდი ხანია იქცევენ საზოგადოების და სპეციალისტთა ყურადღებას. თუმცა, ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია დღეს, როდესაც გლობალიზაციის პროცესები ასე გამძაფრებულია. საერთაშორისო შედარებებით წარმოდგენა გვექმნება იმ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებზე, რაც მიმდინარეობს მსოფლიოსა და მის ცალკეულ ნაწილებში.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის საერთაშორისო შედარებანი განვახორციელებთ ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტითა და მსოფლიო ბანკის ატლასის მეთოდით გაანგარიშებული სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლებთან.

ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლით მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის წლების მანძილზე ლიდერობს ლიხტენშტეინი. 1990 წელს აღნიშნული ქვეყნის მიხედვით აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 42690 აშშ დოლარი, 1992 წელს – 51520 აშშ დოლარი, 2000 წელს – 79640 აშშ დოლარი, 2005 წელს – 92 720 აშშ დოლარი, 2008 წელს კი – 97990 აშშ. დოლარი (2008 წლისათვის რანჟირება მიახლოებითაა მაჩვენებლის ხელმიუწვდომლობის გამო). ლიხტენშტეინის შემდეგ წლების მანძილზე მეორე და მესამე ადგილს ინაწილებდნენ შვეიცარია და ლუქსემბურგი. თუ მოვახდენთ ქვეყნების რანჟირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით ერთ სულზე, პირველი, მეორე და მესამე ადგილების

განაწილება ქვეყნების მიხედვით ასეთია: 1992 წელს – 1. ლიხტენშტეინი (51520 აშშ დოლარი), 2. შვეიცარია (36260 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (35090 აშშ დოლარი). 2000 წელს – 1. ლიხტენშტეინი (79640 აშშ დოლარი), 2. ლუქსემბურგი (43650 აშშ დოლარი), 3. ნორმანდიის კუნძულები (43010 აშშ დოლარი). 2003 წელს – 1. ლიხტენშტეინი (68790 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (44030 აშშ დოლარი), 3. ნორმანდიის კუნძულები (43950 აშშ დოლარი). 2005 წელს – 1. ლიხტენშტეინი (92720 აშშ დოლარი), 2. ლუქსემბურგი (69220 აშშ დოლარი), 3. ნორვეგია (62310 აშშ დოლარი). 2008 წელს – 1. ლიხტენშტეინი (97990 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (87340 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (69390 აშშ დოლარი). საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 1992 წელს ეკავა 118-ე ადგილი, 2000 წელს – 129-ე ადგილი, 2003 წელს – 129-ე ადგილი, 2005 წელს – 120-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 105-ე ადგილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეყანა, რომელსაც მაღალი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი აქვს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით შესაძლოა უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდეს ქვეყნებს შორის ანდა პირიქით. მაგალითად, ლიხტენშტეინს მთლიანი ეროვნული შემოსავლის სიდიდის მიხედვით 2000 წელს ქვეყნებს შორის რანჟირებაში ეკავა 131-ე ადგილი, 2003 წელს – 134-ე ადგილი, 2005 წელს – 135-ე ადგილი, მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებლის ერთ სულზე გაანგარიშებით იგი პირველ ადგილზეა.

მთლიანი ეროვნული შემოსავლის ატლასის მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით წლების მანძილზე ქვეყნებს შორის ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე და მესამე ადგილს კი იაპონია და გერმანია ინაწილებენ. საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 2000 წელს ეკავა 126-ე ადგილი, 2003 წელს – 124-ე ადგილი, 2005 წელს – 118-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 106-ე ადგილი.

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები აშშ დოლარებში ერთ სულზე, პირველი, მეორე და მესამე ადგილების განაწილება ქვეყნების მიხედვით ასეთია: 2000 წელს – 1. ლუქსემბურგი (46750 აშშ დოლარი), 2. ბრუნეის სასულთნო (42050 აშშ დოლარი), 3. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (41610 აშშ დოლარი). 2003 წელს – 1. ლუქსემბურგი (47060 აშშ დოლარი), 2. ბრუნეის სასულთნო (46100 აშშ დოლარი), 3. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (42160 აშშ დოლარი). 2005 წელს – 1. ლუქსემბურგი

(58570 აშშ დოლარი), 2. ნორვეგია (47630 აშშ დოლარი), 3. ბრუნეის სასულთნო (47470 აშშ დოლარი). 2008 წელს – 1. ნორვეგია (59250 აშშ დოლარი), 2. კუვეიტი (53480 აშშ დოლარი), 3. ლუქსემბურგი (52770 აშშ დოლარი). საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 2000 წელს ეკავა 115-ე ადგილი, 2003 წელს – 115-ე ადგილი, ხოლო 2005 წელს – 109-ე ადგილი, 2008 წელს – 96-ე ადგილი.

მთლიანი ეროვნული შემოსავლის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით წლების მანძილზე ქვეყნებს შორის ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე და მესამე ადგილს კი იაპონია და გერმანია ინაწილებენ. 2000 წლიდან მესამე ადგილს ჩინეთი იკავებს, 2003 წლიდან დღემდე კი მეორე და მესამე ადგილებს ჩინეთი და იაპონია ინაწილებენ. საქართველოს აღნიშნულ რანჟირებაში 2000 წელს ეკავა 112-ე ადგილი, 2003 წელს – 113-ე ადგილი, 2005 წელს – 112-ე ადგილი, ხოლო 2008 წელს – 104-ე ადგილი.

განვახორციელოთ ასევე ამიერკავკასიის ქვეყნების ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა შედარებანიც, რომლის მიხედვითაც ლიდერობს აზერბაიჯანი.

9. საქართველოს ეროვნული შემოსავლის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ზომა ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდით განვახორციელოთ.

ეროვნული შემოსავლის როგორც საშედეგო მოვლენაზე მოქმედი ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 1996-2009 წწ მონაცემებზე დაყრდნობით განვახორციელოთ. ფაქტორთა კომპლექსიდან გამოვყავით შრომის მწარმოებლურობა და მისი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე გავლენის ზომა განვსაზღვროთ. შრომის მწარმოებლურობის 1 ათასი ლარით გაზრდა წელიწადში გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 1999.16 მილიონი ლარით გაზრდას.

ეროვნული შემოსავლის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისთვის არანაკლებ საინტერესოა კაპიტალის ფაქტორის გავლენის რაოდენობრივი გაზომვა. ამისათვის განვახორციელოთ 1996-2009 წლების ძირითად კაპიტალში ინვესტიციებისა და ეროვნული შემოსავლის წყვილადი რეგრესიული ანალიზი. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია სრული სახით არ მოიპოვებოდა, რისთვისაც გავწიეთ გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, ინვესტიციების მუდმივ ფასებში გადასაყვანად დეფლირებისთვის გამოვიყენეთ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ძირითად

კაპიტალში ინვესტიციების 1 მილიონი ლარით გაზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 2.08 მილიონი ლარით გაზრდას.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი ფორმირდება ურთიერთგადაჯახებული და ურთიერთმოქმედი ფაქტორების მთელი კომპლექსის გავლენით, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ძალით და სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ წყვილადი რეგრესიის განტოლების ერთფაქტორიანი მოდელის აგება არასაკმარისია. თვით კორელაციური კავშირის სპეციფიკა მოითხოვს მოდელში სულ უფრო მეტი მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტორების ჩართვას.

ეროვნული შემოსავლის როგორც საშედგომ მოვლენაზე მოქმედი მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 1996-2008 წწ მონაცემებზე დაყრდნობით განვახორციელეთ. ფაქტორთა კომპლექსიდან ცალკე გამოვყავით მოგება და შერეული შემოსავალი, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასი, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე.

ეროვნული შემოსავლის მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია სრული სახით არ მოიპოვებოდა, რისთვისაც გავწიეთ გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასისა და მოგებისა და შერეული შემოსავლის მუდმივ ფასებში გადასაყვანად დეფლირებისთვის გამოვიყენეთ სამომხმარებლო ფასების ინდექსი. წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების დეფლირებისთვის კი გამოვიყენეთ შესაბამისი ზრდის ინდექსები.

ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასის 1 ლარით გაზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის 8.12 მილიონი ლარით გაზრდას; მოგებისა და შერეული შემოსავლის 1 მილიონი ლარით გაზრდა განაპირობებს ეროვნული შემოსავლის 0.69 მილიონი ლარით ზრდას, ხოლო წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების 1 მილიონი ლარით გაზრდა ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს 2.85 მილიონი ლარით გაზრდის.

10. ეროვნული შემოსავლის წყვილადი და მრავლობითი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლების თეორიული ანალიზი და მათი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა შესაბამისი გაანგარიშებებით ვაჩვენეთ.

ამდენად, ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდების სრულყოფა ინსტიტუციური სექტორების მიხედვით გაანგარიშების თვალსაზრისით და მიღებული შედეგები, მუდმივ ფასებში გადაანგარიშების მეთოდები და მიღებული შედეგები, დინამიკის ძირითადი კანონზომიერებანი და ზრდაზე მოქმედი

ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამთავრობო ორგანოებს შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად და გასატარებლად, ასევე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ამ საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 ანანიაშვილი იური, მაკროეკონომიკა, ნაწილი I, თბილისი 2002, 123 გვ.
- 2 ანგარიში საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ, ნაწილი I, ეკონომიკური ანალიზი და რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკისთვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2007, 55 გვ.
- 3 ანგარიში საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ, ნაწილი II, ეკონომიკური ანალიზი და რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკისთვის, დაუკვირვებადი ეკონომიკა მშენებლობის, რესტორნებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტის სფეროებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2007, 47 გვ.
- 4 აბრალავა ანზორ, გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001, 292 გვ.
- 5 არაბიძე ჯ. ვ., მაკროეკონომიკის თეორიის საკითხები, ნაწილი I, თბილისი 1994, 151 გვ.
- 6 ასლამაშიშვილი ნ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რა? როგორ? რა გზით? (სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა), თბილისი 1997, 20 გვ.
- 7 ბაკურაძე ა. სტატისტიკის თეორიის მოკლე კურსი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2001, 212 გვ.
- 8 ბასარია რ., მესხია ი., გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბილისი 1995, 324 გვ.
- 9 გაბიაშვილი ბ., სტატისტიკის თეორია, სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2005, 628 გვ.
- 10 გაბიაშვილი ბ. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი 2008, 421 გვ.

- 11 გაბიძაშვილი ბ. მათემატიკური სტატისტიკა ეკონომიკაში, თბილისი 2005, 389 გვ.
- 12 გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1994, 190 გვ.
- 13 გაბიძაშვილი ბ. ვირსალაძე ნ. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, მესამე შეესებულებული და გადამ შავებულებული გამოშვება, ქუთაისი 2003, 292 გვ.
- 14 გამყრელიძე გ. თეორიული სტატისტიკა, ნაწილი I, თბილისი 1947, 281 გვ.
- 15 გამყრელიძე გ. თეორიული სტატისტიკა, ნაწილი II, თბილისი 1949, 330 გვ.
- 16 გოგოსია რ. ა. საბაზრო ეკონომიკა, ლექციები, თბილისი, გამომცემლობა “საქპროფგამი” 1996, 161 გვ.
- 17 დაუკვირვებადი ეკონომიკა საქართველოში, ცნებები, გაზომვის მეთოდები, შეფასებები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2001, 40 გვ.
- 18 ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, გ. ადგიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, თბილისი, საგამომცემლო ფირმა “სიასლე” 1998, 580 გვ.
- 19 თვალჭრელიძე ა. კერვალიშვილი პ. გეგია დ. ესაკია ს. სანაძე ს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა, გამომცემლობა “სანი”, თბილისი 2002, 155 გვ.
- 20 თოქმაზიშვილი მიხეილ, შემოსავლების ფუნქციონალური განაწილების თეორია, ისტორია და მეთოდოლოგია, თბილისი 1994, 335 გვ.
- 21 კახნიაშვილი ჯ.ა. მაკროეკონომიკა, სახელმძღვანელო, ნაწილი I, თბილისი, საგამომცემლო ფირმა “სიასლე”, 1996, 496 გვ.
- 22 კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი 1995, 419 გვ.
- 23 კილასონია ვ. პ. მახვილაძე თ. დ. პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი, ძირითადი პრინციპები, ფუნქციები, მეთოდები, თბილისი, გამომცემლობა “მეცნიერება” 1995, 220 გვ.

- 24 კოზლოვი ვ.ს. ერლიხი ი. მ. დოლგუშევესკი ვ. გ. პოლუშინი პ. ი. სტატისტიკის ზოგადი თეორია, მესამე შევესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1987, 573 გვ.
- 25 კუჭუხიძე რ. გიგიაშვილი თ. სტატისტიკა, თბილისი 1993, 253 გვ.
- 26 ლაზრივეა ნ. მანია მ. მარი გ. მოსიძე ა. ტორონჯაძე ა. ტორონჯაძე თ. შერვაშიძე თ. ალბატობის ტეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, (ნ. ლაზრივეას რედაქციით), ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებელი “ESM–თბილისი”, ფონდი “ევრაზია”, თბილისი 2000, 661 გვ.
- 27 ლიპარტია ზ. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, თბილისი 2001, 327 გვ.
- 28 ლეიაშვილი პ. ეკონომიქსი, “მეცნიერება”, თბილისი 2003, 524 გვ.
- 29 მარშავა ქ. მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, თეორია, პრაქტიკა, ანალიზი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2008, 356 გვ.
- 30 მელქაძე ვ. “საქართველოს ეროვნული შემოსავლის პირველი გაანგარიშებანი”, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ჟურნალი მაცნე, 1964, №6, გვ. 3-31
- 31 მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები (XXI საუკუნის სახელმძრვანელო), გამომცემლობა “დიოგენე”, 2000, 1064 გვ.
- 32 მესხია ი. ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები, თბილისი 1978, 142 გვ.
- 33 პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005, 325 გვ.
- 34 პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი “პდპ”, 2002, 526 გვ.
- 35 პაპავა ვ. მიქიაშვილი ნ. კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა (მაკროეკონომიკური მოდელირება), თბილისი “მეცნიერება” 1999, 104 გვ.

- 36 პურის წარმოება ქალაქ თბილისში, თბილისში პურის წარმოების რეალური მაჩვენებლების დადგენისათვის ჩატარებული სპეციალური შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2001, 21 გვ.
- 37 სამარშრუტო მიკროავტობუსების სამეწარმეო საქმიანობა (შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები), თბილისი 1999, 28 გვ.
- 38 სამუელსონი პ. ნორდჰაუსი ვ. ეკონომიქსი (სახელმძღვანელო) ძირითადი შინაარსი, გამომცემლობა “ეკონომიკა და სამართალი”, თბილისი 1992, 237 გვ.
- 39 სართანია ტ., საერთაშორისო სტატისტიკა, თბილისი 1995, 116 გვ.
- 40 სატვირთო ავტომანქანების საქმიანობის შესასწავლად ჩატარებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2002, 29 გვ.
- 41 საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2009, 180 გვ.
- 42 საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2007, სტატისტიკური კრებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2008, 89 გვ.
- 43 საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004, სტატისტიკური კრებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2005, 172 გვ.
- 44 საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2003, სტატისტიკური კრებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2004, 163 გვ.
- 45 საქართველოს ეროვნული ანგარიშები, სტატისტიკური ბიულეტენი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 1997, 94 გვ.

- 46 საქართველოს სტატისტიკური წელიწდუელი 2001, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2002, 311 გვ.
- 47 სილამაზის სალონებისა საქმიანობის შესასწავლად ჩატარებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2002, 27 გვ.
- 48 სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტომი I, თბილისი 1938, 480 გვ.
- 49 სტატისტიკური წელიწდუელი 2009, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2009, 322 გვ.
- 50 ქ. თბილისში განლაგებული ბენზინგასამართი საწარმოების საქმიანობა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 1999, 42 გვ.
- 51 ქვაჩახია ი. მ. თეორიული ეკონომიკა, თბილისი 1996, 294 გვ.
- 52 ქვაჩახიაი. ქუტიძე რ. ეკონომიკური თეორია, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა “ნეკერი”, თბილისი 2003, 369 გვ.
- 53 შენგელია თ. ხ. ინოვაციური პროცესები, პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა, თბილისი. თსუ გამომცემლობა 1997, 205 გვ.
- 54 შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი, გამომცემლობა “ზედაშე”, თბილისი 1996, 32 გვ.
- 55 შიხაშვილი გ. საქართველოს კატოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ, გამომცემლობა “გეოკერია” 2004, 334 გვ.
- 56 ჩიქობავა მ. ეკონომიკური ზრდის ენდოგენური თეორიის ძირითადი კონცეფციის შესახებ, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, №3 მაისი-ივნისი, 2010, გვ. 31-41
- 57 ცუცქირიძე მ. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება საბაზრო ურთიერთობების პირობებში, თბილისი “მეცნიერება” 2004, 144 გვ.
- 58 ხმაღაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი 2008, 383 გვ.

- 59 ჯანსოთელი გ. საქართველოს ეკონომიკა, (ისტორია, რეალობა, პერსპექტივა), თბილისი 2007, 432 გვ.
- 60 W. H. Branson, Macroeconomic theory and policy, second edition, Indian edition 2004, 566 pp.
- 61 A. M. Gun, M. K. Gupta, B. Dasgupta, Fundamentals of Statistics, volume one, Kolkata 2005, 635 pp.
- 62 A. M. Gun, M. K. Gupta, B. Dasgupta, Fundamentals of Statistics, volume two, Kolkata 2005, 615 pp.
- 63 J. R. Hicks, Value and Capital, second edition, Oxford University Press 1946, 344 pp.
- 64 Handbook of National Accounting, Use of the System of National Accounts in Economies in Transition, United Nations, New York, 1996, 295 pp.
- 65 Handbook on Quarterly National Accounts, Eurostat, European Communities 1999, 437 pp.
- 66 Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Macroeconomics (principles, problems and policies), Printed in the united States of America, McGraw-Hill publishing company 1990, 569 pp.
- 67 R. D. Mason, D.A. Lind, Statistical Techniques in Business and Economics, Seventh edition, USA Boston 1990, 910 pp.
- 68 E. Mansfield, Statistics for business and economics, Methods and applications, Fourth edition, w.w. Norton&Company, New York, London, 1991, 807 pp.
- 69 James T. McClave, frank H. Dietrich, Statistics, Dallen publishing company, San Francisco, California 1979, 696 pp.
- 70 Measuring the non-observed economy, a handbook, OECD 2002, 249 pp
- 71 National Accounts: A practical Introduction (handbook of National Accounting), United Nations, New York 2004, 139 pp.
- 72 Non-observed economy in National Accounts, Survey of country practices, United Nations, 2008, 340 pp.
- 73 P. A. Samuelson, W. D. Nordhaus, Economics, eighteenth edition, new Delhi 2006, 800 pp.

- 74 Quarterly National Accounts manual, Concepts, data sources and compilation, By Adriaan M. Bloem, Robert J. Dippelsman and Nils O. Mehle, International Monetary Fund, Washington DC, 2001, 210 pp.
- 75 Quarterly National Accounts, sources and methods used by OECD member countries, OECD 1996, 139 pp.
- 76 System of National Accounts 1993, Commission of the European Communities-Eurostat, International Monetary Fund, Organisation for Economic Cooperation and Development, United Nations, World Bank, Copyright 1993, 757 pp.
- 77 A system approach to National Accounts Compilation, Handbook of National Accounting, United Nations, New York, 1999, 143 pp.
- 78 Understanding National Accounts, Francois Lequiller, Derek Blades, OECD 2006, 415 pp.
- 79 United Nations Economic Commission for Europe, Countries in figures, United Nations 2009, 151pp.
- 80 World Development Indicators 2008, Copyright 2008 by the International Bank for Reconstruction and Development/the World Bank, 420 pp.
- 81 Вопросы экономики, №9 2000 г., Р. Нуреев, Теорий развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала), стр. 136-157
- 82 В. М. Гусаров, Статистика, Москва 2003, 463 с.
- 83 Р. Дорнбуш, С. Фишер, Макроэкономика, Издательство Московского Университета, 1997, 784 с.
- 84 Ефимова М. Р., Рябцев В. М., Общая теория статистики, Москва, Финансы и статистика 1991, 304 с.
- 85 Колганов М. В. Национальный доход, Москва 1959, 374 с.
- 86 Курс социально-экономической статистики, под редакцией М. Г. Назарова, Финстатинформ, Москва, 2000, 771 с.
- 87 Петер фон дер Липпе, Экономическая статистика, статистические очерки, том 1, издано Федеральным Статистическим Управлением Германии, 1995, 629с.
- 88 Макконнелл К. Р., Брю С. Л., Экономикс, Т 1. Москва, Республика, 1992, 399 с.

- 89 Макконнелл К. Р., Брю С. Л., Экономикс, Т 2. Москва, Республика, 1993, 417 с.
- 90 В.А. Медведев, Национальный доход, Красноярск, 1989, 120с.
- 91 Методы статистического исследования динамики социально-экономических явлений, Издательство Саратовского университета, 1987, 120с.
- 92 Национальное счетоводство, под редакцией Г.Д. Кулагиной, Москва, Финансы и статистика 1997, 446 с.
- 93 Папава В.Г., Валовой Национальный продукт и национальный доход, проблемы реальные и надуманные, Мецниереба, 1992, 22с.
- 94 Рябушкин Б. Т. Национальные счета и экономические балансы, Москва, Финансы и статистика 2002, 254 с.
- 95 Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б., Макроэкономика, Глобальный подход, Москва, Издательство Дело, 1996, 848с.
- 96 В. Н. Салин, Е. Р. Шраковская, Социально-экономическая статистика, Москва 2004, 461 с.
- 97 М.Н. Сидоров, А.А. Федотов, Национальный доход, факторы роста, структура, методы прогнозирования, Москва, Экономика, 1984, 168с.
- 98 Система национальных счетов – инструмент макроэкономического анализа, Под редакцией Ю.Н. Иванова, Москва, Финстатинформ, 1996, 282с.
- 99 Система национальных счетов, статистические очерки, том 7, под редакцией Утца-Петера Райха и Рудольфа Янке, издано Федеральным Статистическим Управлением Германий, 1998, 251с.
- 100 Социально-экономическая статистика, Под редакцией И.И. Елисеевой, Издательство Ленинградского финансово-экономического института, 1991, 140с.
- 101 А. Я. Стадник, Н. П. Маслова, Социально-экономическая статистика, Издательство Ростовского Университета, 1990, 144 с.
- 102 Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, Москва, Дело, 1997, 864с.
- 103 Студенский П. Доход наций, Москва, Статистика 1968, 710с.
- 104 Р. Ф. Харрод, К теорий экономической динамики, Москва 1959, 211 с.

- 105 А.Б. Шульга, А.Д. Заруба, Национальный доход и экономический рост, Киев 1990, 144с.
- 106 Экономическая статистика, Под редакцией Ю.Н. Иванова, Москва 1998, 480с.
- 107 <http://www.geostat.ge/>
- 108 <http://onlinestatbook.com/index.htm/>
- 109 <http://www.statsoft.com/textbook/>
- 110 <http://www.statisticssolutions.com/>
- 111 <http://stattrek.com/AP-Statistics-1/Correlation.aspx?Tutorial=Stat>
- 112 <http://www.ecsocman.edu.ru/text/16116209/>
- 113 <http://data.worldbank.org/topic/economic-policy-and-external-debt>
- 114 http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics/search_database
- 115 <http://unstats.un.org/unsd/snaama/dnlist.asp>
- 116 <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/handbooks.asp>
- 117 <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2010/01/weodata/WEOApr2010all.xls>
- 118 [http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GNI_\(PPP\)_per_capita](http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GNI_(PPP)_per_capita)
- 119 <http://siteresources.worldbank.org/DATASTATISTICS/Resources/GNIPC.pdf>
- 120 <http://www.nationsonline.org/oneworld/countries-classification.htm>
- 121 [http://wapedia.mobi/en/List_of_countries_by_GNI_\(PPP\)_per_capita](http://wapedia.mobi/en/List_of_countries_by_GNI_(PPP)_per_capita)
- 122 <http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators/wdi-2010>
- 123 http://www.unescap.org/stat/meet/wnoe/waisq_oecd1.pdf

ცხრილი 1.

ეროვნული შემოსავალი დანახარჯების მეთოდით, 1990-2009

(მიმდინარე ფასებში, 1990-1993 წწ. მლნ. რუსული რუბლი,
1994-1995 წწ. მლრდ. კუპონი, 1996 წლიდან მლნ. ლარი)

	1990	1991	1992	1993	1994
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	11 963.0	14 846.0	171 966.0	30 670.0	1 905 120.0
შინამეურნეობები	9 141.0	10 942.0	134 993.0	27 708.0	1 607 731.0
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	311.0	311.0	15 469.0	1 749.0	178 377.0
სახელმწიფო მართვის ორგანოები	2 511.0	3 593.0	21 504.0	1 213.0	119 012.0
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	1 096.0	2 081.0	9 614.0	247.0	23 656.0
კოლექტიური მომსახურება	1 415.0	1 512.0	11 890.0	966.0	95 356.0
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	4 585.0	5 400.0	34 903.0	304.0	302 838.0
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	3 541.0	3 702.0	24 403.0	213.0	194 530.0
მარაგების ცვლილება	1 044.0	1 698.0	10 500.0	91.0	108 308.0
ფასეულობის შექენა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	5 983.0	5 318.0	68 495.0	5 317.0	421 817.0
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	6 839.0	5 954.0	137 125.0	9 333.0	813 581.0
(+) სტატისტიკური განსხვავება	-726.9	-463.6	56.2	630.5	-9 561.0
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	14 965.1	19 146.4	138 295.2	27 588.5	1 806 633.0
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	0.0	0.0	-9 661.0	-103.0	41.0
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	0.0	0.0	1 679.0	614.0	9 553.0
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	14 965.1	19 146.4	126 955.2	26 871.5	1 797 121.0

ცხრილი 1. (გაგრძელება)

	1995	1996	1997	1998	1999
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	3 367 736.0	4 372.0	5 110.6	4 781.3	5 203.2
შინამეურნეობები	2 803 000.0	3 998.8	4 621.8	4 195.2	4 556.7
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	270 120.0	75.4	25.6	29.5	43.7
სახელმწიფო მართვის ორგანოები	294 616.0	297.8	463.2	556.6	602.7
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	104 692.0	135.2	213.8	286.6	332.7
კოლექტიური მომსახურება	189 924.0	162.6	249.4	270.0	270.0
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	887 215.0	758.1	812.5	1 364.5	1 499.5
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	714 096.0	718.2	840.8	1 283.3	1 485.6
მარაგების ცვლილება	173 119.0	39.9	-28.3	81.2	13.9
ფასეულობის შექენა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	515 890.0	515.5	711.0	826.6	1 080.2
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	1 053 229.0	1 252.2	1 919.6	1 863.6	2 159.6
(+) სტატისტიკური განსხვავება	-24 124.0	-524.9	-159.6	-86.7	45.4
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	3 693 488.0	3 868.5	4 554.9	5 022.1	5 668.7
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	4 604.0	7.0	242.1	338.8	422.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	80 901.0	95.9	76.8	72.4	128.4
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	3 617 191.0	3 779.6	4 720.3	5 288.5	5 962.8

ცხრილი 1. (ბაბრქმეზა)

	2000	2001	2002	2003	2004
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	5 985.8	5 947.7	6 531.8	7 028.8	8 573.8
შინამეურნეობები	5 404.4	5 243.4	5 743.1	6 129.8	7 148.5
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	65.3	60.6	58.8	62.8	46.2
სახელმწიფო მართვის ორგანოები	516.0	643.6	729.9	836.2	1 379.1
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	236.2	305.4	322.3	411.9	587.5
კოლექტიური მომსახურება	279.8	338.2	407.5	424.4	791.6
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	1 606.3	2 022.2	2 122.3	2 682.3	3 134.8
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	1 537.8	1 817.7	1 825.6	2 283.6	2 697.3
მარაგების ცვლილება	68.5	204.5	296.7	398.7	437.5
ფასეულობის შექმნა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	1 389.6	1 632.6	2 179.3	2 726.6	3 100.1
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	2 397.1	2 594.1	3 161.3	3 975.6	4 733.6
(+) სტატისტიკური განსხვავება	-541.5	-334.3	-216.1	101.9	-250.8
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	6 043.1	6 674.0	7 456.0	8 564.1	9 824.3
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	352.4	202.7	352.4	380.5	478.2
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	120.6	135.4	279.3	313.3	297.7
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	6 274.9	6 741.3	7 529.2	8 631.3	10 004.9

ცხრილი 1. (ბაბრქმეზა)

	2005	2006	2007	2008	2009*
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	9 794.1	12 972.0	15 731.9	19 595.8	19 218.9
შინამეურნეობები	7 719.7	10 803.5	11 952.7	14 582.3	14 774.4
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	60.5	52.4	61.3	77.2	71.0
სახელმწიფო მართვის ორგანოები	2 014.0	2 116.0	3 717.9	4 936.3	4 373.5
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	978.6	640.0	714.7	866.0	874.5
კოლექტიური მომსახურება	1 035.3	1 476.0	3 003.2	4 070.2	3 499.0
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	3 891.5	4 255.3	5 447.5	4 951.6	2 176.3
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	3 261.4	3 524.2	4 370.5	4 098.5	2 588.8
მარაგების ცვლილება	630.1	731.1	1 077.0	853.1	-412.5
ფასეულობის შექმნა, წმინდა
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	3 921.9	4 532.1	5 303.0	5 459.2	5 299.6
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	5 992.7	7 862.6	9 848.0	11 140.4	8 798.1
(+) სტატისტიკური განსხვავება	6.0	-106.9	359.3	208.6	51.9
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი	11 620.9	13 789.9	16 993.8	19 074.9	17 948.6
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	477.6	598.5	803.4	760.1	683.4
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	306.8	286.0	736.8	1 016.9	949.2
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	11 791.7	14 102.5	17 060.5	18 818.0	17 682.8

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს.

ცხრილი 2.

მთლიანი გამოწვება ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2009

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	8.4			375.7		384.1
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნეღ-სანეღებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	4.4		29.5	309.8	0.03	343.6
ბოსტნეღის მოყვანა, სპეციაღიზებული მეღაღეღა და სანერგე პროდუქციის წარმოება	2.9			196.8		199.8
მეცხოვეღეღა	45.0			1 086.4		1 131.4
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	5.5		1.5	51.5		58.5
მეტყევეღა და ხე-ტყის დამზადება	0.2		3.4	139.9		143.5
თევზჭერა, მეთევეღეღა	2.8		0.2	10.3		13.3
სამთომოპოვეღებითი მრეწვეღეღა	215.9		0.6	3.1		219.6
საფქვეღი მრეწვეღეღის პროდუქტების წარმოება; მზა საკვების წარმოება პირუტყვისათვის	122.9			88.3		211.3

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღვეკონომიკა
პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	115.9			91.3		207.2
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	384.9			76.2		461.0
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	299.5			4.7		304.2
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	154.0			75.5		229.5
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	101.5					101.5
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	376.8			44.5		421.3
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	586.5			37.0	0.2	623.7
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	374.9			12.3		387.2
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი წარმოება	255.2			29.3		284.5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	816.5			1.2		817.7

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღკონომიკა
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობებში				1 516.0		1 516.0
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	1 206.8			123.1	0.2	1 330.2
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	418.9			3.7		422.6
სხვა სამშენებლო სამუშაოები	225.4			50.1		275.6
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	2 115.3			136.7	1.1	2 253.2
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	828.1			5.9		834.0
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	185.6			52.7		238.3
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	159.6			2.1		161.8
სასტუმროებისა და კემპინგების	114.7					114.7

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკოორდირებული ზაციების სექტორი	მთლიანი ანაღკონომიკა
მომსახურება						
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზასაკვების მიწოდება	425.2			34.1		459.3
სარკინიგზო ტრანსპორტი	85.4					85.4
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	396.8			118.0	0.1	514.8
მილსადენებით ტრანსპორტირება	278.4			0.4		278.8
საჰაერო ტრანსპორტი	156.7					156.7
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	208.9			4.1		213.0
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	314.8			15.8		330.6
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	225.9		28.6			254.4
კავშირგაბმულობა	958.5			2.5		960.9
საფინანსო საქმიანობა		689.9		32.6	0.04	722.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	647.0		25.9	276.6	3.2	952.7
სახელმწიფოს მმართველობა			3 499.0			3 499.0

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღვეონომიკა
განათლება	431.6		466.7	40.7	4.0	943.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	952.5		562.8	25.6	25.9	1 566.9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	765.2		191.6	53.7	36.2	1 046.7
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა				569.0		569.0
შინამომსახურება				18.6		18.6
გამოშვება საბაზისო ფასებში	14 975.1	689.9	4 809.8	5 715.8	71.0	26 261.7
(+) გადასასადები პროდუქციაზე	2464.0	7.6	4.2	55.1	0.0	2 530.9
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	65.4	0.0	9.7	14.3	1.9	91.3
გამოშვება საბაზრო ფასებში	17 373.8	697.5	4 804.2	5 756.7	69.1	28 701.3

ცხრილი 3.

**შუალედური მოხმარება ინსტიტუციური სექტორებისა და
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2009**
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	7.7			114.6		122.3
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნეღსანეღებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	2.0		26.5	77.4	0.01	106.0
ბოსტნეღის მოყვანა, სპეციაღიზღებული მეღბაღეღბა და სანერღე პროღუქციის წარმოღბა	0.9			58.8		59.6
მეცხოვეღეღბა	44.6			347.7		392.3
სასოფლო სამეურნეო მომსახურეღბა	4.9		1.4	13.6		19.9
მეტყევეღბა და ხე-ტყის დამზადეღბა	0.2		3.0	77.0		80.2
თეღვზღეღრა, მეთეღვზღეღბა	1.2		0.2	4.1		5.6
სამთომოპოვეღბითი მრეწვეღბა	111.6		0.6	1.6		113.7
საფქვეღლი მრეწვეღბის პროღუქტების წარმოღბა; მზა საკეღბის წარმოღბა	96.7			64.8		161.5

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღვეკონომიკა
პირუტყვისათვის						
პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	78.6			71.5		150.1
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	200.6			37.9		238.5
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	150.6			2.3		152.9
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	80.4			39.8		120.2
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	62.5					62.5
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	200.2			24.5		224.8
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	384.8			24.4	0.1	409.3
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	247.0			8.1		255.1
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი წარმოება	133.5			15.4		148.9
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	353.5			0.5		354.0

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანი ანაღვეკონომიკა
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობებში				1 030.6		1 030.6
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	634.4			75.0	0.1	709.5
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	227.3			2.0		229.3
სხვა სამშენებლო სამუშაოები	113.7			26.6		140.3
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	859.2			41.4	0.3	901.0
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	235.1			1.7		236.8
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	64.9			20.9		85.8
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	37.3			0.5		37.8
სასტუმროებისა და კემპინგების	40.9					40.9

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობის სექტორი	შინამეურნეობის მომსახურე არაკოორდირებული ზაციების სექტორი	მთლიანი ეკონომიკა
მომსახურება						
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზასაკვების მიწოდება	155.6			15.4		170.9
სარკინიგზო ტრანსპორტი	31.0					31.0
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	141.9			43.7	0.03	185.6
მილსადენებით ტრანსპორტირება	96.1			0.1		96.3
საჰაერო ტრანსპორტი	91.6					91.6
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	56.7			1.2		57.8
